სარბიელი

ქართული პრესა ინტერნეტში

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 11 სექტემბერი 1998 №162 (697) ფასი 50 თეთრი

ჯიმი და ლანდი

ეს ორი მწვრთნელი რა საჭიროა?

4 სექტემბრის საღამომდე თამამად ვსაუბრობდით სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, ჩვენი ახალგაზრდული გუნდის იქ მოხვედრაზე ვოცნებობდით. აჟიოტაჟი დიდი იყო, მაგრამ ალბანეთის ორიოდ წლის წინ შეკოწიწებულმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ციდან მიწაზე დაგვბერუნა, რეალობას თვალებში ჩაგვახედა.

ვის დავაბრალოთ ეს სამარცხვინო ფიასკო, რომელიც თამაშიდან ერთი კვირის შემდეგ უფრო სამძიმო ჩანს, ვიდრე ცხელ გულზე იყო? დამნაშავეა ყველა ერთად, ფედერაციაც, აქაური მწვრთნელთა კორპუსი, ფეხბურთელები და, რა თქმა უნდა, თავმომწონე იტალიელი რობერტო ლანდი.

თანმიმდევრულად გავაანალიზოთ ყველას დამსახურება და მერე ბრალეულიც, უფრო დიდი ცოდვიანიც გამოჩნდება.

ფედერაციამ ერთი შეხედვით დიდებული რამ მოიფიქრა. ამ ფინანსური სიდუხჭირის პირობებში ახალგაზრდული გუნდისთვის „სანატრელი“ იტალიელი კონსულტანტი გამონახა, რომელიც არა მარტო დარიგებებს, არამედ უცხოურ შეკრებებსაც გაგვიხერხებდა. რა სჯობს იმას, როცა უცხოელი, თანაც, როგორც თვითონ ამბობს, არაერთ ცნობილ სპეციალისტთან პრაქტიკაგავლილი, შეფობას კისრულობს და გაიძახის, მე თქვენ გამოგაწრთობთ, თანამედროვე ფეხბურთს გათამაშებთ, სიდნეიშიც წაგიყვანთ და ალზევდებითო.

ყველაფერი უკუღმა დაგვიტრიალდა. ფედერაციის შეცდომაც ისაა, რომ უფლებები ვერ გაანაწილა. შეიძლება კიდეც გაანაწილა, მაგრამ ფარულად, ისე, რომ გულშემატკივრებს და რაც მთავარია, ჟურნალისტებს, არაფერი შეეტყოთ.

სინამდვილეში რობერტო ლანდი კონსულტანტი არ ყოფილა. ფედერაციას იტალიელი სიტუაციის სრულ მაკონტროლებლად, ნაკრების ბატონ-პატრონად დაუნიშავს. იქნებ ეს ცუდი სულაც არ არის, მაგრამ გიგლა იმნაძესაც რომ თავი მთავარი მწვრთნელი ჰგონია?! ფედერაციაშიც ხომ დღემუდამ არწმუნებენ, რას ამბობ, არავინ მოგატყუოს, უფროსი შენ ხარო.

არსად, არც ერთ საქმეში, ორხელისუფლებიანობას სიკეთე არავისთვის მოუტანია. რაღა ჩვენ ავშენდებით. შედეგიც მოვიმკეთ.

ფედერაციის შეცდომაზე ვთქვით, ახლა იმნაძეზე და მის გუნდზეც მოგახსენებთ. ყველას გვახსოვს ნაკრების იტალიური ტურნედან დაბრუნებული იმნაძის გაკვირვებული სახე. იქ მე არაფერი მიკეთებია, გუნდს ვიღაც ლანდი წვრთნიდაო.

იხილეთ მეორე გვერდი

ფრუიძემ, აქა ვდგავარო

ზოგმა თქვა, სოსო ფრუიძემ ათკაციან „პათუმთან“ ურმაგების გამო გუბერნატორის თავსდატეხილი რისხვა ვერ აიტანაო.

ზოგმა თქვა, სოსო ფრუიძემ „ვიტ ჯორჯიასთან“ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან გასვლით მატჩს რომ შეუშინდა, თბილისში ჩამოსვლას თავი ამად აარიდაო.

ზოგმა თქვა, სოსო ფრუიძემ სამშაბათს გუნდის ორსაათიან კრებაზე გადადგომის თაობაზე სახალხოდ განაცხადაო და ეს ლამის მთელმა გუნდმა დაადასტურა.

ზოგმა თქვა, სოსო ფრუიძემ მხოლოდ შაშიაშვილთან და ქუთაისის მერთან შეხვედრა ითხოვა, ჩემპიონობას რომ გვთხოვენ, პირობებიც შესაფერი შეგვიქმნანო.

ზოგმა თქვა, სოსო ფრუიძემ გადადგომის თაობაზე გუნდს განუცხადა, თორემ ოფიციალური განცხადება ჯერ არც დაუწერიაო.

მოკლედ ფრუიძის მცხეთაში ჩამოუსვლელობას იმდენი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, კაცს უფრო დააბნევდა ვიდრე ამ საკითხში საბოლოოდ გაარკვევდა.

ფრუიძე წესიერი კაცია და გუბერნატორის რისხვაც მის თავმოყვარეობაზე ცხადია ძლიერ იმოქმედებდა.

ფრუიძე საკმარისად უშიშარია, ვიტელებთან შებმისთვის თავი რომ არ აეცილებინა.

ფრუიძე გარკვევით მოლაპარაკეა და გუნდს გადადგომას თუ შეატყობინებდა, უთუოდ მიუკიბ-მოუკიბავად.

ფრუიძე პრეზიდენტის რწმუნებულთან და ქალაქის მერთან შეხვედრას უმიზეზოდ არ მოითხოვდა.

ფრუიძე გადადგომას თუ დააპირებდა განცხადებასაც დაწერდა და ორმაგ თამაშს არ იკადრებდა.

მაშ საქმე რაშია? ამაზე ზუსტ პასუხს დღეს ორი კაცი თუ გასცემს — თავად სოსო ფრუიძე, რომელიც „ლომელთან“ მატჩის შემდეგ გაკრიტიკების გამო „სარბიელს“ დაეუბრა (ეს, ცხადია, მისი ნებაა) და კლუბის პრეზიდენტი ბესიკ ჯიქია, რომელიც სამი დღეა, ჩვენ კი არა, ბევრმა ახლობელმაც ვერ მოიხელთა.

ფრუიძემ „სარბიელისთვის“ ინტერვიუს მიცემა იუარა, თორემ ის კი განაცხადა, ნამდვილად არ გადავმდგარვარ, უბრალოდ, გუშინწინ თეიმურაზ შაშიაშვილსა და დავით მელქაძეს საჭაროდ უნდა შევხვედროდი, რადგან გუნდში შექმნილი სიტუაცია, ამ საქმის გადადების უფლებას არ მაძლევდაო.

მართალიცაა, ფეხბურთელთა დიდ ნაწილს არც დაუფარავს, ბოლო კვირა მაწონზე და პურზე რომ გადაატარეს და თავიდან არც მცხეთაში სათამაშოდ გასვლას აპირებდნენ.

მოკლედ, „ტორპედო“, ვისაც ჯერ არს, უყურადღებოდ დარჩენია. როგორც ამბობენ 15 სექტემბრამდე, როცა ავსტრიიდან კლუბის ერთ-ერთი სპონსორის „თბილკრედიტბანკის“ თავკაცი უნდა ჩამოვიდეს ქუთათურებს კვების პრობლემას ქალაქის მერია გადაუჭრით.

ჩანს, მარტოდ საწევი ჭაპანი ბესიკ ჯიქიას ბოლომდე წელგამართულად ვერ უწევია და შუა გზაზე ჯერ თუ არ დაცემულა, უდავოა, ძალა მაინც შემოლევია.

ერთში კი ფრუიძე მართალია, ქალაქს რომელსაც საჩემპიონო მადა აღძრია, გუნდი დამშეული არ უნდა ჰყავდეს.

მოკლედ ფრუიძემ არ წავსულვარო. აქა ვმდგარვარ, აქა ვდგავარ და აქვე ვიდგები, რადგან სხვაგვარად არ ძალმიძსო.

თუ მართლა ასეა, „სარბიელის“ გუშინდელი ცნობა — „ფრუიძე ტორპედოდან წავიდა“, მის ნამუსზე იყოს ვინც რეალობაზე წინ საკუთარ სურვილებს აყენებს. ვის, ვის და, კლუბის ერთ-ერთ თავკაცს ამგვარ სიტუაციაში, სხვაზე მეტს არა ვთხოვთ, სიმართლე უნდა მოეხსენებოდეს.

ვახტანგ გზიძაძე

სოსო ფრუიძემ, არსად წავსულვარო

ოცდამეორე

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 32 გუნდიდან უკვე 22-მა ნაკრებმა გაუშვა მწვრთნელი. გუშინ გადამდგარ კოლეგებს ესპანეთის ნაკრების თავკაცი ხავიერ კლემენტე შეემატა.

— ამ ეტაპზე ჩემი გუნდიდან წასვლა უპრიანია. დღესდღეობით ნაკრებისთვისაც ასე სჯობს და ჩემთვისაც — კლემენტემ ბლიც-პრესკონფერენცია ამ სიტყვებით დაიწყო და ამითვე დაასრულა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ ესპანელი ჟურნალისტები და ქომაგები მწვრთნელის გადადგომას ითხოვდნენ ის კი გუნდიდან არ მიდიოდა. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში კვიპროსთან 2:3 მარცხის (!) შემდეგ მოთხოვნები კლემენტეს გუნდიდან წასვლის თაობაზე საგრძნობლად გამძაფრდა — მწვრთნელი მაინც არ მიდიოდა. ახლა კი მოულოდნელად...

62 თამაში და მხოლოდ ექვსი წაგება — ნაკრებში მოღვაწეობის ექვსი წლის მანძილზე ამაზე უკეთესი შედეგისთვის ცოტას თუ მიუღწევია. კლემეტემ კი მიაღწია, თუმცა გადადგა.

იმ წლების განმავლობაში, როცა კლემენტე ქვეყნის უპირველეს გუნდს წვრთნიდა, ესპანეთი ბევრის აზრით ულამაზო ფეხბურთს თამაშობდა, სამაგიეროდ, იშვიათად მარცხდებოდა. მაგრამ ერთია იშვიათად დამარცხება, გამარჯვება კი სხვა — მოგებით ესპანეთმა დიდ შეჯიბრებებში ვერაფერი მოიგო...

შვიდრეში ვინრო წრეში

US OPEN

ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში გასულ ავსტრალიელ პატრიკ რაფტერსა და ამერიკელ პიტ სამპრასს ესპანელი კარლოს მოიაც შეუამხანაგდა. გუშინ მან შვედი მაგნუს ლარსონი 6:4, 6:3, 6:3 დაამარცხა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

კარლოს მოიამ კაცურად გაიხარა

REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS თეირანიდან

ამერიკამ ირანი აასყვნა

გინდა, არ გინდა, ეგრეა: ვერც სპორტია უპოლიტიკოდ და პოლიტიკასაც სჭირდება სპორტი. ერთმანეთს წაკიდებულმა ირანმა და ამერიკამ შუაგაცად სპორტი გამოიყენეს და ერთმანეთისკენ ნაბიჯი წადგეს. ამიტომაც ჩაესვლებოდათ ამერიკელ მოჭიდავეებს თეირანში და ამიტომაც წამოუდგნენ ირანელები ამერიკის დროშასა და ჰიმნს. ეს კი ცოტა ხნის წინ უპირველეს მტრად შერაცხული ქვეყნის მკვიდრი მოჭიდავის სამუელ ჰენსონის გაჩემპიონებას მოჰყვა და ამერიკის ვარსკვლავ-ზოლებიანი დროშა ირანისაზე მაღლა აღიმართა. ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ, უფრო სწორად კი ვიდარდოთ: დღეს თუ ემზარ ბედინეიშვილმა ბრინჯაოც ვერ ირგუნა, თავისუფლად მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მთლად უპოვარნი ვრჩებით.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ჯიმი და ლანდი

ეს ორი მწვრთნელი რა საჭიროა?

დასაწყისი პირველ გვერდზე

ორი უფროსი, ორივე განსხვავებული საფეხბურთო აზროვნებისა და მენტალიტეტის კაცი. ერთი ევროპელი, მეორე ქართველი. ორივე გარკვეული ამბიციებით. ცხადი იყო, ამათი შეხმატკბილებული თანამშრომლობა არაფერით იქნებოდა. იმნაძე ლანდის „გამარჯობას“ ეუბნებოდა, იტალიელი, აღზევანს მივალო, პასუხობდა. მდგომარეობა იმანაც დაძაბა, რომ ლანდიმ თბილისში ფიზმომზადების მწვრთნელი გვაახლა. ჩვენებურები მთლად უსაქმოდ დარჩნენ და გულჩახვეულებმა იტალიელს ალმაცერად დაუწყეს ცქერა.

ცალ-ცალკე ჩურჩულმა და კინკლაობამ კულმინაციას თამაშის წინა ღამეს მიაღწია. იმნაძემ ლანდის ძირითადი შემადგენლობის მისეული ვარიანტი აახლა, კონსულტანტმა შემადგენლობას ცალი თვალი გადაავლო და მწვრთნელს აგრძნობინა, ტყუილად გარჯილხარ, შემადგენლობას ჩემი შეხედულებისამებრ დავაყენებო.

თამაშამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩვენებურმა მწვრთნელებმა წესის და რიგის მიხედვით თავიანთი ადგილი დაიკავეს სათადარიგოების გვერდით, შეგვიანებული ლანდი და მასიმო კაპანი კი სკამზე მანამდე არ მოკალათდნენ, სანამ ჩვენებურები ფეხზე არ წამოდგნენ, ადგილი არ დაუთმეს და მობრძანდითო, არ შეჰკადრეს.

ამას მაინც ხომ ყველა ვხედავდით, ამის მერე რა წარმატებაზე უნდა ვილაპარაკოთ. სადაც ორპირობა, უნდობლობა, შური და ღვარძლი ჩაითესება, იქ საქმე წახდება. ეს ხომ უბრალო ჭეშმარიტებაა.

სადაც ამდენი ვთქვით, ბარემ იმ საიდუმლოსაც გაგიმხელთ, რომელიც სასტუმრო „მესაზღვრეში“ დაბინავებულმა ალბანელმა კოლეგებმა გაგვანდეს, ისინი შემთხვევით შესწრებიან ლანდისა და კაპანის დიალოგს. „ინტერის“ ფიზმომზადების შეფი ლანდის საყვედურობდა, ყველაფერს რომ შენს თავზე იღებ, ხომ იცი სანანებელი გაგიხდება, ამ თამაშს ვერ მოიგებო.

ალბანელი კოლეგის მონათხრობი სამხილად მაინცდამაინც არ გამოდგება, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, უთანხმოება, ქართველთა ბანაკში რომ სუფევდა, ლანდის, თუ იმნაძის ალბანელ კოლეგას მატჩამდე კარგა ხნით ადრე ეცოდინებოდა. სულეიმან მემამაც მისთვის სარგებლიანი ტაქტიკა აირჩია. შედეგიც მოიმკა.

იმნაძეს და მის გუნდს იმაში ვადანაშაულებთ, რომ მათ ვერ შეძლეს, იტალიელი თავიანთი ვარიანტის სისწორეში დაერწმუნებინათ. ვერ გააგებინეს, ანაც არ მოინდომეს, ესა თუ ის ფეხბურთელი ამ პოზიციაზე უფრო მეტ სარგებელს მოიტანსო.

თამაშამდე ფეხბუთრელები იმას გაიძახოდნენ, ლანდიმ თავისი ხელი დაგვატყო, ახლა გაცილებით უკეთ ვირჯებით, თავს უფრო ლაღად ვგრძნობთო. მარცხის შემდეგ კი მოვყევით წუწუნს, ეს ლანდი აზრზე ვერ არის, მისი ვარჯიშები უვარგისია, ოფლი ვერ მოგვიდენია, ინტენსიურობა აკლია და მოთამაშეებს ფიზიკურად ვერ ვამზადებსო.

მასიმო კაპანი რობერტო ლანდის: ხომ გეუბნებოდი რობერტო!..

საწყენიც არისო. სად ვიყავით აქამდე, სანამ ურემი არ აყირავდა, მანამ ხომ თევზებივით ვდუმდით. სწორედ ამაში ტყუიან ფეხბურთელები.

დაბოლოს, რობერტო ლანდი. ისიც ტყუის, ოღონდ თავისებურად. კაცი შუაგული ევროპიდან რომ აიყრება, უზრუნველ ცხოვრებას მიატოვებს, ფინანსურად ზარალის მეტს ვერას გამორჩება (ჯერჯერობით მაინც) და სამუშაოდ მშიერ საქართველოში გადმოიხვეწება, ან სულელი უნდა იყოს, ანაც ძალიან ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი, რომელიც სინამდვილეში დიდ კარიერას თუ არა, არანაკლებ მოგებას ელის. ამ ორი ვერსიიდან რომელია მართალი, ღმერთმა უწყის.

ლანდი არ დადის ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე. არადა, ნაკრების ძირითადი ბირთვი სწორედ საქართველოში ბურთაობს. იტალიელმა კარგად არ იცის მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების შესაძლებლობები. იგი ძირითადად ინტუიციასა და ვარაუდებს ეყრდნობა, რომელმაც რა სიკეთეც მოგვიტანა, თვალნათლივ დავინახეთ.

კონსულტანტს დაუჩემებია, სწორ აზროვნებას უნდა მიგაჩვიოთო. ცუდად რომ ფიქრობდნენ ჩვენებურები, იმიტომაც დატოვეს იტალიელები რუსთავში ხახამშრალები, პოლონელებსაც გაუსწრდნენ და სტუმრად ქულაც აართვეს ინგლისელებს...

ლანდის საფეხბურთო უდაბნოს წარმომადგენლები ვგონივართ და ჩვენს გაწვრთნას ჯერჯერობით გონებრივი ასპექტებით იწყებს. არც საჭმელი მოსწონს ჩვენი. ბრძანება გასცა, მენიუში სპაგეტი შეიტანეთ და ბიჭებსაც ხშირ-ხშირად მიართვითო. ნეტა ის თუ იფიქრა ვინმემ, ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობას, თითქმის ცარიელ პურზე რომ არის, დამატებითი ცომეული რაღა ძალას შემატებდა.

მართალია, ერთ კვირაში ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას ლანდი ვერ შეძლებდა, მაგრამ გუნდს მწვრთნელის ხელი ხომ უნდა ეტყობოდეს. ლანდის ყველაზე დიდი დანაშაულიც სიტუაციაში ბოლომდე გაურკვევლობაა, ამას ინფორმაციული ვაკუუმი და ზემოთ აღნიშნული ინტრიგა ემატება და წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა.

ერთი წაგებით ქვეყანა როდი იქცევა. თუ აქედან სწორ დასკვნებს გავაკეთებთ და მომავლისთვის სასიკეთოდ გამოვიყენებთ, ამას რა სჯობს, მაგრამ ჯერჯერობით სიახლეც რომ არსაიდან ჩანს?! არც ლანდის დაურეკავს იტალიიდან იმნაძისთვის.

ფედერაცია ერთი ხელის მოსმით იტალიელს ვერ შეელევა, არცა აქვთ ამის სურვილი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია. ფედერაციას არც იმნაძის განთავისუფლება აწყობს, რადგან კარს მიღმა ნასაუბრები შეიძლება საშაყარაოზე გამოვიდეს.

საბოლოოდ ერთადერთი ვარიანტი შეგვრჩა ხელთ — ფედერაციამ ორივე მხარეს განუმარტოს თავისი უფლება-მოვალეობები, ან იმნაძეს ანდოს კაპიტნის საჭე და ლანდი კონსულტანტობით შემოფარგლოს, ანაც პირიქით, იტალიელი დანიშნოს მთავარ მწვრთნელად და იმნაძეს უთხრას, შენ მხოლოდ დამხმარე იქნებიო. სხვაგვარად არაფერი გამოვა, ესენი ისევ ვერ გაუგებენ და იგუებენ ერთმანეთს, ხოლო ახალგაზრდული გუნდის ვარჯიშებზე ჩვეულ სურათს დავინახავთ: ლანდი გუნდს გაწვრთნის, ხოლო იმნაძე და ჩხაიძე ბურთის გორებაში ჩაკლავენ საათნახევარს, ნაკრებიც ისევ წააგებს და ვიყოთ ასე სულ დამარცხებულები, თუ გულშემატკივარი აგვიტანს და მოგვითმენს.

მამუკა კვანტალიანი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ალბანელი „არწივები“ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში რომ დაამარცხა, გუცაევის თანაშემწე ვლადიმერ პანოვი უკვე ათენს იმყოფებოდა, რადგან კვირას საბერძნეთი და სლოვენია უნდა დაეზვერა. ეს შეხვედრა ყველასთვის მოულოდნელად ფრედ 2:2 დასრულდა. ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ლატვიის მერე ოთხ დღეში ელადას უწევს გამგზავრება ბერძნებთან გასაკიბრებლად. ამიტომ დიდი ინტერესით მოვისმინეთ ბატონ ვოვას ბერძნული შთაბეჭდილებები:

— ათენში საბერძნეთ — სლოვენიის მატჩზე პირადად ვოვა გუცაევმა მიმავლინა, რათა ჩვენს მომავალ მეტოქეებზე ინ-

ვოვა პანოვი მტრის ზურგში

ფორმაცია მიგველო და შემდეგ გაგვეანალიზებინა. ძირითადად ბერძენთა დაზვერვა მევალებოდა, რადგან წლეულს ბოლო შეხვედრა სწორედ მათთან გვაქვს, თუმცა შანსი ხელიდან არ გამიშვია და სლოვენიის გუნდსაც დავაკვირდი. მიუხედავად იმისა, რომ მარტში უნდა შევეკინოთ თბილისში, მანამდეც უპრიანი იყო იმის გაგება, თუ როგორ თამაშობენ სტუმრად და რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. ერთი მატჩით ამის განსჯა ძნელი კია, მაგრამ ჯერჯერობით ასე გვიწევს. როგორც იცით, საბერძნეთს ერთობ გამოცდილი და სახელდაგდებული მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ თაკვაობს. იგი ცდილობს, გუნდმა თანამედროვე ფეხბურთი ითამაშოს, მაგრამ შემსრულებელთა ნაკლებობის გამო ჩანაფიქრს ჯერჯერობით ვერ ახორციელებს, ძირითადად გამოცდილ ფეხბურთელებზე აქვს აქცენტი გადატანილი. ეს შედეგი იმანაც განაპირობა, რომ თვითონ ბერძნები სლოვენიელთა ასეთ თამაშს არ ელოდნენ. ბერძენთა ნაკლად ის მენიშნა, რომ მათ იმ დღეს ჩვეული აგრესიულობა აკლდათ. მართალია, იორდანესკუ გამოცდილია, მაგრამ ნაკრების სათავეში ბერძენი რომ ყოფილიყო, იგი მაინც სხვაგვარი სულისკვეთებით გამსჭვალავდა გუნდს. მატჩამდე სლოვენიელებმა იქაური პრესის აზრიც შეიტყვეს — ჩვენს სტუმრებს გავანადგურებთო. საოცარია — ამან სლოვენიელებზე დადებითად იმოქმედა, ისინი სრულიად დინჯად, აუღელვებლად ეთამაშებოდნენ მეტოქეს და შედეგიც მოიმკეს. იყო გარკვეული მონაკვეთი, როცა ბერძნების ზეწოლა გაძლიერდა, მაგრამ ამასაც გაუძლეს. სლოვენიაზე იმას ვიტყვი, რომ ჰყავთ მობილიზებული, საკმაოდ კარგი გუნდი, რომლის წევრთაგან მხოლოდ ორი მოთამაშე ბურთაობს ეროვნულ ლიგაში, ხოლო დანარჩენები ლეგიონერები არიან და უნდა ითქვას, რომ გერმანიის, შვეიცარიის, ესპანეთის, პორტუგალიის კარგ კლუბებშიც მოწყობილან. გამოცდილი და კარგი ბიჭები ჩანან. ტაქტიკაზე და ცალკეულ ფეხბურთელებზე იმას მოგახსენებთ, რომ როგორც იორდანესკუ, ისე სლოვენიელთა თავკაცი 3-5-2-ს ამჯობინებენ, ხოლო თუ თამაშის მიმდინარეობა მოითხოვს, არც სხვა ტაქტიკური წყობა გახლავთ მათთვის უცხო. ორივე ნაკრებში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც, როგორც იტყვიან, გუნდში ამინდს ქმნიან. მაგალითად, ბერძენთა შორის ნიკოს მახლასი, რომელიც ბურთსაც კარგად ფლობს და გოლის ჩინებული ალღოც აქვს, აგრეთვე დემის ნიკოლაიდისი, საკმაოდ სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელი, რომელიც ორივე ფლანგიდან და ცენტრიდან მწვავედ უტევს და კარზეა დაგეშილი. დამამახსოვრდა აგრეთვე შეცვლაზე შესული ფრანცესკოსი, ამან გოლის გატანის გარდა ძალიან ბევრი იმოძრავა. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც შევნიშნე, უმთავრესად დაცვის ხაზში, მაგრამ, იორდანესკუ ის კაცი არ არის, ეს უყურადღებოდ რომ დატოვოს და მისი აღმოფხვრა არ სცადოს. სლოვენიელთაგან კი სამი ისეთი ფეხბურთელია, რომელთაც არც გამოცდილება აკლიათ და ვერც ტაქტიკურ თუ ტექნიკურ არსენალს დაუწუნებ კაცი. ოსტერი, რუდონია და ზაჰოვიჩი ის ბიჭები ჩანან, რომლებზეც ვერ იტყცი, ასაკის კვალობაზე გამოუცდელნი არიანო. დანარჩენები უფრო საშუალო დონის ფეხბურთელთა რიცხვს განეკუთვნებიან, სუსტები არ ეთქმით, მაგრამ მწვრთნელის დავალებას ზედმიწევნით ასრულებენ.

რადგან სლოვენია ვერ დაამარცხეს, იმას ვერ დაიჩემებ, რომ ბერძნებთან უპრობლემოდ მოვიგებთ. მათ საკმაოდ ბევრი მომენტი ჰქონდათ, მოგების წყურვილიც ჰკლავდათ, მაგრამ როგორც ვთქვი, აგრესიულობა აკლდათ და ფორტუნამაც ზურგი აქციათ. ბერძნების შეცდომა ის იყო, რომ როცა 0:1-დან 2:1-ზე შეატრიალეს მატჩი, შეტევებს კიდევ უფრო მიეძალნენ და დაცვა მოაშიშვლეს. ეს კი სლოვენიამ არ აპატია და საპასუხო გოლიც გაუტანა. ამასვე ვიტყვი ნორვეგიაზეც, ვიკინგები თავდავერებამ დაღუპა და სხვამ არაფერმა. თორემ დარწმუნებული ვარ, ლატვიას ალბანეთში და გინდ სლოვენიაში ძალიან გაუჭირდება, აღარაფერს ვამბობ ჩვენთან და ბერძნებთან შეხვედრაზე.

დღესდღეობით ჩვენს ჯგუფში პირველი თამაშების შემდეგ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ფინალურ ეტაპზე მოხვედრის სურვილი ყველას გაუჩნდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნორვეგია და საბერძნეთი უნდა ჩამოვწეროთ. უეჭველია, ისინი თავიანთ თამაშს იპოვნიან და ბევრსაც გაამწარებენ, ღმერთმა ქნას, ჩვენ მათ რიცხვში არ ვერიოთ.

გიორგი ვაშაძიძე

ვერდიქტით ზოგი კმაყოფილია, ზოგი კი...

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა შედგა. მოგეხსენებათ, იგი გასულ შაბათს, საქართველო — ალბანეთის მატჩამდე ექვსი საათით ადრე უნდა გამართულიყო, მაგრამ განსახილველ საქმეზე გუნდების წარმომადგენელთა თუ დელეგატის გამოუცხადებლობის გამო ნაჩქარევად გადაიდო. განსახილველი კი საქართველოს თასის 1/64 ფინალში „კოლეჯი“ — „შუქურასა“ და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში „ჭაბუკიან“ — „უნივერსიტეტის“ მატჩებში მომხდარი ინციდენტები იყო.

შაბათს სხვადასხვა დარღვევებისთვის რამდენიმე ფეხბურთელს მაინც გამოუტანეს განაჩენი და ამაზე გუშინწინდელ „არბიელშიც“ ვწერდით.

მეორეჯგუფელების „ალგეთი“ — „შავნაბადას“ შეხვედრაში მონაწილე მარნეულელ ზვიად მურადაშვილს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. 3-3 მატჩით ჩამოაშორეს ჩემპიონატს რუსთავის „ხალიბის“ ფეხბურთელი ზურაბ ბუჯიშვილი და თბილისის იბერიელი ალან ცინცაძე, ორ-ორი მატჩის გამოტოვება თამაზ ციცქიშვილს („დილა“) და დავით ქლიბაძეს („უნივერსიტეტი“) მოუხდებათ, ხოლო გიორგი გაბელია (თსუ), ზვიად პაპიძე („ბათუმი“), ვახტანგ გველესიანი („არსენალი“), ზურაბ მენთეშაშვილი („ვიტ ჯორჯია“), ლაშა კარელიძე („დილა 2“), მამუკა ნანიშვილი („ცხუმი“), მიხეილ გრიგალაშვილი (ქარელის „იბერია“), გიორგი შავგულიძე („ტორპედო 2“) ერთი თამაშით დასჯეს.

ახლა კი იმაზეც, სპორტულ-ტექნიკური კომისია თითქმის სამსაათნახევრის განმავლობაში რომ განიხილავდა. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფის აღმოსავლეთის ქვეჯგუფის მეორე ტურის მატჩში „ჭაბუკიანი“ „უნივერსიტეტს“ მასპინძლობდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა შეხვედრა უპრობლემოდ 3:1 მოიგეს, ჭაბუკიანის სტადიონი ერთთამაშიან დისკვალიფიკაციას ვერ ასცდა. მიზეზი? ჭაბუკიანში თურმე მატჩის საორგანიზაციო მხარე სათანადო დონეზე ვერ ყოფილა. მართალია, ორივე გუნდის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, შეხვედრაც დათქმულ დროზე დაიწყო, პრეტენზიებიც არც ერთ მხარეს არ ჰქონია, მაგრამ... დებულებაში წერია, მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თამაში მაღალორგანიზებულ დონეზე ჩაატაროს და არავითარ ექსცესს ადგილი არ ჰქონდესო. არა, სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა, მაგრამ არც მეხანძრეები, არც პოლიციელები სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ყოფილან. ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალეს, ჭაბუკიანის სტადიონს ერთი მატჩით მიეცეს დისკვალიფიკაცია და ადგილობრივმა გუნდმაც მორიგი კალენდრული ტურის საშინაო შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გამართოს.

დიდი დავა-კამათი გამოიწვია აჭარული გუნდების — ბათუმის „კოლჯისა“ და ქობულეთის „შუქურას“ საქართველოს თასის 1/64-ფინალურმა მატჩმა. ქობულეთელები ორი თამაშის ჯამში (3:1, 0:2) დამარცხდნენ და ბუნებრივია, თასის გათამაშებასაც გამოეთიშნენ. ეტყობა, არბიტრ ერმალო ურუშაძის მსაჯობა ქობულეთელებს არ მოეწონათ და მასთან ანგარიშსწორებაც სცადეს. სასჯელი, რომელიც დაიმსახურეს, საკადრისი და მართლაც ულმობელია. ურუშაძეზე ზემოქმედების მცდელობისთვის „შუქურას“ ფეხბურთელ ნუგზარ რომანაძეს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს, ხოლო ჯამბულ დეკაძეს 1-წლიანი (!) იძულებითი დასვენება მოუწევს. გარდა ამისა, „შუქურას“ გუნდის უფროსს თემურ მჟავანაძეს უკანასკნელი გაფრთხილებით სასტიკი საყვედური გამოეცხადა, მთავარი მწვრთნელის ამირან ანანიძის საქციელის განხილვა კი აჭარის ფეხბურთის ფედერაციის რეგიონალურ ორგანიზაციას დაევალა, მასვე დაეკისრა იმის გარკვევა, დარჩება თუ არა ანანიძე „შუქურას“ თავკაცად. „შუქურა“ წლევანდელს ხომ გამოეთიშა და იგი ვერც მომდევნო, თასის X გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას — ასეთი იყო სადისციპლინო კომისიის ვერდიქტი. ქობულეთელი ფედერაციის ჩინოსანთა გადაწყვეტილებით უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ, მაგრამ...

შაბათსვე გასათამაშო და გადადებული აღმასკომის სხდომა ხუთშაბათს, 17 სექტემბერს, 14 საათზე შედგება. ძირითადი განსახილველი საკითხები „დინამო“ — „მრეტების“ საქმე და ფედერაციისადმი დავალიანების მქონე გუნდების ჩემპიონატიდან მოხსნა-არმოხსნა იქნება.

გიორგი ვაშაძიძე

საქართველოს თასი

1/32 ფინალი

ენგური	—	ფაზისი
განმუხური		*ფოთი*
კოლხეთი 2	—	იბერია 2
ფოთი		*სამტრედია*
სამგრელო	—	კოლხეთი
ჩხოროწყუ		*ხობი*
მერცხალი	—	კოლეჯი
ოზურგეთი		*ბათუმი*
ტორპედო 2	—	მარგვეთი
ქუთაისი		*ზესტაფონი*
სამგურალი 2	—	რიონი
წყალტუბო		*ქუთაისი*
ჟინერი	—	საუ
ჟინვალი		*თბილისი*
აკადემია	—	მრეტები
თბილისი		*თბილისი*
ალგეთი	—	შავნაბადა
მარნეული		*თელეთი*
ყვარელი	—	ჭაბუკიანი
მესხეთი	—	ივერია
ახალციხე		*ხაშური*
არსენალი 2	—	იბერია
თბილისი		*ქარელი*

მატჩები 18 და 27 სექტემბერს გაიმართება

საქართველოს 10 ჩემპიონატი

5 ტური

...და რა მაპრატელა

ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურმა ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. ძირითადად იმ გუნდებმა მოიგეს, ვისაც ვუწინწყრომეტყველებდით და ვისაც უნდა გაემარჯვა. ერთადერთი, სამტრედიული მატჩი მატებდა ტურს ინტრიგას, სადაც „იბერიას“ ან „ლოკომოტივს“ უნდა დაემტკიცებინათ, თუ ვისი სჯობდა და საევროპო საგზური ვისთვის უფრო უპრიანდა და მისაწვდომი იქნება. სხვა მხრივ მასპინძელმა გუნდებმა არ ულალატეს ბოლო სამი ტურის ტრადიციას და სტუმრებთან ძმურად გაიყვეს ქულები.

მეხუთე ტურის ცენტრალურ შეხვედრად „იბერია“ — „ლოკომოტივის“ თამაში მივიჩნიეთ. ამ გუნდებს სხვა „საშუალოთაგან“ მყარი ფინანსური მდგომარეობა გამოარჩევთ და უპირველესად სწორედ სიმაძლრეს (მახარაძესაც, რა თქმა უნდა) უნდა დავაბრალოთ მათ მიერ მოგროვილი ქულათა სოლიდური მარაგი ჩემპიონატის სტარტზე.

შეხვედრაში „ლოკომოტივმა“ (ესე იგი მახარაძემ) ერთხელაც დაადასტურა თავისი სიძლიერე. არ გვინდა ფეხბურთელთა უცილო დამსახურების უგულვებელყოფა, მაგრამ თბილისელი რკინიგზელების შემთხვევა ერთი იმ იშვიათაგანია ჩვენში, როცა მწვრთნელი თითქმის მთელ გუნდს უდრის. სამტრედიაშიც სწორი მითითებები მიიღეს „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა მახარაძისგან და „იბერიის“ გამუდმებულ შეტევებს მწვავე კონტრშეტევები დაუპირისპირეს. ამ სწორი ტაქტიკის გამო პირველ ტაიმში რკინიგზელებმა ორბურთიანი უპირატესობა მიიღეს და მეორე ნახევარში ძირითადად ანგარიშის შესანარჩუნებლად გაისარჯნენ. მასპინძლებმა, თავის მხრივ, მხოლოდ ცალკეულ epizodებში შეძლეს კომბინაციური თამაშისთვის თავის მობმა და ესეც ძირითადად ჩამახიძისა და ვასო გიგაძის აქტიურობის წყალობით. ასე იყო თუ ისე, „ლოკომოტივმა“ „იბერია“ დაამარცხა და კვლავ წაუგებლად აგრძელებს გამოსვლას.

ტრადიციას არ ულალატა „დინამომაც“. მან კვლავ პირველმა გაუშვა გოლი უნივერსიტეტელთაგან, მაგრამ მეორე ტაიმის მიწურულს ჩვეულად გამოიღო ხელი და სამი მშრალი ბურთი გაუტანა ბათიაშვილს. აღსანიშნავი ისაა, რომ ამჯერად ველარ „გაისეირნა“ მარადმა ჩემპიონმა, თსუ-მ ღირსეული ბრძოლა გაუმართა მას და მატჩის პირველი ტაიმიც ნათლად მეტყველებს სტუდენტთა უდავო პოტენციაზე. თსუ არავისთვისაა იოლი მეტოქე და ჩემპიონატის განმავლობაში არაერთხელ იტყვის თავის სათქმელს.

ჩემპიონატში პირველი ჰეთ-თრიქოსანიც ვიხილეთ. კოლხმა სუხიაშვილმა ნახევარ საათში სამი გოლი გაუტანა ყოფილ თანაგუნდელებს. აქედან მართალია ორი პენალტით გაიტანა, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში საქმე ისე მიდის, პენალტიც აღარაა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი და მის შესრულებასაც უნდა შნო. თავის მხრივ, „კოლხეთიც“ ნელ-ნელა გამოდის კრიზისიდან, თავის თავსაც ემსგავსება და ძალებსაც აგროვებს, „სამგურალთან“ გამარჯვებით ფოთელებმა ადგილი კი ვერ მოიპოვეს და კვლავ მეშვიდე ადგილს შერჩნენ, მაგრამ მოწინავეებს უკვე მჭიდროდ მიუახლოვდნენ და საჩრიზო ადგილებისთვისაც .ბრძოლაც აღარ ჩანს მათთვის არარეალური.

კვლავ დიდი ანგარიშით დამარცხდა ჭალარაშეპარული „სიონი“. ამჯერად „მერანი“ გაჭენდა და ახლა ტრანსპორტელებმა დაიდეს ბოლნისელთა ცოდვა. მოსახდენი მეორე ტაიმში მოხდა, როცა ბოლნისელებმა შეცვალეს... მწვრთნელი. გასახდელიდან არეულობა მასპინძლებს მინდორზეც გაჰყვათ და 64-დან 72 წუთამდე ორჯერ დავითაშვილმა და ერთხელაც ქორიძემ წირვა გამოუყვანეს „სიონს“. სათამაშო კრიზისს „სიონში“ ახლა საკადრო კრიზისიც დაემატა და ვინ იცის, როდის შეძლებენ ქართველები სიტუაციის იმგვარად მოწესრიგებას, მხოლოდ ფეხბურთზე რომ იფიქრონ. „მერანმა“ კი პირველი გამარჯვება (თანაც დიდი ანგარიშით) ჩაიწერა აქტივში და იმედია, გააგრძელებს კიდეც ქულების დაგროვებას. „აბრეზს“ ჩამოსვლამ სულზე მიუსწრო შეტევაში სიმწვავედაკარგულ ავჭალელებს. ერთ თამაშში ერთბაშად ოთხი გოლი გარკვეულწილად დავითაშვილის აქტიურობის შედეგიცაა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა „არსენალმაც“. ისევე, როგორც თანაქალაქელმა ტრანსპორტელებმა, არმიელებმაც მეორე ნახევარში გატეხეს მეტოქე და კაკაშვილის ერთადერთი გოლის წყალობით სამ ქულას გამოჰკრეს ხელი. რაც შეეხება „გორდას“, იგი ერთადერთ გუნდად რჩება, ვინც ჯერ გამარჯვების სიხარული არ იცის და თუ ასე გაგრძელდა, ვერც იგემებს. აფსუსი კია, ვარლამ კალასონიას დარი ფეხბურთელი ასე უშედეგოდ იხარჯებოდეს. ერთ მერცხალს გაზაფხული, აბა, სად მიუყვანია, რომ რუსთავში მიიყვანოს და თანაგუნდელებმაც მხარი უნდა აუბან მოთამაშე-მწვრთნელს.

სიტყვა ჭედია არ ხუმრობს. მისი ხელმძღვანელობით „ოდიშმა“ ზედიზედ მეორე სამი ქულა მიითვალა და სამი ადგილით ზემოთაც „ისკუპა“ სატურნირო ცხრილში. მართალია, ზუგდიდელები ძველებურად შთამბეჭდავი შემადგენლობით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მონდომება და ენთუზიაზმი თავის საქმეს აკეთებს და „ოდიშმაც“ გაშვებული ბურთის შემდეგ ორი გოლი გაუტანა ლიდერს. ზუგდიდურმა შეხვედრამ ერთხელაც დაამტკიცა, რომ ჩვენდა სავალალოდ, ეროვნულ ჩემპიონატში არა მხოლოდ ოსტატობის, მონდომების ხარჯზეც შეიძლება გამარჯვება და ფონს გასცა.

როგორც იქნა, გაიმარჯვა „ბათუმმაც, არადა, წინა ოთხ ტურში ზღვისპირელებმა მსგავსი რამ ვერაფრით მოახერხეს. ახლა კი, „მერანის“ არ იყოს, დიდი ანგარიში „გამოაცხვეს“. „ბათუმი“ რომ ამ შეხვედრის უდავო ფავორიტი იყო, ეჭვიც არავის გეპარებოდა, მაგრამ მათ წისქვილზე „გურიის“ შიდასაკლუბო კრიზისმაც დაასხა წყალი. ის კი არა, ერთ-ერთმა გურულმა ფეხბურთელმა პირველი ტაიმის შემდეგ საერთოდაც მიატოვა თამაში და „გურიამ“ ათი კაცით დაასრულა მატჩი. ზემოთ „გორდაზე“ და ვარლამ კალასონიაზე მოგახსენეთ, ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას „კოჭოია“ გიორგაძეზე — იგი ჩვეულად (თითქმის მარტოც) იბრძოდა მასპინძელთა წინააღმდეგ.

ტური მცხეთაში, „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოს“ მატჩით დასრულდა. მიუხედავად პრობლემებისა, იმერლებმა მესამე გამარჯვება მოიპოვეს, თანაც, გურულების არ იყოს, კატასკულმა დაასრულეს თამაში. ამჯერად შეხვედრა არავის მიუტოვებია, 64-ე წუთზე ჩხაბერიძე მეკარესავით გაისარჯა, რისთვისაც „ტორპედო“ თერთმეტმეტრიანით თვითონ ფეხბურთელი კი წითელი ბარათით დაასაჩუქრეს. პენალტი კი აიღო „ტორპედოს“ მეკარემ, აი, ჯარიმა გაუშვა ისეთი, ნამდვილად არ ეპატიება.

შეხვედრის ბოლომდე მასპინძლებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ ეხეირათ, მაგრამ ბოკერიამ ასპროცენტიანი შესაძლებლობები გაუშვა ხელიდან, რამაც „ტორპედოს“ საშუალება მისცა, ანგარიში შეენარჩუნებინა.

ორიოდ სიტყვით ვიტჯორჯიელი ცენტრალური მცველების ტანდემი — მაისურაძე-ჭანკოტაძეც მოვიხსენიოთ. ისინი სხვა გუნდების ლიბეროთა კვალობაზე მეტად კარგად ირჯებიან და 5 მატჩში გაშვებული მხოლოდ 4 გოლიც მეტწილ მათი დამსახურებაა. მიუხედავად მარცხისა, დარწმუნებული ვართ, ვეტერინართა ახალგაზრდული შემადგენლობა მეათე ეროვნულის ერთ-ერთი ძლიერი გუნდია.

დაბოლოს სტატისტიკაც. ტური, ისევე როგორც წინა, სარეკორდოდ უხვგოლიანი აღმოჩნდა. გუნდებმა კვლავ 32 (საშუალოდ 4.0 მატჩში) ბურთი გაიტანეს. გაფრთხილებები კი შედარებით ცოტა ვიხილეთ: 16 ყვითელი და 1 წითელი ბარათი მეოთხე ტურის მაჩვენებელთან შედარებით თითქმის არაფერია.

მეხუთე ტურმა კლუბების სამზარეულო პრობლემებსაც ჩამოხსნა ფარდა. „გურია“, „სიონი“ და „გორდა“ აშკარად ვერ არიან სახარბიელო მდგომარეობაში. თუ პირველი ორი უფრო მოედნისგარეთა ხარვეზების გასწორებას უნდა, მესამეს აშკარად მინდორზე უფრო უჭირს. ისე კი, ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში დგება და ფავორიტაუტსაიდერებიც თავთავიანთ ადგილებს უბრუნდებიან.

ერთმა რამემაც გაალამაზა მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტური — ჯუბა ჩუხუას მაკრატელას ვგულისხმობთ. აბა, მაკრატელა ის იყო...

კონსტანტინე გოგიშვილი

სამგორელია
8 სექტემბერი
17 საათი
ერისი მანჯგალაძე
2 000 (ტევადობა 15 000)

იბერია 2:3 ლოკომოტივი

0:1 გოდერძიშვილი (2), 1:1 ვ. გიგაძე (21), 1:2 გოდერძიშვილი (40), 1:3 ბალაშვილი (45), 2:3 ჩომახიძე (54)

იბერია: ჩაჩუა (ა. ლაბაძე 46), სადილიანი, გ. ლურსმანაშვილი (ქობესაშვილი 46), გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ბაკურაძე 81), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, დარასელია, ბრეგვაძე

სათადარიგონი: გ. ჭელიძე, ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე, ივეჩიანი

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი (ბაქრაძე 79), მარღიშვილი, ჯ. მელქაძე, დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი (ლ. მინდიაშვილი 60), ნ. მინდიაშვილი (ქვარცხავა 80)

სათადარიგო: დოლაბერიძე

გაფრთხილება: გეგეშიძე (56), სადილიანი (62), ბალაშვილი (65)

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

სფფ-ს დელეგატი: გ. პეტრიაშვილი

ფოთი
8 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 4:2 სამგურალი

1:0, 2:0, 3:0 სუხიაშვილი (63, 22, 303), 3:1 თევდორაძე (53), 4:1 წიფწივაძე (55), 4:2 ჯინჭარაძე (81)

კოლხეთი: ქვაჩახია (ჩემია 70), ქუნთელია, ტორჩინავა, ახვლედიანი (კრასოვსკი 75), გიორგობიანი, ღაღანიძე, პაპავა, სუხიაშვილი, გვასალია (შავგულიძე 73), წიფწივაძე, კალანდაძე

სათადარიგონი: მ. ქობულაძე, ჯღამაძე, ბაჩილავა

სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, მ. ჯინჭარაძე, გ. ჯანელიძე (ლ. ქობულაძე 46), მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე, ჯავახაძე (ქ. ჯანაშია 46), ფილიპაშვილი, თევდორაძე, ღონღაძე (დ. ჭელიძე 32)

სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, უგულავა, დარსაია, ზ. ქუთათელაძე

გაფრთხილება: ღაღანიძე (43), ახვლედიანი (57)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

გოლნისი
8 სექტემბერი
17 საათი
თიმურ სტეფნაძე
1500 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:4 მერანი

0:1 დავითაშვილი (64), 0:2 ქორიძე (67), 0:3 დავითაშვილი (72), 1:3 ჯაგიდისი (90), 1:4 ხუციშვილი (92)

სიონი: დალაქიშვილი, დ. სვანიძე, შაკიაშვილი, თ. სამხარაძე, ძნელაძე, მ. საბხარაძე, ე. ჯაფარიძე (პოზოიანი 57), გოგოლაძე, გაგუა (ქობელაშვილი 62), ჯაგიდისი, მოსეშვილი

სათადარიგონი: კ. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე, კ. გოდერძიშვილი, დ. ბერიძე, დ. ჯაფარიძე

მერანი: ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, კ. კვენტაძე (ბაჯელიძე 79), გელა ქორიძე (ჯიშკარიანი 86), ცქიფურიშვილი, დავითაშვილი (ხარებავა 77), ხუციშვილი, მესხი

სათადარიგონი: ნაჭყებია, ე. ალადაშვილი, ივანიშვილი, ადეიშვილი

გაფრთხილება: სვანიძე (22), ბაჯელიძე (80)

მსაჯები: გ. ასკაროლი (ქარელი), მ. ელიკაშვილი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)

სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

მცხეთა
8 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3000)

თსუ 1:3 დინამო

1:0 წიტაიშვილი (20), 1:1 ხომერიკი (71), 1:2 ცქიტიშვილი (75პ), 1:3 აშვეთია (77)

თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, თ. კობიაშვილი, ნინუა, ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე (კ. სვანიძე 82), როსტიაშვილი

სათადარიგონი: გაბელია, ჭიაბრიშვილი, ო. სულაძე, ინწკირველი, ვ. ღუდუშაური

დინამო: გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, ზ. არჩვაძე, დ. მუჯირი (ლ. მელქაძე 46, ა. სახვაძე 80), მიქაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, ხომერიკი

სათადარიგონი: სოლოლაშვილი, კვარაცხელია, ქემოკლიძე, ბ. შენგელაია, გ. შენგელაია

გაფრთხილება: ცომაია (21), ალექსიძე (36), დიდავა (60), ცქიტიშვილი (76), ნინუა (79)

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. ქარქაშაძე, ზ. დარჩია; ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

გათუმი
8 სექტემბერი
17 საათი
დინამო
2000 (ტევადობა 18 000)

გათუმი 4:0 გურია

1:0 სიჭინავა (17), 2:0 გახელია (24), 3:0 რუსაია (32), 4:0 გახელია (43)

გათუმი: ტოგონიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ვერემჩუკი (მეავანაძე 77), ჭიქვეიშვილი, მინდაძე, სიჭინავა, თორლაშვილი (რომანაძე 46), კანტიძე, გახელია, რუსაია (აფხაზავა 46)

სათადარიგონი: ფუტკარაძე, ნადირაძე, მაქაცარია, მალაყმაძე

გურია: გოგუა (ვარდანიძე 46), იობიძე, კაკაჩია (ლორია 46), ი. ბუხრიკიძე (ჩიქვილაძე 46), ფიცურაია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი, გ. გიორგაძე, მელაძე, დ. მახარაძე

სათადარიგონი: ბოლუხია, კავთელაძე, პატარაია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

სფფ-ს დელეგატი: რ. ჩილაჩავა

რუსთავი
8 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
1500 (ტევადობა 10 700)

გორდა 0:1 არსენალი

0:1 კაკაშვილი (49)

გორდა: მ. ქორიძე, ი. ხუჯაძე, ბექაური, მ. სვეაძე, ბურნაძე, კილასონია, ტარტარაშვილი (ლაბაძე 71), ზირაქაძე (ჩოხელი 71), მჭედლიძე (ლ. ალადაშვილი 81), ჩუხუა, კ. ალადაშვილი

სათადარიგონი: ბედიაშვილი, შ. კაპანაძე, დ. მენთეშაშვილი, კოპალიანი

არსენალი: ჩლაიძე, ყუფარაძე, ცერცვაძე, შ. ლაცაბიძე, გემეზაშვილი, მ. მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, კორღალიძე (ქიქავა 82), კაკაშვილი (ხოსრაშვილი 71), ტარიელაშვილი (სულაძე 89)

სათადარიგონი: კუპატაძე, დ. კაპანაძე, ამირიძე

გაფრთხილება: ბურნაძე (28), გემეზაშვილი (40), ცერცვაძე (89)

მსაჯები: ს. ჯახიანი, ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე; ე. სილაგაძა (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ზუგდიდი
8 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
1500 (ტევადობა 7 500)

ოდიში 2:1 დილა

0:1 მოსულიშვილი (58), 1:1 კვეკვესკირი (69), 2:1 ენდელაძე (773)

ოდიში: ნაფოფია, ღურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, ჯ. კვეკვესკირი, ბარქაია, კუტალია, მარკოზია (იოსავა 63), ტაბაღუა (თოლორაია 72), ენდელაძე

სათადარიგონი: გოგია, ჯოჯუა, ჯაბუა, აკობია

დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე (დ. მაისურაძე 75), გ. ჩიტაია (ახალკაცი 80), ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მოსულიშვილი (ბ. ჩიტაია 78), კაიდარაშვილი, თაყაძე, შატაკიშვილი

სათადარიგონი: თ. ილურიძე, გუდურაშვილი

გაფრთხილება: ლურსმანაშვილი(65), ღურწკაია (73), კვეკვესკირი(83)

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

მცხეთა
9 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
2 000 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:2 ტორპედო

0:1 ვაშაკიძე (52), 0:2 იონანიძე (60), 1:2 ჭანკოტაძე (69)

გოჩაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (65)

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, პეტრიაშვილი (ა. ბოკერია 63), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა 63), აბაზაძე, კაპანაძე (ენუქიძე 70), ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი, გ. გვაზავა

სათადარიგონი: გუგუნავა, დოლიძე, ჭოხონელიძე, ვ. ქუთათელაძე

ტორპედო: ასლანაძე, პ. ჯინჭარაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, ჩხაიძე (მაღლაკელიძე 68), შეყრილაძე, ყიფიანი (ქებაძე 88), თურმანიძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, ვაჩიბერაძე (ჯ. მეტრეველი 83)

სათადარიგო: მამარდაშვილი

გაფრთხილება: ჩხაბერიძე (64)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ს. კახიანი (თბილისი), ჯ. მესხი (ზუგდიდი), ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

გოგბარდირები

7 -	ხომერიკი	დინამო
4 -	აშვეთია	დინამო
	ირინანიძე	ტორპედო
	კაკაშვილი	არსენალი
3 -	ვ. გიგიაძე	მერანი
	დ. გოდერძიშვილი	ლოკომოტივი
	ვაშაკიძე	ტორპედო
	კაციდარაშვილი	დილა
	სუხიაშვილი	კოლხეთი
	ჩომახიძე	მერანი
	ცქიტიშვილი	დინამო
	წიტაიშვილი	კოლხეთი
	ჯაგიდისი	სიონი
	დ. ჯანაშია	ტორპედო
2 -	ალექსიძე	დინამო
	გახელია	გათუმი
	გ. გვაზავა	ვიტ ჯორჯია
	ვ. გოჩაშვილი	ვიტ ჯორჯია
	დავითაშვილი	მერანი
	მარღიშვილი	ლოკომოტივი
	მაჭუტაძე	გათუმი
	დ. მახარაძე	გურია
	ჭელაძე	გურია
	ლ. მელქაძე	დინამო
	ტუღუში	გათუმი
	შაკიაშვილი	სიონი
	გ. უგნაძელია	დინამო
	ხუჭუა	მერანი

სიმბოლური ნაკრები

ვასილ გიგიაძე (იბერია)
დავით გოდერძიშვილი (ლოკომოტივი)
ზაზა მაჩიპარაძე (ტორპედო)
ლევან ცქიტიშვილი (დინამო)
გელა ქორიძე (მერანი)
გიორგი სუხიაშვილი (კოლხეთი)
ზურაბ არჩვაძე (დინამო)
გიორგი ჟანჯოტაძე (ვიტ ჯორჯია)
ირაკლი ვაშაკიძე (ტორპედო)
გიორგი ბალაშვილი (ლოკომოტივი)
გიორგი ლუშაია (მერანი)
გუნდი ლოკომოტივი
მწვრთნელი თემურ მახარაძე ლოკომოტივი

№	#	სულ თ	სულ მ	სულ ფ	სულ წ	სულ ბ	სულ ს	სულ ქ	შინ თ	შინ მ	შინ ფ	შინ წ	შინ ბ	შინ ს	შინ ქ	სტუმრად თ	სტუმრად მ	სტუმრად ფ	სტუმრად წ	სტუმრად ბ	სტუმრად ს	სტუმრად ქ
1 დინამო (1)	2	4	4	0	0	21:4	+17	12	3	3	0	0	18:3	+15	9	1	1	0	0	3:1	+2	3
2 ლოკომოტივი (6)	4	5	3	2	0	8:3	+5	11	2	2	0	0	4:0	+4	6	3	1	2	0	4:3	+1	5
3 ტორპედო (4)	5	4	3	1	0	13:6	+7	10	2	1	1	0	8:4	+4	4	2	2	0	0	5:2	+3	6
4 დილა (3)	1	5	3	1	1	7:4	+3	10	2	2	0	0	4:1	+3	6	3	1	1	1	3:3	0	4
5 იბერია (9)	3	5	3	0	2	12:10	+2	9	2	1	0	1	5:4	+1	3	3	2	0	1	7:6	+1	6
6 ვიტ ჯორჯია (10)	6	5	2	1	2	6:4	+2	7	2	1	0	1	5:3	+2	3	3	1	1	1	1:1	0	4
7 კოლხეთი (3)	7	5	2	1	2	9:9	0	7	3	2	1	0	7:2	+5	7	2	0	0	2	2:7	-5	0
8 მერანი (7)	13	5	1	3	1	6:7	-1	6	3	0	3	0	1:1	0	3	2	1	0	1	5:6	-1	3
9 ოდიში (5)	11	4	2	0	2	4:6	-2	6	2	1	0	1	2:2	0	3	2	1	0	1	2:4	-2	3
10 გათუმი (2)	15	5	1	2	2	9:8	+1	5	3	1	1	1	5:2	+3	4	2	0	1	1	4:6	-2	1
11 არსენალი (9)	16	5	1	2	2	4:10	-6	5	2	0	1	1	2:5	-3	1	3	1	1	1	2:5	-3	4
12 გურია (14)	8	5	1	1	3	5:11	-6	4	2	1	0	1	3:2	+1	3	3	0	1	2	2:9	-7	1
13 სამგურალი (12)	9	5	1	1	3	3:9	-6	4	2	1	0	1	1:1	0	3	3	0	1	2	2:8	-6	1
14 სიონი (13)	10	5	1	1	3	8:16	-8	4	3	1	1	1	7:6	+1	4	2	0	0	2	1:10	-9	0
15 თსუ (8)	12	5	1	0	4	3:9	-6	3	3	0	0	3	2:7	-5	0	2	1	0	1	1:2	-1	3
16 გორდა (11)	14	4	0	2	2	2:4	-2	2	2	0	1	1	1:2	-1	1	2	0	1	1	1:2	-1	1

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

ინგლისი

ფეხბურთელთა გადანაცვლებით ნიშკასლი არ შეცვლილა

IV ტური

ასტონ ვილა 1:0 ნიუკასლი

1:0 ჰენდრი (63ბ)

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, დრაპერი (ტეილორი 67), ტომპსონი (გრეისონი 81), ჯოაკიმი, ბერი, ჰენდრი, შიმეცა (ვასელი 86)

ნიუკასლი: გივენი, პირსი, ლი, შირერი, სპიდი, შარე, გლასი, უოტსონი, სოლანო (გივარში 71), ალბერი, ანდერსონი (ქეცბაია 59)

გაფრთხილება: ჰენდრი, ტეილორი, ქეცბაია

მსაჯი: პოლი

ჩელსი 0:0 არსენალი

ჩელსი: დე გუი, ლემბორდი (პეტრესკუ 70), დაბერი, ლებეფი, ლე სო, ლაუდრუპი (პოეტი 58), დესაი, დი მატეო, ბაბაიაროი, ძოლა (ტ-ა. ფლო 84), კაზირაგი

არსენალი: სიმონი, დიქსონი, კეონი, ადამსი, უბნთერბერინი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (გარდე 61), ბერკამპი (ვრე 90), ანელკა (ჰიუზი 76)

გაფრთხილება: ლე სო, დაბერი, კაზირაგი, კეონი, დიქსონი

გაძევება: დიქსონი (61)

მსაჯი: ლოჯი

დერბი 1:0 შეფილდ იუნ.

1:0 სტარიჯი (23)

დერბი: ჰოლტი, შწური, შტიმაცი, სტარიჯი, დელაპი (კოზლუკი 90), ბოჰინენი (ერანიო 70), ლაურსენი, ვენჩოპი, პრაიორი, კერსლი, ბაიანო (პაუელი 70)

შეფილდ უენ: პრესმენი, აზერტონი, იონკი, უოკერი, უითინგემი (ბრისკო 76), კარბონე, ბუთი, კობიანი (ბარეტი 89), პინჩკლიფი, ტომი, რუდი

გაფრთხილება: შტიმაცი, კობიანი, კარბონე, აზერტონი

მსაჯი: ჯონსი

ლესტერი 0:1 მიდლსბრო

0:1 გესქოინი (45)

ლესტერი: კელერი, სევიჯი (უილსონი 74), ჯაბი, სინკლერი, ელიოტი, კამარკე, იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი (ტაგარტი 65), კოტი (კემპბელი 65), ჰესკი

მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფლუტა, პალისტერი, მუსტო, გესქოინი (კინდერი 85), ბეკი, რიკარდი (კემპბელი 73), კუპერი (სტოკდეილი 46), მედისონი

გაფრთხილება: გორდონი, სტოკდეილი

მსაჯი: ბარჯი

ლივერპული 2:0 ქოვენთრი

1:0 ბერგერი (26), 2:0 რედნაპი (48)

ლივერპული: ფრიდელი, სტონტონი, ბები, ჰეგემი, ბერგერი, ინსი, კარაგერი მაკმანამანი, ოუენი, რედნაპი, რიდლე

ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი (შოუ 69), ბარიოუსი, ბრინი, უოლემი, ჰაკერბი, დაბლინი, სოლტვედტი (ედვორსი 64), ბოატენგი, ტელფერი, ჰოლი (შილტონი 76)

გაფრთხილება: უოლემი

მსაჯი: გალაჰერი

ვესტ ჰემი 3:4 უიმბლდონი

1:0 ჰარტსონი (7), 2:0, 3:0 რაიტი (14, 27), 3:1 გეილი (30), 3:2 იუელი (64), 3:3 გეილი (77), 3:4 ეკოკუ (81)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, სინკლერი, ჰარტსონი, რაიტი, მონკური, ლაზარიდისი, ლემპარდი, პირსი, ბერკოვიჩი (იმპი 57), მარგასი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, პერი, ერლი (ეკოკუ 73), რობერტსი, გეილი, ლებერენი, ჰიუზი, იუელი, ჯაბი

გაფრთხილება: კანინგემი, ჰიუზი, ჯაბი, სალივანი

მსაჯი: ბარბერი

მანჩესტერი 4:1 ჩარლტონი

0:1 კინსელა (32), 1:1 სოლსკიაერი (38), 2:1, 3:1 იორკი (45, 48), 4:1 სოლსკიაერი (63)

მანჩესტერი: შმაიხელი, ირვინი (ბერგი 57), იონსენი, სტამი, ბექჰემი, გნევილი, ბლომკვისტი, კინი, სქოულზი, იორკი (შერინგემი 68), სოლსკიაერი (კოული 68)

ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფერნი, იადსი, ნიუტონი (მორტიმერი 55), კინსელა (კ. ჯონსი 75), ჰანტი, მენდონკა (ს. ჯონსი 71), რობინსონი, ბრაუნი

მსაჯი: დარკინი

ტოტენჰემი 2:1 გლეძბერნი

0:1 გალაჰერი (11), 1:1 ფერდინანდი (26), 2:1 ნილსენი (50)

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, ტრამეძანი, ბერტი, კალდერვუდი, ნილსენი, ფოქსი, ფერდინანდი, ჟინოლა (სინტონი 88), ვეგა, კლემენსი (საიბი 88)

ბლეკბერნი: ფლაუერსი, კუნა (პერესი 70), დავიდსონი, ჰიკოკი, ეჩოსი, ფლიტკროფტი, გალაჰერი, სატონი, უილკოქსი (დაფი 70), მაკინლი, დეილი

გაფრთხილება: სატონი, პერესი, კალდერვუდი

მსაჯი: ელკოკი

ლიდსი 3:0 საუთჰემპტონი

1:0 მარშალი (38 ს.კ.), 2:0 ჰარტე (52), 3:0 ვინიარდი (86)

ლიდსი: მარტინი, ჰიდენი, მოლენაარი (უეზეროლი 75), რადებე, ჰარტე, ჰოდკინი, ბოუერი, ჰაალანდი, კიუელი, ჯიმი, ვინიარდი (რიბეირო 89)

საუთჰემპტონი: მოსი, უორნერი, დოდი, მარშალი, ჰილი, რიჰლი, ჰაუელსი (გიბენსი 89), პალმერი, ბრიჯი (ლე ტისიე 75), ჰიუზი, ბიტი (ოსტენსტადი 79)

გაფრთხილება: ვინიარდი, პალმერი, დოდი, ჰიუზი

მსაჯი: უილკი

ნოტინგემი 0:2 ევერტონი

0:1, 0:2 ფერგიუსონი (73, 83)

ნოტინგემი: ბისლენტი, როჯერსი (ლიტლი 70), კიში (ჰარვუდი 80), ჩეტლი, სტოუნი, ჯონსონი, არმსტრონგი, ტომპსონ, ბონვილეირი, დერშეველი, გრეი (ფრიდმენი 80)

ევერტონი: მერი, კლეილანდი, ბოლი, დაკორტი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ბარმბი (ჯადამარტერი 66), ფერგიუსონი (ტომასი 88), ატკინსონი, მატერაცი

გაფრთხილება: ტომპსონი, კიში, ჩეტლი, ჰარვუდი, ფერგიუსონი, ატკინსონი, კოლინზი

მსაჯი: ჰარისი

ერთხელ არსენ ვენგერმა თქვა, ქალაქური დერბი „არსენალს“ ძვირად უჯდება და შემდგომში სანანებელი გვიხდებაო. ერთი პრემიერლიგური სეზონის მანძილზე „არსენალს“, გნებავთ, სხვა ლონდონურ კლუბებს ათამდე დერბი უწევს, ზოგჯერ მეტიც, თუმცა თანაქალაქელთა შეხვედრები პრემიერლიგის სხვა მატჩებისგან არაფრით განსხვავდებიან — მუდამ ბოლო წუთამდე დაძაბული პაექრობაა, უსწრაფესია თამაშის ტემპი და რაც მთავარია არის თვალსაჩინო სანახაობა.

ამ ტურში არსენ ვენგერის ჩემპიონი „მეთოფეები“ მეზობელ „ჩელსის“ ესტუმრნენ, ცხადია, მოსაგებად. შეხვედრა საბოლოოდ ფრედ 0:0 დასრულდა, არადა, საგოლე შანსები ერთსაც ჰქონდა და მეორესაც. ეგებ წარმოუდგენელიც ჩანდეს, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ გამართულ ამ შეხვედრაში 15-ზე მეტი არაინგლისელი თამაშობდა(!).

ლონდონური დერბი, ამასთანავე ტურის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა, დაძაბული გამოდგა. მიუხედავად სტუმრად თამაშისა, „არსენალს“ გამარჯვება ეწადა. „ჩელსიც“ ამასვე ცდილობდა, თუმცა საბოლოოდ, როგორც აღმოჩნდა, ვერც ერთმა იმარჯვა. კაზირაგის მარტო დატოვებას არსენალელი უკანახაზელები ვერ ბედავდნენ, იტალიელს მუდამ მეურვებოდა მცველი, ცალკეულ შემთხვევაში ორიც, ისევე, როგორც სტუმართა ჰოლანდიელ თავდამსხმელ დენის ბერკამპს. კარგად ითამაშა ჯანფრანკო ძოლამ, გუნდის შეტევებს უნარიანად ხელმძღვანელობდა, სიმენსაც სახიფათოდ აწუხებდა. მოულოდნელი იყო ბრაიან ლაუდრუპის ძირითად შემადგენლობაში გამწესება — ვიალიმ ამ გადაწყვეტილებით „ჩელსის“ შეტევები კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა. ჩვეულებისამებრ კარგად, საიმედოდ ირჯებოდნენ სტუმართა უკანახაზელები: დიქსონი-კეონი-ადამსი-უინთერბერნი-პარლოუს ხუთეულის თამაშს გარკვეულწილად სიმენი ხელმძღვანელობდა. ერთი სიტყვით, იყო ყველაფერი, რაც აუცილებელია კარგი თამაშისთვის, მაგრამ არ იყო ერთი და უმთავრესი — გოლი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა მცველი ლი დიქსონი მატჩის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ მეორე გაფრთხილების გამო მინდერიდან მიაბრძანეს, ჩელსელებმა უპირატესობა გოლით ვერ გამოხატეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტემფორდბრიჯელთა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ დაიჩივლა, რომ არა მსაჯის უხეში შეცდომა, მეტოქეს დავამარცხებდითო — 70-ე წუთზე პატრიკ ვიეირამ საჯარიმოში მყოფი პიერლუიჯი კაზირაგი აშკარად წააქცია, არბიტრმა კი წესის დარღვევა ვერ, ან არ შენიშნა.

— სამწუხაროა იმ მატჩს რომ ვერ მოიგებ, რომელშიც წესით და რიგით, გამარჯვებული უნდა დარჩე. გულსატკენია, როცა გუნდი კარგად თამაშობს, იბრძვის, ამ დროს კი ნეიტრალური კაცის შეცდომა გღუპავს — ვიალის ხასიათი წახდენოდა, მისმა ფრანგმა კოლეგამ არსენ ვენგერმა კი, გუნდი თამაშს ნელა აუმჯობესებს, მალე საჩემპიონო ფორმასაც აღვიდგენთო.

ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედი“ BSkyB-ის შეიძინა. ოლდტრეფორდელთა გულშემატკივრები გარიგების წინააღმდეგნი იყვნენ, ყველანაირად ცდილობდნენ პროექტი ჩაეშალათ, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციაც მოაწყვეს, მაგრამ ბიზნესმენებმა მაინც თავისი გაიტანეს.

BSkyB-ის მფლობელობაში გადასულმა „მანჩესტერმა“ სახე უცბად იცვალა და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა, თანაც საკმაოდ შთამბეჭდავი.

0:1-ზე მანჩესტერელებმა მოახერხეს ოთხი გოლით ეპასუხათ „ჩარლტონ ატლეტიკის“ „თავხედობისთვის“. ჯერ იყო და ნორვეგიელმა სოლსკიაერმა გააყაიმა, მერე კი ტრინიდადელი დუაიტ იორკის ჯერიც დადგა — ძირითად შემადგენლობაში „ოლდ ტრეფორდზე“ იორკი პირველად თამაშობდა, ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, თავდამსხმელმა თავი არ დაზოგა და ძალიან ძლიერად ითამაშა. მისი ორი გოლი თამაშის მშვენებად იქცა.

ინგლისში გადაბარგების შემდეგ ჰოლანდიელთა მცველს იან სტამს ასე ძლიერად ალბათ, არც უთამაშია. თუ სადმე პრემიერლიგის დებიუტანტი „ჩარლტონ ატლეტიკი“ რაღაცას ცდილობდა და არ გამოსდიოდა, ყველაფერში „დამნაშავე“ სტამი გახლდათ. ეგებ ცოტა გადაჭარბებულიცაა მსოფლიოს უძვირფასესი მცველის ავარე რიგად შექება, თან არც მეტოქე გახლდათ მაინცდამაინც ძლიერი, მაგრამ რაც იყო იყო, შრომის წყალში ჩაყრა და დაუნახაობა არაფრით იქნება.

— დადგა დრო და „მაჩესტერმა“ იმარჯვა. პირველი სამი ფრე, ვფიქრობ, ის პატარა კრიზისი იყო, მსოფლიოს ჩემპიონატი რომ იყო გამოწვეული. ჩვენი გუნდის ბევრი ფეხბურთელი უდიდესი საფეხბურთო ტურნირის მონაწილე გახლდათ, ასე რომ, გადაღლა გამორიცხული სულაც არ იყო. ბოლო შვიდი წელია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ან ჩემპიონი ხდება ან მეორე ადგილზე გადის. წლეულს პირველობას ვაპირებთ, უკიდურეს შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად მაინც უნდა ვიბრძოლოთ, სხვანაირად არ იქნება — ალექს ფერგიუსონი გამარჯვებამ მეტად ოპტიმისტურ განწყობაზე დააყენა.

თუ ინგლისის II-გზის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამ სეზონში პირველად იმარჯვა, პრემიერლიგის დებიუტანტი „ჩარლტონ ატლეტიკი“ პირველად დამარცხდა. ახალბედებმა ასე იციან — ხმაურით მოდიან, მაგრამ უცბად ჩუმდებიან ან აჩუმებენ. სეზონის ბოლოს კი სულაც იქ ბრუნდებიან, საიდანაც მოსულან.

კარგა ხნით დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობს „ლივერპული“. მერსისაიდელებმა ამჯერად „ქოვენთრი“ იმსხვერპლეს 2:0. „ენფილდ როუდი“ კვლავ გადაჭედილი იყო — ლივერპულში ქომაგთა დასწრება სარეკორდო რაოდენობას აღწევს.

მაიკლ ოუენი მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილი გოლების წყალობით უაღრესად პოპულარული გახდა, ხალხი უმეტესწილად სწორედ მის სანახავად დადის სტადიონზე. „ლივერპულის“ თავდამსხმელიც ცდილობს ძლიერად ითამაშოს, მაგრამ იგიც ხომ ადამიანია? ყველა მატჩში გოლს ვერ გაიტანს, სამაგიეროდ, თავისიანების გამარჯვებაში ლომის წილის შეტანა ძალუძს — ქოვენთრელებთანაც ასე იყო. ოუენი ძლიერად თამაშობდა და მიუხედავად იმისა, რომ ბურთის შეგდება ვერ მოახერხა, „ლივერპულს“ სამი ქულა გაუნაღდა.

მეტოქეთა წინა დაპირისპირებისას „ქოვენთრიმ“ ლივერპულში „ლივერპულის“ დამარცხება მოახერხა, მაგრამ ახლა იგივე არ განმეორდა — ჯეიმი რედნაპმა, სტივ მაკმანამანმა, პატრიკ ბერგერმა და მაიკლ ოუენმა სტუმართა იმედები გაანელეს.

ახლა ლივერპულელები პრემიერლიგის ლიდერები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის მეასე ჩემპიონატი სულ რაღაც თვეა რაც დაიწყო, ახლავე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟერარ ულიეა და როი ევანსის („ლივერპულს“ ერთად წვრთნიან) კლუბი შესაძლოა ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მოგვევლინოს. მოსამზადებელი ეტაპი იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, გუნდის წარმატებული სტარტი აღარ მიკვირსო — განაცხადა მატჩის შემდეგ ულიემ.

რაც შეეხება მაიკლ ოუენს, მას თამაშის დაწყებამდე ლივერპულის ერთერთის სკოლის მოსწავლეებმა, ძირითადად მეოთხე-მეხუთე კლასელებმა სამახსოვრო პრიზი გადასცეს, როგორც თავიანთ უსაყვარლეს ფეხბურთელს.

კვლავ დამარცხდა ცოდვილი „ნიუკასლი“. რუდ გულიტი, როგორც კლუბის მწვრთნელი, პირველად ხელმძღვანელობდა გუნდს, რამაც ის შედეგი მოიტანა, რომ ჩრდილოინგლისელები კი არ განადგურდნენ, არამედ, უბრალოდ, დამარცხდნენ.

რა ცვლილებები მოახდინა გულიტმა? ჩვენთვის საინტერესო ის რომ თეძურ ქეცბაიას თამაშის შანსი მისცა, სხვა მხრივ კი პერუს ნაკრების კაპიტნის ნოლბერტო სოლანოსა და სტეფან გლასის ძირითადში გამწესების, შესაბამისად კი ფრანგი სტეფან გივარშის სათადარიგოთა სკამზე გადაჯდომის მეტი არც არაფერი მომხდარა. შედეგი იგივე დარჩა — დაუსრულებელ (ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ასე ჩანს) კრიზისში მყოფმა შავ-თეთრებმა კვლავ წააგეს.

და კიდევ — შერკილმა გაზამ პირველი გოლი გაიტანა, მას შემდეგ, რაც მარტში შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსიდან“ „მიდლსბროში“ დაბრუნდა.

ლაშა გოდუაძე

REUTERS მანჩესტერიდან

ოლდტრეფორდელთა გულშემატკივრები ყველანაირად ცდილობდნენ, პროექტი ჩაეშალათ

პირველი დივიზიონი

VII ტური

სვინდონი 4:1 ოქსფორდი

1:0 ნდა (8), 1:1 ბენჯერი (25), 2:1, 3:1 ონოურა (72, 75), 4:1 ნდა (86)

ბარნსლი 1:3 ნორვიჩი

1:0 უორდი (6), 1:1 ლ.მარშალი (58), 1:2 რობერტსი (86), 1:3 ბილემი (90)

ბირმინგემი 2:0 სტოკპორტი

1:0 მარსდენი (15), 2:0 ჰიუზი (67)

ბერი 2:1 პორტსმუთი

1:0 პრისი (23), 1:1 მაკლაფლინი (41 ბ), 2:1 დჯაბი (44)

ქრიუ 0:1 ქრ. პალასი

0:1 იანსენი (65)

ჰადერსფილდი 2:0 უოტფორდი

1:0 სტიუარტი (21), 2:0 ალისონი (41)

იფსვიჩი 3:0 ბრედფორდი

1:0, 2:0 სკოუკროფტი (22, 83), 3:0 ვენუსი (65)

პორტ ვეილი 2:1 ვულვზი

1:0 ბეტლი (14), 2:0 ნიალორი (58), 2:1 კინი (67)

ქუინზ პარკი 0:0 ტრანმერი

შეფილდ იუნ. 3:2 გრიმსბი

0:1 ლუსტერი (28), 1:1, 2:1 მარკერი (57, 68), 2:2 ბარნეტი (71), 3:2 მაკდერმოტი (89 ს.კ.)

სანდერლენდი 1:1 ბრისტოლი

1:0 ფილიპსი (13), 1:1 ანდერსენი (88)

ვესტ ბრომვიჩი 2:3 ბოლტონი

0:1 გუნლაუგსონი (19), 0:2 ბლეიკი (26), 1:2 ფლინი (40), 2:2 კილბენი (60), 2:3 გარდნერი (88)

ბირმინგემი	7	5	1	1	11:3	16
სანდერლენდი	6	4	2	0	14:3	14
ბერი	7	4	2	1	7:2	14
ვულვზი	6	4	1	1	10:4	13
ჰადერსფილდი	7	4	1	2	10:7	13
ნორვიჩი	5	4	0	1	11:6	12
ვესტ ბრომვიჩი	6	3	1	2	14:11	10
შეფილდი	7	3	1	3	11:13	10
ბოლტონი	5	2	3	0	11:8	9
სტოკპორტი	7	2	3	2	8:9	9
უოტფორდი	6	3	0	3	8:10	9
იფსვიჩი	6	2	3	1	6:2	9
სვინდონი	7	2	2	3	10:11	8
გრიმსბი	7	2	2	3	8:8	8
კრ. პალასი	5	2	2	1	7:6	8
პორტსმუთი	7	1	3	3	9:11	6
ქრიუ	6	2	0	4	7:9	6
ბარნსლი	6	1	3	2	6:9	6
ოქსფორდი	7	1	2	4	6:11	5
ბრისტოლი	7	0	4	3	9:14	4
ბრედფორდი	6	1	1	4	6:11	4
პორტ ვეილი	6	1	1	4	4:12	4
ქპრ	6	0	3	3	3:9	3
ტრანმერი	5	0	3	2	2:9	3

ბომბარდირები

ოუენი (ლივერპული)	4
მენდონკა (ჩარლტონი)	3
რაიტი (ვესტ ჰემი)	3
ეკოკუ (უიმბლდონი)	3

V ტური

12 სექტემბერი

ასტონ ვილა - უიმბლდონი
ჩარლტონი - დერბი
ჩელსი - ნოტინგემი
ევერტონი - ლიდსი
ლესტერი - არსენალი
მანჩესტერი - ქოვენთრი
ნიუკასლი - საუთჰემპტონი
შეფილდი - ბლექბერნი
ვესტ ჰემი - ლივერპული

13 სექტემბერი

ტოტენჰემი - მიდლსბრო

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ლივერპული	4	3	1	0	8:2	+6	10	2	1	1	0	2:0	+2	4	2	2	0	0	6:2	+4	6
2	ასტონ ვილა	4	3	1	0	5:1	+4	10	2	2	0	0	4:1	+3	6	2	1	1	0	1:0	+1	4
3	ლიდსი	4	2	2	0	5:1	+4	8	2	2	0	0	4:0	+4	6	2	0	2	0	1:1	0	2
4	უიმბლდონი	4	2	2	0	8:5	+3	8	2	1	1	0	4:2	+2	4	2	1	1	0	4:3	+1	4
5	არსენალი	4	1	3	0	2:1	+1	6	2	1	1	0	2:1	+1	4	2	0	2	0	0:0	0	2
6	დერბი	4	1	3	0	3:2	+1	6	2	1	1	0	1:0	+1	4	2	0	2	0	2:2	0	2
7	ნოტინგემი	4	2	0	2	4:5	-1	6	2	1	0	1	1:2	-1	3	2	1	0	1	3:3	0	3
8	ტოტენჰემი	4	2	0	2	4:7	-1	6	2	1	0	1	2:4	-2	3	2	1	0	1	2:3	-1	3
9	მანჩესტერი	3	1	2	0	6:3	+3	5	2	1	1	0	6:3	+3	4	1	0	1	0	0:0	0	1
10	ჩარლტონი	4	1	2	1	6:4	+2	5	1	1	0	0	5:0	+5	3	3	0	2	1	1:4	-3	2
11	ვესტ ჰემი	4	1	2	1	4:4	0	5	2	0	1	1	3:4	-1	1	2	1	1	0	1:0	+1	4
12	მიდლსბრო	4	1	2	1	3:4	-1	5	2	0	2	0	1:1	0	2	2	1	0	1	2:3	-1	3
13	ლესტერი	4	1	1	2	4:4	0	4	2	1	0	1	2:1	+1	3	2	0	1	1	2:3	-1	1
14	ბლექბერნი	4	1	1	2	2:3	-1	4	2	1	1	0	1:0	+1	4	2	0	0	2	1:3	-2	0
15	ევერტონი	4	1	1	2	2:3	-1	4	2	0	1	1	0:1	-1	1	2	1	0	1	2:2	0	3
16	ქოვენთრი	4	1	1	2	2:4	-2	4	2	1	1	0	2:1	+1	4	2	0	0	2	0:3	-3	0
17	შეფილდი	4	1	0	3	3:3	0	3	2	0	0	2	0:2	-2	0	2	1	0	1	3:1	+2	3
18	ჩელსი	3	0	2	1	2:3	-1	2	2	0	2	0	1:1	0	2	1	0	0	1	1:2	-1	0
19	ნიუკასლი	4	0	2	2	2:6	-4	2	2	0	1	1	1:4	-3	1	2	0	1	1	1:2	-1	1
20	საუთჰემპტონი	4	0	0	4	2:12	-10	0	2	0	0	2	2:4	-2	0	2	0	0	2	0:8	-8	0

გერმანია

ჩემპიონი ჯოჯოხეთში, ბაიერნი სამოთხეში

III ტური

დუისბურგი 1:1 მიუნხენი

1:0 ბაირლე (8), 1:1 ვინკლერი (56)

დუისბურგი: გილი, ვოლერტი, ვანა , ჰაიტო, კომლიენოვიჩი, ჰოერსენი, ნორინი, ვედაუ (ტიოფტინგი 65), მორავჩიკი (ვოლტერსი 88), ბაირლე, შპისი (ანდერსენი 71)

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ზელიჩი, კურცი, ტაისი, სტევიჩი, ჩერნი (იოვოვი 54), ჰელდტი, ოუაკილი (მალცი 69), ვინკლერი, შროტი

გაფრთხილება: ჰაიტო, კურცი

მსაჯი: კესლერი

ვოლფსბურგი 1:1 ფრაიბურგი

0:1 ჰოფმანი (24), 1:1 ონილი (77)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, კრიგერი, კოვაჩევიჩი (გრაინერი 64), კაპეტანოვიჩი (პრეგერი 46), ნოვაკი, შტამანი (ნაგორნი 75), რეინა, აკონორი, იუსკოვიაკი, ბაუმგარტი

ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, კორელი, მიულერი, კოლი (შუმანი 89), გიუნესი (პავლინი 46), ვაისჰაუპტი, ფრონცკი, ბაია, ბენ სლიმანი (რადლშპეკი 83), იაშვილი

გაფრთხილება: ნაგორნი, შტამანი, გოლცი, კორელი, მიულერი, პავლინი

მსაჯი: ვებერი

ბოხუმი 2:0 ვერდერი

1:0 ფარნჰორსტი (1), 2:0 ტოპლაკი (69)

ბოხუმი: ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვალდოხი, ფარნჰორსტი, შრაიბერი (რაისი 7), ნ. ჰოფმანი, პეშელი (ტოპლაკი 64), ბასტურკი, გაუდინიო (პეტროვიჩი 80), მიხალკე

ვერდერი: როსტი, ვიკი (კ. კუნცი 59), ვიდენერი, სკრიპნიკი, აილტსი, ფრაი, როემბიაკი, მაქსიმოვი (ფლოკი 70), ფლო, ფრინსი (ზაიდელი 62)

გაფრთხილება: პეშელი, ფლო, კუნცი

მსაჯი: ჰაინემანი

შტუტგარტი 4:0 კლაუტერნი

1:0 რისტიჩი (33), 2:0 ბობიჩი (71), 3:0 რისტიჩი (79), 4:0 ბალაკოვი (85პ)

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ვერლაატი, ბერთოლდი, ჯორჯევიჩი, სოლდო (სტოიკოვსკი 46), კელერი, პოშნერი (ცაიერი 54), ბალაკოვი, ბობიჩი, რისტიჩი (ბლესინი 83)

კლაუტერნი: რაინკე, სამირი (ბალაკი 64), რამზი (რიშე 78), შიონბერგი, როოსი, რატინიო, ვაგნერი, ბუკი (რაიხი 46), სფორცა, მარშალი, ხრისტოვი

გაფრთხილება: პოშნერი, სტოიკოვსკი, რატინიო, ვაგნერი

მსაჯი: იანსენი

გლადბახი 1:1 აინტრახტი

0:1 იანგ ჩენი (69), 1:1 პეტერსონი (90)

გლადბახი: ენკე, ანდერსონი, შნაიდერი, ასანინი, ჰაუსვაილერი (დაისლერი 63), ვიტეჩეკი (ვილა 78), ჰაგნერი (ანაგნოსტოუ 74), ფლიპსენი, კეტელაერი, პეტერსონი, პოლსტერი

აინტრახტი: ნიკოლოვი, ჰუბჩევი, ბინდევალდი, კუჩერა, შური, ზამპახი, ბრინკმანი (გერჰარდტი 78), ზობოჩიკი, პიზონტი (ვესტერტალერი 63), ბ. შნაიდერი (ვებერი 80), იანგ ჩენი

გაფრთხილება: ასანინი, შნაიდერი, ბრინკმანი, სობოჩიკი

მსაჯი: კემლინგი

ნიურნბერგი 0:0 დორტმუნდი

ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ტაუბერი (შტორცენჰოფკერი 59), ფ. ბაუმანი, რიხტერი, ვისინგერი, გიუნტერი (მაუში 46), ლიოში, ბიურგერი, პოლუნინი (ციმერი 80), ჩირიჩი, კუკა

დორტმუნდი: კლოსი, კ. ბაუმანი, ფაიერზინგერი, ნიეგუში, ტიმი (ტანკო 46), ნერლინგერი, რაინჰარდტი, ჰესლერი (ჰენგენი 55), მიოლერი, სალუ (ჰერლიხი 90), ბარბარესი

გაფრთხილება: ფ. ბაუმანი, კუკა, ტაუბერი, კლოსი, რაინჰარდტი, ტანკო

გაძევება: ბარბარესი (53)

მსაჯი: მერკი

ბაიერნი 6:1 ჰანზა

1:0 ეფენბერგი (50პ), 2:0 ჰელმერი (53), 3:0 ლისარასუ (56), 3:1 რამდანე (65), 4:1 ციკლერი (72), 5:1 იანკერი (73), 6:1 ელბერი (85)

ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი (კუფური 77), ჰელმერი, ფინკი, შტრუნცი (იერემისი 64), ეფენბერგი, ლისარასუ, ბასლერი (ციკლერი 64), ელბერი, იანკერი

ჰანზა: პიკენჰაგენი, ცალმანი, რემერი, იასერი, ლანგე, ვაილანდტი, მაიაკი, რამდანე, დოუვი (ბრაიტკროიცი 62), ნოვოტნი (გასსაუგე 75), ჰამიჩი (აგალი 62)

გაფრთხილება: ბაბელი, ლისარასუ, შტრუნცი, აგალი

მსაჯი: კრუგი

ლევერკუზენი 1:2 ჰამბურგი

0:1 გროტი (60), 1:1 მაიერი (85), 1:2 გროტი (87)

ლევერკუზენი: მატიშეკი, ლოტნერი (ჰაინცე 63), რ. კოვაჩი, ჰაპე, რეები (ლენჰოფი 71), ნოვოტნი, ზე რობერტო, ემერსონი, ბაინლიხი, კირსტენი, რინკი (მაიერი 75)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ერნსტი, ჰერჩი, ფიშერი, ჰოლერბახი (შტრაუბე 70), გროტი, იეპსენი (კირიაკოვი 54), გრავესენი (გრამოციისი 61), დემბინსკი, იებოა

გაფრთხილება: ლენჰოფი, ერნსტი, პანადიჩი

გაძევება: ნოვოტნი (26)

მსაჯი: შტაინჰორნი

ჰერტა 2:0 შალკე

1:0 რეკდალი (65პ), 2:0 ტრეზოკი (75)

ჰერტა: კირსლი, ჰერთოგი, რეკდალი, სვერისონი, ვაიტი, შმიდტი, ტრეზოკი, მანდრეკო, ვოში (დარდაი 90), პრეეტცი, ტომი (ვან ბურიკი 79)

შალკე: შობერი, აიგენრაუხი, დე კოკი, ტონი, ტაპალოვიჩი (ანდერბრიუგე 79), ლატალი (პერეირა 83), ვან ჰუგდალენი, ვან კერკჰოვენი, კლიუევი (მანდირალი 69), აიკელკამპი, მაჭხი

გაფრთხილება: ვოში, ვან კეკჰოვენი

მსაჯი: ვაკი

REUTERS მიუნხენიდან

ტორსტენ ფინკმა და „ბაიერნმა“ იგორ ბამიჩის „ჰანზას“ კართან მისასვლელი გზები მკვიდრად გადაუკეტეს

ჯერ მხოლოდ სამი ტური ჩატარდა და უკვე ცხადია, რომ წლეულს (უკეთ კი გაისად) ბუნდესლიგის ჩემპიონის გვირგვინს სხვა დაიმშვენებს და არა ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნი“.

ბევრი რამ მოხდა ამ შუა კვირაში გერმანიაში — შინ წაგო „ლევერკუზენმა“, სამაგალითოდ მოუგო „ჰანზას“ „ბაიერნმა“ კვლავ დაუმარცხებელია ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგი“, მაგრამ ეს ყველაფერი შტუტგარტში მოხდართან რა მოსატანია.

„კაიზერსლაუტერნმა“ ამ ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ წაგო, მაგრამ ოთხშაბათს მთლად უშანსოდ იყო. თასების თასის ფინალისტმა 39-ათასიან პუბლიკას შემტევი ფეხბურთის ზეიმი აჩვენა.

— როცა კარგად მომზადებული ვართ, ჩვენი გულშემატკივრების დახმარებით ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია — თქვა „შტუტგარტის“ ბულგარელმა ნახევარმცველმა კრასიმირ ბალაკოვმა, რომლის ზუსტად დარტყმული თერთმეტმეტრიანით კაიზერელებმა მეოთხედ განაახლეს თამაში ცენტრიდან.

იუგოსლავიელი სრეტო რისტიჩის გოლთაშუა ფრედი ბობიჩმაც დაამწუხრა „ლაუტერნის“ მეკარე ანდრეას რაინკე. თუმცა შტუტგატრელთაგან მაინც რისტიჩის თანამემამულე კრისტიან ჯორჯევიჩი გამოირჩა. არცერთი გოლი გაუტანიათ ჩემპიონთა კარში ისე, ჯორჯევიჩს წილი რომ არ დაედო. პირველი სამი მისი პასით გავიდა, მეოთხედ კი პენალტი სწორედ მასთან უხეშობისას დაინიშნა. მასპინძლებს მეტის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ფრედი ბობიჩმა თავიდანვე ვერ იხერა. ჩემპიონებზე დიდი უბედურება დაატყდათ თავს როსტოკელებს, რომელთაც „ბაიერნმა“ 6 გაუტანა და საპასუხოდ კი ერთი კინკილა მიიღო.

ჩანს, „ბაიერნში“, შარშან ბუნდესლიგის ჰოლიეუდად რომ მონათლეს, ჯოჯოხეთური წარსულის შემდეგ სამოთხისეულმა სიმშვიდემ დაისადგურა.

მართლაც და, ხანგრძლივი სკანდალური ისტორიებით რეპუტაციაშელახულ გუნდს თითქოს ეს აკლდაო, ბოლო ხანს კაპიტან ტომას ჰელმერის ბუნტსითავობაც ზედ დაერთო. არა, ჰელმერი კლუბს არას ერჩოდა, მაგრამ სამაგიეროდ ბუნდესნაკრებში თამაშზე უარს აცხადებდა — სანამ სათავეში ფოგთსია, ეროვნული ნაკრების მაისურს ცოცხალი თავით არ ჩავიცვამ, ან ეგ, ან მეო.

ნაკრებიდან ფოგთსის წასვლამ, ცხადია, გაახარა და თანაც როგორ აღაფრთოვანა. „ბაიერნი“ შტრუნცთან უხეშობისთვის დანიშნული და შტეფან ეფენბერგის გატანილი პენალტით რომ დაწინაურდა, მიუნხენელთა კაპიტანმა სამ წუთში ამას თავისი გოლიც მოაყოლა. ჰელმერმა ბასლერის პასით გაუტანა როსტოკელ პიკენჰაგენს. მანამდე კი ბავარიელები „ჰანზამ“ 50 წუთს აშიმშილა. აშიმშილა და, სისხლი დაინახეს თუ არა, საწყალ მეტოქეს ისეთი გაშმაგებით მიაწყდნენ, ბრდღვნადაც არ ეყოთ. ჰელმერის გოლს მომდევნო სამ წუთში მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანგმა ლისარასუმ შემატა თავისი, რითაც კარსტენ იანკერს დაუფასა გარჯა. სტუმრებმაც ანგარიში სწორედ აქ დაასველეს 3:0 — ლისარასუს არც მეტოქე თანამემამულე „ჰანზას“ ახალწვეული აბდერ რამდანე ჩამორჩა. თამაშის გასრულებამდე 20 წუთით ადრე სტუმრებს რისხვის მორიგი ნაკადი დაატყდათ თავს. იანკერმა ამჯერად ციკლერს გაატანინა, წუთის შემდეგ კი თავადვე იერემიასის პასი შეირგო. წერტილი ციკლერის დახმარებით „ბაიერნის“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჯოვანი ელბერმა დასვა. დარჩენილ ხუთ წუთში, რა გასაკვირია, თუ მიუნხენელებს თავი აღარ გამოუდიათ.

— ჩვენ ახლა მეტს ვაკეთებთ, ვიდრე ვლაპარაკობთ, გუნდში ნამდვილი ჰარმონიაა — თქვა ტომას ჰელმერმა, რათა ეჭვები, რომელიც „ბაიერნის“ მძიმე სტარტმა შვა, საბოლოოდ გაეფანტა.

მიუნხენელთა მსგავს პრობლემებს „ლევერკუზენი“ ნამდვილად არ უღრღნია, მაგრამ ჩანს, საწადელს წლეულსაც ვერ აისრულებს. „ბაიერნი“ წინა ტურში სტუმრად „ფრაიბურგს“ დაუზავდა, ახლა კი შინ სულაც დამარცხდა შარშან გავარდნას ძლივსგადარჩენილ „ჰამბურგთან“.

ლევერკუზენში სტუმრები მარტინ გროტმა ახერხა — ჯერ რუსი სერგეი კირიაკოვის პასით რომ გაიტანა და მერე საკუთარი გარჯა-მონდომებით. თავის მხრივ, „ჰამბურგის“ მეკარე ჰანს-იორგ ბუტმა წინახაზელთა მონაპოვარი შეინარჩუნა და ერთადერთხელ „ლევერკუზენის“ ჰოლანდიელის ერიკ მეიერის დარტყმული გაუშვა. „ჰამბურგს“ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით ლიბერო ფაბიან ერნსტის ჭკვიანურმა თამაშმა და მისი მასპინძელი კოლეგის, იენს ნოვოტნის ადრეულმა გაძევებამ მოაგებინა.

ტური უხვგოლიანი კი იყო და მეტწილ მატჩებში გამარჯვებულთა აღმატება დამარცხებულებზე ერთობ თვალნათლივიც გახლდათ, მაგრამ ოთხ მატჩში მეტოქეებმა მაინც ვერ დამტკიცეს უპირატესობა.

უგოლო ფრე გაგორდა ნიურნბერგში, სადაც ჰილფიკერი, ტაუბერი (შტორცენჰოფკერი 59), ფ. ბაუმანი, რიხტერი, ვისინგერი, გიუნტერი (მაუში 46), ლიოში, ბიურგერი, პოლუნინი (ციმერი 80), ჩირიჩი, კუკა და დორტმუნდი: კლოსი, კ. ბაუმანი, ფაიერზინგერი, ნიეგუში, ტიმი (ტანკო 46), ნერლინგერი, რაინჰარდტი, ჰესლერი (ჰენგენი 55), მიოლერი, სალუ (ჰერლიხი 90), ბარბარესი ერთმანეთს ვერაფერი დააკლო.

ბომბარდირები

ბაინლიხი (ლევერკუზენი)	3
ჰამიჩი (ჰანზა)	3
ვინკლერი (მიუნხენი)	3
იაშვილი (ფრაიბურგი)	2
იანკერი (ბაიერნი)	2
ეფენბერგი (ბაიერნი)	2
პეტერსონი (გლადბახი)	2
რისტიჩი (შტუტგარტი)	2
კუკა (ნიურნბერგი)	2
მარშალი (კლაუტერნი)	2

III ტური

11 სექტემბერი

აინტრახტი - შტუტგარტი

მიუნხენი - გლადბახი

12 სექტემბერი

ვერდერი - ლევერკუზენი

შალკე - ნიურნბერგი

ჰამბურგი - ვოლფსბურგი

ფრაიბურგი - ბაიერნი

კაიზერი - ჰერტა

ჰანზა - დუისბურგი

13 სექტემბერი

დორტმუნდი - ბოხუმი

№		სულ თ	ამ	ფ	წ	ბ	ს	ქ	შინ თ	ამ	ფ	წ	ბ	ს	ქ	სტუმრად თ	ამ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ბაიერნი	3	3	0	0	10:2	+8	9	2	2	0	0	9:2	+7	6	1	1	0	0	1:0	+1	3
2	ჰამბურგი	3	2	1	0	4:2	+2	7	1	1	0	0	1:0	+1	3	2	1	1	0	3:2	+1	4
3	შტუტგარტი	3	2	0	1	6:2	+4	6	2	2	0	0	6:1	+5	6	1	0	0	1	0:1	-1	0
4	ჰერტა	3	2	0	1	3:3	0	6	2	2	0	0	3:0	+3	6	1	0	0	1	0:3	-3	0
5	კლაუტერნი	3	2	0	1	4:6	-2	6	1	1	0	0	2:1	+1	3	2	1	0	1	2:5	-3	3
6	ნიურნბერგი	3	1	2	0	4:3	+1	5	2	1	1	0	2:1	1	4	1	1	0	0	3:2	+1	3
7	ფრაიბურგი	3	1	2	0	4:3	+1	5	1	0	1	0	1:1	0	1	2	1	1	0	3:2	+1	4
8	გლადბახი	3	1	1	1	5:3	+2	4	2	1	1	0	4:1	+3	4	1	0	0	1	1:2	-1	0
9	დორტმუნდი	3	1	1	1	4:2	+2	4	1	1	0	0	3:0	+3	3	2	0	1	1	1:2	-1	1
10	ლევერკუზენი	3	1	1	1	5:4	+1	4	2	1	0	1	4:3	+1	3	1	0	1	0	1:1	0	1
11	მიუნხენ 1860	3	1	1	1	5:5	0	4	1	0	0	1	1:2	-1	0	2	1	1	0	4:3	+1	4
12	დუისბურგი	3	1	1	1	4:5	-1	4	2	1	1	0	3:2	+1	4	1	0	0	1	1:3	-2	0
13	ბოხუმი	3	1	0	2	3:3	0	3	2	1	0	1	3:2	+1	3	1	0	0	1	0:1	-1	0
14	შალკე 04	3	1	0	2	1:5	-4	3	1	1	0	0	1:0	+1	3	2	0	0	2	0:5	-5	0
15	ვოლფსბურგი	3	0	2	1	4:5	-1	2	2	0	1	1	1:2	-1	1	1	0	1	0	3:3	0	1
16	აინტრახტი	3	0	1	2	4:6	-2	1	1	0	0	1	2:3	-1	0	2	0	1	1	2:3	-1	1
17	ჰანზა	3	0	1	2	5:12	-7	1	1	0	1	0	3:3	0	1	2	0	0	2	2:9	-7	0
18	ვერდერი	3	0	0	3	2:6	-4	0	1	0	0	1	2:3	-1	0	2	0	0	2	0:3	-3	0

მეორე ბუნდესლიგა

V ტურის გამოტოვებული მატჩი

დიუსელდორფი 2:2 ბერლინი

1:0 ტარე (1), 1:1 კოვაჩევიჩი (53), 2:1 ტარე (68), 2:2 ნამდარი (87)

III ტურის გამოტოვებული მატჩი

ჰანოვერი 6:1 კიოლნი

1:0 ამოა (3), 1:1 დონკოვი (21), 2:1 ადო (60), 3:1 ასამოა (74), 4:1 ლალა (84), 5:1, 6:1 ნდიაიე (86, 88)

ულმი	5	4	1	0	14:5	13
მაინცი	5	3	1	1	10:3	10
ბერლინი	5	3	1	1	8:5	10
ჰანოვერი	5	3	0	2	10:6	9
კიკერსი	5	3	0	2	5:4	9
ფორტუნა	5	3	0	2	9:10	9
არმინია	5	3	0	2	7:8	9
კოტბუსი	5	2	2	1	7:3	8
ფიურტი	5	2	2	1	7:6	8
უნტერჰახინგი	5	2	1	2	6:7	7
ზანქტ პაული	5	2	0	3	3:6	6
დიუსელდორფი	5	1	2	2	8:8	5
ურდინგენი	5	1	2	2	5:5	5
ობერჰაუზენი	5	1	2	2	2:5	5
გიუტერსლო	5	1	1	3	4:8	4
კიოლნი	5	1	1	3	4:10	4
კარლსრუე	5	1	0	4	6:11	3
ვატენშაიდი	5	0	2	3	2:6	2

ვახტანგ ბზიცაძე

კაცი, რომელიც სავარძლიდან წამოაყენეს

REUTERS ფრანკფურტიდან

ული შტილიკე და ერიხ რიბეკი

— ვარსკვლავი? ვარსკვლავი რას ნიშნავს? — ჰკითხა ოდესღაც ერიხ რიბეკმა ცნობილი გერმანული ჟურნალის „კიკერის“ კორესპონდენტს.

ერიხ რიბეკი 61 წლის კაცია. მწვრთნელობაში ჭიპი აქვს მოჭრილი. ხელმძღვანელობდა მიუნხენის „ბაიერნს“ (1992-93), ფრანკფურტის „აინტრახტს“, დორტმუნდის „ბორუსიას“, „კაიზერსლაუტერნსა“ და ლევერკუზენის „ბაიერს“, რომელსაც 1988 წელს უეფას თასი მოაგებინა.

ოთხშაბათს რიბეკი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. ნაკრებში ის ადრეც ყოფილა, 1978-84 წლებში, მაგრამ მაშინ ასისტენტი გახლდათ, მთავარი კი იუპ დერვალი ბრძანდებოდა.

ეროვნულ გუნდთან დაკავშირებით რიბეკს უცნაური ბედი აქვს: გერმანული ფეხბურთის ისტორიაში სულ ორჯერ მოხდა ნაკრების თავკაცს კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვა რომ არ აცალეს და თანამდებობიდან მანამდე გაათავისუფლეს. პირველად ეს იუპ დერვალს შეემთხვა, 1984 წელს. რიბეკი, როგორც ასისტენტი მაშინ მასთან ერთად გადადგა. მეორე ნაადრევად წასული კი ბერტი ფოგთსია, რომელიც რიბეკმა შეცვალა.

როგორც მოგახსენეთ, ახალ ბუნდესმწვრთნელს ფეხბურთელებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაში ბევრი წელიწადი გაუტარებია. მის ხელში გაუვლიათ თავნებობით ცნობილ თომას ბერთოლდს, ბერნდ შუსტერსა და თომას შტრუნცს, მაგრამ რიბეკი მაინც კითხულობს: ვარსკვლავი? ეს რას ნიშნავს?

გერმანიის ნაკრების წინა ორ თაკაცს, ფრანც ბეკენბაუერსა და ბერტი ფოგთსს ახალგაზრდობაში, როგორც მოთამაშეებს ბრწყინვალე კარიერა აქვთ გავლილი. რიბეკის ახალგაზრდობას კი მხოლოდ ვუპერტალის 1904-ის, იმავე ქალაქის და კიოლნის „ვიკტორიას“ გულშემატკივრები იცნობდნენ.

სამაგიეროდ მერე, მწვრთნელობაში დაიგდო „სერ ერიხმა“ დიდი სახელი. დიახ, სწორედ „სერ ერიხმა“, რადგან ასე გულწრფელობისა და დიდსულოვნებისთვის შეარქვეს.

„სერ ერიხი“ გოლფის ტრფიალია. ფერფლისფერთმიანი შავ, უფრო სწორედ მუქ კოსტუმებს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, სამოქალაქო ცხოვრებაში, მოედნის კიდესთან სკამზე სპორტული პიჟამოთი ჩამომჯდარი კი ზუსტად ისეთია, როგორიც ბევრი კოლეგა. ის ღელავს, სკამიდან ხტება, ხელებს შლის და მიწოლილი ხმით ყვირის.

„ის ფრიად გამოცდილია, იცის გერმანიის ნაკრების სტრუქტურა და დღესვე შეუძლია სამუშაოში თავით გადაშვება“ — განაცხადა ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრესმდივანმა, ვოლფგანგ ნიერბახმა — „სწორედ ამისთვის შევაჩერეთ არჩევანი მასზე. ეჭვი არაა, მისი ხელმძღვანელობით ჩვენი გუნდი ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე მოხვდება“.

ერიხ რიბეკი 1996 წლის მერე ფეხბურთის მაყურებლად იქცა. ეს მას მერე მოხდა, რაც 1995-ში ლევერკუზენში დაბრუნებული ერთი წლის მერე თანამდებობიდან მოხსნეს და მანაც იფიქრა მეყოფა, დროა ტელევიზორთან, სავარძელში მოკალათდეო, მაგრამ ვინ იცის, ბედი ვის რას უმზადებს.

— გერმანიის ნაკრების გაძღოლა უდიდესი პასუხისმგებლობა ცხოვრების გამოწვევაა. მუშაობას იმით დავიწყებ, რომ ძალიან ბევრ ფეხბურთელს შევხვდები. გავესაუბრები მათაც, ვინც პირდაპირ თუ ქარაგმით ეროვნული გუნდიდან წასვლაზე ლაპარაკობს — თქვა რიბეკმა სატელევიზიო ინტერვიუში.

წამსვლელებში ახალმა მწვრთნელმა ალბათ, ის მოთამაშეები იგულისხმა, ფოგთსზე რომ იყვნენ აღრენილნი, თორემ კლინსმანი, მათეუსი და კოლერი წარსულს ჩაბარდნენ.

— ვერც შტილიკესთან თანამშრომლობაში ვხედავ რაიმე პრობლემას — დასძინა მან — მე რომ დერვალის ასისტენტი ვიყავი, შტილიკე ჩვენი გუნდის ფეხბურთელი გახლდათ.

დიახ, ული შტილიკე, გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი რიბეკის თანაშემწედ დაინიშნა.

— რიბეკისა და შტილიკეს დუეტი ძალიანაც მაწყობს. ეჭვი არ მეპარება, რომ თანამშრომლობა შედეგს გამოიღებს. დღეს ჩვენს ნაკრებს ორი ისეთი კაცი სჭირდებოდა, მის მიხედვასა და პატრონობას რომ შეძლებს — ეს სიტყვები კმაყოფილმა შტილიკემ უთხრა ჟურნალისტებს.

ერიხ რიბეკისა და ული შტილიკეს დუეტი გერმანიის განახლებულ ეროვნულ გუნდს პირველ ოფიციალურ შეხვედრას 10 ოქტომბერს, თურქეთში ჩაატარებინებს.

მიხეილ სურგულაძე



ერიხ რიბეკი

დაიბადა 1937 წლის 30 ივნისს
1949-1959 თამაშობდა 1904 ვუპერტალში
1959-1962 თამაშობდა ვუპერტალში
1962-1965 თამაშობდა კიოლნის „ვიკტორიაში“
1965-1967 მუშაობდა მიუნხენგლადბახის „ბორუსიას“ მწვრთნელის ასისტენტად
1967-1968 წვრთნიდა ესენის „როტ ვაისს“
1968-1973 წვრთნიდა ფრანკფურტის „აინტრახტს“
1973-1978 წვრთნიდა „კაიზერსლაუტერნს“
1978-1984 მუშაობდა გერმანიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტად
1984-1985 წვრთნიდა დორტმუნდის „ბორუსიას“
1985-1988 წვრთნიდა ლევერკუზენის „ბაიერს“
1988-1989 მუშაობდა „ჰამბურგის“ სპორტულ დირექტორად
1992-1993 წვრთნიდა მიუნხენის „ბაიერნს“
1995-1996 წვრთნიდა ლევერკუზენის „ბაიერს“

გერმანიის ნაკრების ყველა მწვრთნელი

1926 - 1936	ოტო ნერცი	70	42	10	18	მესამე ადგილი 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე
1936 - 1964	ზეპ ჰერბერგერი	167	94	27	46	1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონი
1964 - 1978	ჰელმუტ შიონი	139	87	30	22	1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 1966 წლის ფინალისტი, 1970-ში მესამე ადგილი, 1972-ევროპის ჩემპიონი
1978 - 1984	იუპ დერვალი	67	45	11	11	1982 - მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი, 1980 - ევროპის ჩემპიონი
1984 - 1990	ფრანც ბეკენბაუერი	66	34	19	13	1990 - მსოფლიოს ჩემპიონი, 1986 - მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი
1990 - 1998	ბერტი ფოგთსი	102	67	23	12	1996 - ევროპის ჩემპიონი, 1992 - ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი
1998 -	ერიხ რიბეკი					

ჰოლანდია

III ტური

სპარტა 1:1 როდა

0:1 პიტერსი (29), 1:1 ტამერი (51)

ფეიენოორდი 5:0 გრაააფსხაპი

1:0 ვან ფოსენი (27), 2:0 რზაზა (69ს.ჯ.), 3:0 პააუვე (78), 4:0 ვან გასტელი (82პ), ნელსიე (90)

ვალვაიკი 3:4 აინდჰოვენი

1:0 პეტროვი (15), 2:0 დე გრაფი (18), 2:1 ხოხლოვი (64), 2:2 დე ბილდე (40), 2:3 ვან ნისტერლოი (43), 3:3 ბიკინკი (64), 3:4 დე ბილდე (80პ)

აინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუსიუსი, მარკოსი, ჭკაიერი, ოიენი, ივანი (რომენდალი 67), ოიერი, ხოხლოვი (ბრუგინკი 81), კოლკა, ვან ნისტერლოი, დე ბილდე (ვან დერ დოლენი 90)

ჰერენვენი 2:2 ტილბურგი

1:0 მიტრიტა (34), 1:1 გალასეკი (52), 1:2 ბომბარდა (80), 2:2 პალპლატი (87)

ბრედა 1:1 ტვენტე

0:1 ჰოგმა (26), 1:1 სანტანა (40)

ბრედა: კარელსე, გუდელი, ვან ასი, შრუდერი, ატმოდიკორო, ბოსზი, იუნგ იონ ნო, ფეკუნსი, სტიუარტი, ა. არველაძე, ზეფილინო (მაკდონალდი 78).

მაასტრიხტი 1:4 უტრეხტი

0:1 დე იონგი (1), 1:1 იორდენსი (2), 1:2 ტიონი (13), 1:3 მოლსი (68), 1:4 დე იონგი (78)

კამბური 2:2 ნაიმეგენი

1:0 ვან დერ ჰაიდე (17), 1:1 ელერმანი (57), 1:2 ტუმანი (64), 2:2 აბმა (82)

სიტარდი 0:2 ვიტესი

0:1, 0:2 მახლასი (60, 67)

აიაქსი 5:1 აზ67

1:0 დანი (14), 2:0 მაკარტი (45), 3:0 ლიტმანენი (58პ), 4:0 ოლისე (69), 4:1 ჰუბერტსი (70), 5:1 ჰუქსტრა (87)

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ოლისე, ბლინდი (ჰუქსტრა 62), მელხიოტი, დანი, ლიტმანენი, ვიჩხე, ბაბანგიდა (ვამბერტო 80), ბენი, ქინქლაძე (გრუკინგი 68).

მესამე ტურში ყველაზე დრამატული ბრძოლა ვალვაიკში გაიმართა, სადაც ადგილობრივი გუნდი ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთ აღიარებულ გრანდს — „აინდჰოვენს“ მასპინძლობდა. გიორგი გახოკიძის კლუბმა ახალი სეზონი საშინლად დაიწყო და პირველ ორ შეხვედრაში ხუთი ქულის გაფლანგვით ისეთ მძიმე ვითარებაში ჩაიგდო თავი, რომ ადვილი შესაძლებელია, ასეთი ჩამორჩენის აღმოფხვრა საერთოდ ვეღარ შეძლოს.

ყოველ შემთხვევაში, „აინდჰოვენის“ წლევანდელი თამაშის მიხედვით ძალიან ძნელია, სხვაგვარად იფიქრო კაცმა სეზონის დასაწყისში ქვეყნის სუპერთასზე „აიაქსთან“ დამაჯერებლად მოპოვებულ გამარჯვებას თუ არ ჩავთვლით, ბობი რობსონის შეგირდები, რბილად რომ ვთქვათ, ულიმღამოდ ასპარეზობენ, რის გამოც მეტოქეთ თვალში ერთგვარად პრესტიჟიც კი ეკარგებათ.

აინდჰოვენელთა სისუსტის გამოყენება, სხვების დარად, „ვალვაიკმაც“ სცადა. მასპინძლებმა თავიდანვე მედგრად შეუტიეს და უკვე მე-18 წუთისთვის 2:0-საც იგებდნენ. ასეთი მოულოდნელი დაწყისის მიუხედავად სტუმრები არ დაბნეულან. მათ აუელვებლად განაგრძეს თამაში და ორიოდ წუთში მათგან, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო, რუსი დმიტრი ხოხლოვის გოლით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს. შემდეგ კი... თითქოს თამაშში გარდატეხა შეტანილი იყო, რაც მეორე ტაიმის შუაგულისთვის ტაბლოზეც ნათლად ჩანდა, მაგრამ კვლავ თავი იჩინა იმ ფაქტორმა, რომ „აინდჰოვენი“ თავიდან ჩამოყალიბების პროცესშია და სასურველ კონდიციებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

სტუმრებმა რიჩარდ ბიკინკს საჯარიმო მოედანთან ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება მისცეს და ამ უკანასკნელსაც ანგაშის გაქვითვა არ გასჭირვებია 3:3. „აინდჰოვენი“ მორიგი შერცხვენისგან ბელგიელმა ლეგიონერმა დე ბილდემ იხსნა, რომლის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი უზადო იყო.

სხვა წყვილებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გიორგი ქინქლაძემ და არჩილ არველაძემ შესაბამისად „აიაქსისა“ და „ბრედას“ მატჩებში ბურთის შეგდება ვერ შეძლეს. შთა არველაძეს კი ტრავმის გამო საერთოდ არ უთამაშია.

სატურნირო ცხრილს, საკმაოდ მოულოდნელად, შარშანდელ ჩემპიონატში აშკარად სუსტად მოსპარეზე „უტრეხტი“ მოექცა სათავეში. ამ გუნდმა „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ დარად სამივე საწყისი შეხვედრის მოგება მოახერხა, ხოლო პირველი ადგილი მეტოქეებთან შედარებით უკეთესი ბურთების შეფარდების გამო უჭირავს.

	ი	რ	ა	კ	ლი	ხ	ქ
უტრეხტი	3	3	0	0	11:3		9
ფეიენოორდი	3	3	0	0	10:2		9
აიაქსი	3	3	0	0	9:1		9
ვიტესი	3	2	1	0	3:0		7
ჰერენვენი	3	2	1	0	5:3		7
ნაიმეგენი	3	1	2	0	4:3		5
აინდჰოვენი	3	1	1	1	6:6		4
ტვენტე	3	1	1	1	2:2		4
ტილბურგი	3	1	1	1	3:4		4
აზ 67	3	1	1	1	3:5		4
გრააფსხაპი	3	1	1	1	4:8		4
ბრედა	3	0	2	1	4:6		2
კამბური	3	0	2	1	3:6		2
ვალვაიკი	3	0	1	2	5:7		1
როდა	3	0	1	2	1:4		1
სპარტა	3	0	1	2	1:4		1
სიტარდი	3	0	0	3	1:5		0
მაასტრიხტი	3	0	0	3	3:9		0

REUTERS მილანიდან

ავსტრია

მე-7 ტურ.: ლუსტენაუ — ზალცბურგი 1:1, რიდი — გრაცერი 0:1, შტაირი — ტიროლი 2:1, შტურმი — ლინცერი 0:1, აუსტრია — რაპიდი 0:1

გრაცერი	7	5	2	0	9:3	17
რაპიდი	6	5	1	0	14:3	16
ლინცერი	7	5	0	2	14:10	15
აუსტრია	7	3	2	2	9:7	11
შტურმი	7	3	1	3	9:7	10
ზალცბურგი	5	1	2	2	8:10	5
რიდი	7	1	1	5	5:8	4
ტიროლი	6	1	1	4	7:12	4
ლუსტენაუ	7	0	4	3	6:14	4
შტაირი	7	1	2	4	6:13	2

შტაირს დაკლებული აქვს 3 ქულა.

რა უნდა მოიმოქმედოს ორმა ცნობილმა ფეხბურთელმა თუკი ორივეს მაისურზე მეცხრე ნომრის მიწერა სურს? გამოსავალი რამდენიმეა: იჩხუბონ, იჩივლონ მწვრთნელთან, ერთმა მეორეს დაუთმოს... „ინტერის“ ფორვარდებმა ბრაზილიელმა რონალდომ და ჩილელმა ივან სამორანომ ორიგინალურ ხერხს მიაგნეს, რომელსაც ფოტოზე ხედავთ

ფული ინგლისსაც ანათებს

„არსენალსაც“ მიადგნენ. მას მედიის გიგანტმა „კარლტონმა“ პრემიერლიგის ჩემპიონთან მოლაპარაკებები წამოიწყო, მისი შეძენა სურს.

„მანჩესტერ იუნაიტედისგან“ განსხვავებით („იუნაიტედი“ მოგებსინებათ ორი დღის წინ ავსტრალიელი მილიარდელის რუპერტ მერდოკის ბრიტანულმა ტელეცენტრმა BSkyB-მ იყიდა) „არსენალი“ კერძო, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა. მისი ძირითადი მეპატრონეა „ოფექსი“, კერძო საფონდო ბირჟა, რომელიც ოთხშაბათს კლუბის თითო აქციას 2900 გირვანქად აფასებდა, მაგრამ „კარლტონის“ ამბის გახმაურების შემდეგ აქციის ღირებულება 3100 გირვანქამდე გაიზარდა.

სადღეისოდ „არსენალი“ 186 მილიონ გირვანქად არის შეფასებული, თუმცა ლონდონის გაზეთ „ივნინგ სტანდარდის“ ცნობით „კარლტონი“ მის ყიდვას 275 მილიონ გირვანქად ანუ 460 მილიონ დოლარად აპირებს.

კლუბის სრული კონტროლისთვის „კარლტონს“ ლონდონელების კლუბის აქციათა 51 პროცენტის შეძენა სჭირდება, თუმცა კომპანიის განცხადებაში წერია, რომ არაა გამორიცხული მისი და „არსენალის“ ისეთი ორმხრივ სასარგებლო გარიგებაც, რომლის დეტალებიც საჯაროდ არ გახმაურდება.

„ოფექსის“ გარდა „არსენალის“ მეპატრონეთა რიცხვში არიან მულტი მილიონერი დენი ფრიზმანი, რომელმაც დიდძალი ქონება ბრილიანტებით მოვაჭრე მშობლებისგან მიიღო (კლუბის 29 პროცენტს ფლობს) და რიჩარდ კარი, რომლის გვარიც თაობებით „არსენალის“ საბჭოშია (მას 28 პროცენტი აქვს).

ამ რიცხვების მოყვანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ აშკარაა, თუ „კარლტონი“ ხსენებულ ორ მონაწილეს „იყიდის“, ასე სასურველი 51 პროცენტი განაღდებული ექნება.

მაგრამ არც „კარლტონის“ განზრახვის ბლოკირებაა გამორიცხული. საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებული რიჩარდ კარის მამა კლაივი თავის მხრივ 4872 აქციის მეპატრონეა, „არსენალის“ ვიცეთავმჯდომარე დევიდ დეინი 112912 აქციას ფლობს, დანარჩენი 6534 აქცია კი შედარებით წვრილ მეპატრონეთა საკუთრებაა და ბუნებრივია გაერთიანება ამ ხალხსაც შეუძლია. მოკლედ, ვინ ვის გადაიბირებს, ამაზე დგას საქმე.

ახლა კი იმის შესახებ, ვისი თუ რისი ყიდვა მოსურვებია „კარლტონს“.

„არსენალი“ ინგლისის 11 გზის ჩემპიონი გახლავთ. 1980-იანი წლების „მომაბეზრებელი არსენალი“ 1990-იანი წლების მიწურულს ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად იქცა, რაც მისი ფრანგი მწვრთნელის არსენ ვენგერის დამსახურებაა. ვენგერმა „მეთოფეებად“ წოდებულ ლონდონელებს სტილი და ნირი უცვალა, თუმცა ამისათვის იგი ფრანგი და ჰოლანდიელი ვარსკვლავებით აავსო.

112 წლიან ისტორიაში „არსენალს“ ოთხი ოქროს ხანა ჰქონდა. პირველი 1930 წლებში იყო, როდესაც შეუჯერებელმა გუნდმა ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ინგლისის პირველი გუნდისთვის განკუთვნილი ტიტული. მეორე ოქროს ხანა მეოთხეებს 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანების დასაწყისში ჰქონდათ, მესამე 70-იანების დასაწყისში, ჩემპიონებიც რომ გახდნენ და თასიც რომ მოიგეს, მეოთხე კი 80-იანების ბოლოს. ახლა, ვენგერის ხელში ლონდონის ჩრდილოეთში მეხუთე აღმავლობაზე ალაპარაკდნენ.

112 წლის წინ, 1886 წელს, ლონდონის სამხრეთ აღმოსავლეთში, „უელსის პრინცის ტავერნაში“ დაარსებული კლუბი თავიდან „დაიალ სკვეარზე“ თამაშობდა და „როიალ არსენალი“ ანუ სამეფო არსენალი ერქვა. შემდეგ სახელწოდება „ვულვიჩ არსენალად“ შეიცვალა. 1914 წელს კი ყველანაირი პირველი სიტყვა მოშორდა და დარჩა უბრალოდ „არსენალი“, რომელიც ლონდონის ჩრდილოეთში გადასახლდა.

მეტსახელი, „მეთოფეები“ კლუბს ჯერ კიდევ „როიალ არსენალობის“ დროიდან მიეწება, ვინაიდან მის წევრთა ძალიან დიდი ნაწილი თოფ-იარაღის ქარხანაში მუშაობდა.

„არსენალს“ იმითაც შეუძლია იამაყოს, რომ ინლისის უმაღლესი ლიგა (რომელსაც ხან რა ერქვა, ხან რა) მხოლოდ ერთხელ, 1913 წელს დატოვა, საიდანაც 1919-ში დაბრუნდა და მწვრთნელის ჰერბერტ ჩაპმენის მოსვლის შემდეგ ანუ 1925 წლიდან აღმავლობას შეუდგა.

„მეთოფეებმა“ 1930-იან წლებში ოქროს მედლები ლამის თავიანთ საკუთრებად აქციეს. 1934 წელს ჩეპმენი შუა კვირის ერთ-ერთი მატჩის ცქერისას გაცივდა და გარდაიცვალა. იგი შეგირდმა ჯორჯ ელისონმა შეცვალა და მეორე მსოფლიო ომამდე ღირსეულადაც განაგრძო მისი საქმე.

1947-ში ელისონის სკამი ტომ უიტეკერმა დაიკავა და „არსენალი“ ისევ ლიგის კენწეროში აიყანა, მაგრამ ახალი მწვრთნელის ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო დატვირთვას. უიტეკერი 1956 წელს ინფარქტმა იმსხვერპლა.

მომდევნო ათ წელიწადში გუნდი ჯახირობდა. დიდი ფეხბურთელყოფილის ბილი რაიტის გამწვრთნელებამაც ვერ მოუტანა შედეგი.

1966 წელს „არსენალს“ სათავეში „ფეხბურთის უცოდინარი“, პროთესიით ფსიქოთერაპევტი ბერტი მი რომ ჩაუდგა, ბევრი აღშფოთდა, მაგრამ მიმ ნახევარმცველი ჯორჯ გრემი იყიდა და 1968 და 1969 წლებში გუნდი ლიგის თასის ფინალში გაიყვანა. მართალია „მეთოფეებმა“ ორივე ჯერზე მარცხი იწვნიეს, მაგრამ მომდევნო 1970 წელს მათ ევროპის ბაზრობათა თასი (მერე უეფას თასად რომ იქცა) მოიგეს. სხვათა შორის, ნახევარმცველი ჯორჯ გრემი, ზემოთ რომ ვახსენეთ, 80-იან წლებში გუნდის მწვრთნელი გახდა.

მი 1976 წელს გადადგა თანამდებობიდან. იგი „არსენალის“ ყოფილმა კაპიტანმა ტერი ნილმა შეცვალა, რომელმაც 1978 წელს თასის ფინალში „იფსვიჩთან“ წააგო, 1979-ში „მანჩესტერ იუნაიტედს“ აჯობა, 1980-ში კი ისევ წააგო, ამჯერად „ვესტ ჰემთან“. იმ წელიწადს „არსენალი“ ევროპის თასების თასის ფინალშიც დამარცხდა, პენალტებში, ესპანურ „ვალენსიასთან“.

ნილის მერე იყო დონ ჰოუ, მერე კი გრემი.

გრემის ხელმძღვანელობით „არსენალმა“ ლიგის თასი და 1989 და 1991 წლების ჩემპიონობა მოიგო. 1993-ში კი თასების თასს გარნირად ასოციაციისა და ლიგის თასებიც შემოუწყო.

გრემი მჭიდრო დაცვით იყო ცნობილი, მაგრამ 1995 წლის თებერვალში შავი ფულის კეთებითაც გაითქვა სახელი და...

„ჰაიბერიზე“ ცოტა ხანს ბრუს რიოქი მუშაობდა, 1996 წლის სექტემბერში კი ვენგერი მივიდა...

პაპუნა კედია

არსენალი

დაარსდა 1886 წელს

1886 — 91 წლებში ერქვა „როიალ არსენალი“, 1891 — 1914 წლებში — „ვულვიჩ არსენალი“, 1914 — დან მოყოლებული „არსენალი“

ტიტულები: ინგლისის ჩემპიონი — 1931, 1933, 1934, 1935, 1938, 1948, 1953, 1971, 1989, 1991, 1998

ასოციაციის თასის მფლობელი — 1930, 1936, 1950, 1971, 1979, 1993, 1998

ლიგის თასის მფლობელი — 1987, 1993

უეფას თასის მფლობელი — 1970

თასების თასის მფლობელი — 1994

დუბლი შეასრულა ორჯერ — 1971, 1998

სტადიონი — ჰაიბერი, 38500 მაყურებელი

მწვრთნელი — არსენ ვენგერი, 1996 წლის სექტემბრის შემდეგ

ინგლისის ჩემპიონატში ყველაზე მეტი მატჩი: დევიდ ოლირი — 558 (1975 — 93)

ინგლისის ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი: კლიფ ბასტინი — 150 (1930 — 47)

კლუბის ყველა დროის ბომბარდირი: იან რაით — 185 (1991 —98)

ინგლისის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი: კენი სენსომი — 77

ფორმის ფერები: შინ — წითელი მაისურები, თეთრი შორტები

სტუმრად — ყვითელი მაისურები, ცისფერი შორტები

მეტსახელი — მეთოფეები

ბელგია

V ტური

ანდერლეხტი 2:3 ბრიუგე

0:1 ანიჩი (40), 0:2 დეფლანდრე (51), 0:3 ლესნიაკი (65), 1:3 ზეტერბერგი (75ჯ), 2:3 იაშჩუკი (90)

სტანდარდი 2:1 კორტრიკი

1:0 პელდრმანსი (41ჯ), 2:0 მორნარი (47), 2:1 დებრაბანდერე (82)

სტანდარდი: რუნიე, ტიისი, (ბლეი 32), აფოლაბი, ბილიჩი, ალიაი, რემაკლე, ერნსტი, ბისკონტი, პელდერმანსი, დე კონდე, მორნარი.

ოსტენდე 0:0 შარლერუა

გენტი 0:1 გენკი

0:1 გუდიორსონი (47)

ლოგელი 1:2 ეკერენი

0:1 პოფმანსი (40), 0:2 სონკი (54), 1:2 ვალიგორა (75ჯ)

ჰარელბეკი 1:2 ვესტერლო

1:0 დე ტოლერარე (17), 1:1 დაუვე (35), 1:2 პორტე (90),

ლოკერენი 0:0 მუსკრონი

ლიერსი 3:0 ბევერენი

1:0 ვან მეირი (31), 2:0, 3:0 სომერსი (75, 80)

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკინსი, ვან მეირი, დამსი, ზდებელი, (სურნელსი 86), ლენი, სომერსი, ჰააგდორენი, (ვან დე ვეირი 58), კავენსი, (ლაერმანსი 70), ჰუისტრა.

აალსტი 1:3 სტ. ტრუიდენი

0:1 პეტერსენი (1), 0:2 ფიერსი (46), 0:3 ენგლებერტი (65), 1:3 მეისენი (78)

ტურის ცენტრალური შეხვედრა „ანდერლეხტსა“ და „ბრიუგეს“ შორის, რომელიც მოსალოდნელი იყო, უაღრესად დრამატულად წარიმართა. ქვეყნის ოცდათხზის ჩემპიონებმა, რომლებიც ამ მატჩში მასპინძლებად გვევლინებოდნენ, ახალდაწყებულ პირველობაში ისეთი ცუდი სტარტი აიღეს, კოშმარულ სიზმარშიც ძნელად თუ წარმოიდგენდნენ. მათ მიერ ფრედ ნათამაშევ შეხვედრებს წაგებები ცვლიდა, რამაც „ანდერლეხტი“ იქამდე მიიყვანა, რომ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი გუნდი მოულოდნელად სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა.

წინა ტურში საშუალო დონის „ვესტერლოსთან“ 0:6 განადგურებამ ხომ ბრიუსელელებს მთლად მოუთავა ხელი. ერთგულმა გულშემატკივრებმა ბოიკოტი მოუწყვეს და ამიტომ, თუ განრისხებული ფანების გულების მოლბობა სურდათ, მასპინძლებს მუდმივ კონკურენტ „ბრიუგესთან“ აუცილებლად უნდა მოეგოთ, მაგრამ...

გამარჯვებას ვინ ჩივის, მეორე ტაიმის 65-ე წუთისთვის ტაბლო „ანდერლეხტისთვის“ შემზარავ ციფრებს ჰკვენებდა 0:3. აქ კი ისედაც გადარეულმა ქომაგებმა ემოციები ველარ მოთოკეს. ცხადი იყო, ისინი არ დამშვიდებოდნენ, და უწესრიგო ქმედებებს თამაშის შემდეგაც განაგრძობდნენ. მართლაც ასე მოხდა. მართალია, მასპინძლებმა ასეთი დიდი ჩამორჩენის მიუხედავად ბოლომდე იბრძოლეს, ხელები არ ჩამოუშვეს და 10-კაცის შემადგენლობით დარჩენილი მეტოქის კარში ორი გოლის გატანით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ გულშემატკივართათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მორიგი მარცხით გულდაწყვეტილმა ათასობით ფანმა ბრიუსელის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიებს ნამდვილი რისხვა დაატეხა თავს. ქომაგები ამტვრევდნენ ყველაფერს, რაც გზად შეხვდებოდათ. მათი დაშოშმინება ცხენებზე ამხედრებულმა ადგილობრივი ჟანდარმერიის 600-იოდე წარმომადგენელმა სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

შვეიცარია

IX ტური

სენტ გალენი 2:1 ლუცერენი

1:0 ვურენსი (24), 1:1 კოუმანტარაკისი (47), 2:1 კონტინი (63)

იანგ ბოისი 3:4 სერვეტი

0:1 ვარელა (4), 1:1 საუ (30), 2:1 ბეკეროვსკი (33), 2:2 ლონფანტი (51), 2:3 რეი (69), 3:3 გომესი (74), 3:4 რეი (88)

გრასჰოპერი 1:1 ძსამაძსი

1:0 ყაველაშვილი (74), 1:1 ნდაიე (81)

ლუგანო 0:0 ციურიხი

ლოზანა 0:2 ბაზელი

0:1, 0:2 რიჩკოვი (12, 69)

სიონი 3:2 არაუ

0:1 პელდმანი (28), 1:1 ეიდელი (38), 2:1, 3:1 ტოლტი (57, 65), 3:2 ჰელდმანი (76)

სერვეტი	9	6	2	1	18:14	20
ბაზელი	9	5	2	2	10:10	17
გრასჰოპერი	9	4	4	1	14:9	16
სენტ გალენი	9	4	2	3	15:10	14
ლოზანა	9	3	5	1	14:13	14
ჭსამაქსი	9	2	6	1	8:7	12
სიონი	9	2	4	3	10:12	10
არაუ	9	2	3	4	16:17	9
ლუგანო	9	2	3	4	10:13	9
ციურიხი	9	1	5	3	8:10	8
ლუცერნი	9	1	3	5	11:15	6
იანგ ბოისი	9	1	3	5	11:15	6

რუსეთი

XXIV ტური

სპარტაკი 7:0 ტიუმენი

1:0 შირკო (12), 2:0 პისარევი (19), 3:0, 4:0 შირკო (29, 65), 5:0 ბარანოვი (78), 6:0 შირკო (82), 7:0 ტიხონოვი (90ჯ)

ცსკა 2:0 ბალტიკა

1:0 კორნაუხოვი (17), 2:0 კულიკი (30)

ტორპედო 1:0 კრილია

1:0 ბულატოვი (61)

ზენიტი 1:1 დინამო

0:1 დანილიავიჩუსი (7), 1:1 პანოვი (59)

ჩერნომორეცი 0:0 ჟემჩუჟინა

როსტსელმაში 2:2 ლოკომოტივი

1:0 კირიჩენკო (35), 1:1 ჯანაშია (37), 2:1 პრუდნიუსი (38), 2:2 ბულიკინი (55)

შინიკი 3:2 ალანია

1:0 იუმინოვი (8), 2:0 იენინი (37), 3:0 ლეონჩენკო (43ჯ), 3:1 დემეტრაძე (53), 3:2 მორეირა (67)

როტორი 3:1 შრალანი

0:1 აკსიონოვი (17), 1:1 ზერნოვი (19), 2:1, 3:1 ვერეტენნიკოვი (42, 67ჯ)

ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურია დარჩენილი, მაგრამ ახლავე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ოქროს მედლებს ზედიზედ მესამედ მოსკოვის „სპარტაკი“ მოიპოვებს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც „ლოკომოტივმა“ მორიგი ოქროს ჭულები გაანიავა როსტოვში იქაურ „როსტსელმაშთან“ შეხვედრისას, ხოლო ოლეგ რომანცევის შეგირდები ლიგის საბრალო აუტსაიდერ „ტიუმენს“ მთლად უმოწყალოდ მოექცნენ და მიწასთან გაასწორეს — 7:0.

ზაზა ჯანაშიამ რკინიგზელთა კლუბში ჩვეულად ითამაშა. მან 0:1-ზე ჩინებული გოლის გატანით ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა, მაგრამ სულ ეს იყო. იური სიომინის ბიჭებმა ბოლომდე ვერ გაართვეს თავი მწვრთნელის დავალებებს და შინ ოდენ ერთი ქულით დაბრუნდნენ.

ამ დროს კი დედაქალაქური „სპარტაკი“ ტიუმენის დაჩაჩანაკებულ გუნდს აღმზრდელობით სამუშაოს უტარებდა თემაზე „როგორ ვითამაშოთ ფეხბურთი“. მოსკოველები კარგი მასწავლებლები კი გამოდგნენ და სტუმართა მეკარე გრიგორი სოკოლოვსკი სულ ნაირ-ნაირი გოლებით დაასაჩუქრეს, მაგრამ საკითხავია, წაადგება კი „ტიუმენს“ გამოცდილი კოლეგის რჩევები? ვიჭვობთ, რადგან კლუბი, რომელმაც ოცდაოთხი გამართული შეხვედრიდან სამის გარდა ყველა წააგო, ღირებულს ნამდვილად ვერაფერს მიაღწევს. ერთადერთი, რაც ყოფილ „გეოლოგებს“ დარჩენიათ, ალბათ, ის არის, რომ უკეთესი გუნდის ჩამოყალიბებაზე იფიქრონ, რათა გაისად პირველ ლიგაშიც წლევანდელის მსგავსად არ შერცხვნენ.

თუმცა „ტიუმენის“ თავს დატეხილი უბედურება ჩვენს გულშემატკივრებს ნაკლებად ანაღვლებთ. მათთვის გაცილებით საინტერესო და სასიამოვნო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 24-ე ტურში თავი კიდევ ერთმა ქართველმა — გიორგი დემეტრაძემ გამოიჩინა. დემემ თავისი გოლი ამჯერადაც შეაგდო, მაგრამ ამან „ალანიას“ დავით ყიფიანის „შინიკთან“ საგარეო შეხვედრაში დიდად ვერ უშველა — 2:3.

ტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, წესრიგის დამცველად ბულდოზერის დაპირისპირება მალე ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, რაშიც ე. პოპრიჩელის დაშავება მოჰყვა. ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და ექიმების თქმით, ცხოვრების ჩვეულ რითმს ძნელად თუ დაუბრუნდება. ბუნებრივია, გულშემატკივართა უმსგავსო საქციელი უპასუხოდ არ დარჩენილა. 33 ჩხუბისთავი დააკავეს, ხოლო ექვს ყველაზე სამშს კი იქ უკრეს თავი, სადაც ვერ არს.

„ანდერლეხტის“ მხარდამჭერებმა ჩხუბით გული კი მოიხარეს, მაგრამ მათ საყვარელ კლუბს ამით დიდად არ ეშველა. ბრიუსელელები ისევ ორად ორი კინკლაო ქულის ამარა დარჩნენ და კლასაც მათთვის დამამცირებელ მე-18 ადგილზე არიან.

სამაგიეროდ, მშვენივრად აქვს საქმე დაწინაურებულ „ლოკერენს“. ამ გუნდმა „მუსკრონთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში ორი არჩათვლილი ალალი გოლის მიუხედავად ერთი ქულის მოპოვება მაინც შეძლო, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა ლიგის მოულოდნელ ლიდერებს პირველობა სულ ცოტა მომდევნო ტურამდე შეენარჩუნებინათ.

ლევან ფერაძე

ლოკერენი	5	4	1	0	13:2	13
ვესტერლო	5	4	0	1	13:5	12
ბრიუგე	4	3	1	0	8:4	10
გენკი	4	3	0	1	6:4	9
სტანდარდი	5	3	0	2	9:5	9
მუსკრონი	5	2	3	0	7:3	9
სტ. ტრუიდენი	5	2	1	2	8:6	7
ლიერსი	4	2	0	2	10:6	6
ეკერენი	5	2	0	3	4:11	6
შარლერუა	4	1	2	1	4:5	5
ოსტენდე	4	1	2	1	3:4	5
ჰარელბეკი	5	1	2	2	6:7	5
გენტი	5	1	2	2	5:7	5
აალსტი	5	1	1	3	8:10	4
ბევერენი	5	1	1	3	5:9	4
ლომელი	4	1	0	3	3:6	3
კორტრიკი	5	1	0	4	4:14	3
ანდერლეხტი	5	0	2	3	5:13	2

გაწბილებულ „ანდერლეზხტის“ ფანებს ახლა მხოლოდ უფალის იმედი აქვთ

REUTERS ბრიუსელიდან

სპარტაკი	24	14	7	3	49:17	49
ლოკომოტივი	24	11	7	6	30:20	40
როტორი	24	10	10	4	45:30	40
ცსკა	24	11	5	8	35:20	38
ზენიტი	24	9	10	5	32:20	37
ურალანი	24	10	6	8	30:29	36
როსტსელმაში	24	9	9	6	37:33	36
ალანია	24	9	7	8	38:29	34
ჭემჩუჟინა	24	8	8	8	23:30	32
შინიკი	24	8	7	9	23:28	31
ტორპედო	24	7	9	8	30:28	30
კრილია	24	8	5	11	20:31	29
ჩერნომორეცი	24	5	11	8	27:30	26
დინამო	24	4	13	7	21:26	25
ბალტიკა	24	5	9	10	24:35	24
ტიუმენი	24	2	1	21	12:70	7

ბომბარდირები

ვერეტენნიკოვი (როტორი)	19
მატვეევი (როსტსელმაში)	12
დემეტრაძე (ალანია)	9
კულიკი (ცსკა)	9
ციმბალარი (სპარტაკი)	9
ესიპოვი (როტორი)	9

ფეხბურთის რუკასთან

პორტუგალიის სუპერთასის სა-პასუხო შეხვედრაში „პორტუმ“ სტუმრად ფრედ 1:1 ითამაშა გასულ სეზონში უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამოს“ მძლეველ „ბრაგასთან“. ანგარიში 68-ე წუთზე ნუნო კაპურომ გახსნა, თორმეტი წუთის შემდეგ კი მასპინძელთა ნახევარმცველმა, ანტონიო კაპუროშ გააყალბა. პირველი შეხვედრა „პორტუს“ გამარჯვებით დასრულდა 1:0, ორი მატჩის ჯამში მათ 2:1 იმარჯვეს და ქვეყნის სუპერთასსაც 'დაეუფლნენ.

უელსის ჩემპიონატის მესამე ტური: კარმარტენ თაუნი — ეიბერსვიტ თაუნი 3:5, რაიდერ თაუნი — ჰავერფორდვესტი 2:2, ლენსენტფრეიდი — კერსვისი 2:1, ბანგორ სიტი — კონა ქუი 0:2, ბერი თაუნი — ეიფენ ლიდო 0:2, პოლუელი — კონვი 4:3, ნიუტონი — კერნერფონ თაუნი 1:1. ჩემპიონატს ქულათა მაქსიმუმით „კონა ქუი“ ლიდერობს, 7-7 ქულით კი მესამე ადგილებზე „ეიბერსვიტ თაუნი“ და „ლენსენტფრეიდი“ არიან.

გერმანიის „შტუტგარტის“ ნიგერიელი თავდამსხმელი, ჯონათან აკობორის გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა „ლუბეკთან“ თასის გათამაშების მატჩში ჩადენილი უხეშობის გამო. ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში ძლეული „შტუტგარტის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კომიტეტში პროტესტის შეტანას არ აპირებს, რადგან აკობორის სასჯელს დამსახურებულად მიიჩნევს. დისკვალიფიკაცია მხოლოდ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ მატჩებზე ვრცელდება და აკობორის ხელს ვერ შეუშლის, როტერდამის „ფეიენოორდის“ წინააღმდეგ უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის პირველ მატჩში ითამაშოს.

ინგლისის „ნოტინგემისა“ და „ნორვიჩის“ ყოფილ მოთამაშეს, უკვე გარდაცვლილ ჯასტინ ფაშანუს ეგონა, რომ ამერიკის პოლიცია დასდევდა და მაისში ამიტომაც ჩამოიხრჩო თავი. 37 წლის ფეხბურთელმა გაბაფხულზე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ოჯახის წევრებს წერილიც დაუტოვა, 17 წლის გოგონას გაუპატიურებაში ტყუილად მდებენ ბრალსო. ახლა კი გაირკვა, ამერიკელ სამართალდამცავებს მის მიმართ არანაირი ბრალდება არ წაუყენებიათ. ფაშანუების ოჯახის გულისტკივილი ამის შემდეგ უფრო გამძაფრდა. სხვათა შორის, ჯასტინ ფაშანუ 1980 წელს ინგლისში მოთამაშე პირველი ზანგი ფეხბურთელი შეიქნა, რომლის ფასმაც მილიონ გირვანქას მიაღწია.

ისრაელის ჩემპიონატის ერთი შეხვედრა ოთხშაბათს გაიმართა — ჰაიფას „პაოელმა“ თანაქალაქელ „მაქაბის“ უმასპინძლა, მაგრამ მეტოქეებმა გოლი ვერ გაიტანეს და თამაშიც ფრედ 0:0 დასრულდა.

რუმინეთის სუპერთასის მატჩში დედაქალაქის „სტიაუამ“ 4:0 გაანადგურა თანაქალაქელი „რაპიდი“. ბუქარესტული დერბი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის კარნახით წარიმართა და შედეგიც სათანადო აისახა. ანგარიში მე-17 წუთზე ნახევარმცველმა დენის სერბანმა გახსნა. ხუთ წუთში ილიე დუმიტრესკუმ სხვაობა გააორმაგა, თამაშის მიწურულს კი მეტოქის უუნარობა ნახევარმცველმა როსემ კარგად გამოიყენა და ორჯერ შეაგდო გოლი. ფეხბურთელთა დარად, პოლიციაც კარგად გაისარჯა — შეხვედრის განმავლობაში ხშირი იყო კლუბების გულშემატკივართა შორის შეჯახებები და წესრიგის დამცველნიც მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ.

პოლონეთის პირველობის მეხუთე ტური: ვისლა — ამიცა 1:0, გკს (ბელხატოვი) — გკს (კატოვიცე) 1:2, ოდრა — პოლონია 2:2, პოგონი — ზაგლებიე 3:2, გურნიკი — შტომილი 1:1, ლეგია — ვიძევი 1:0, რუხი (ხოჟუვი) — რუხი (რაძიონკოვი) 1:0, ლკს — ლეხი 1:2. 13-13 ქულით ჩემპიონატს ვარშავის „ლეგია“ და კრაკოვის „ვისლა“ ლიდერობენ. მესამე-მეხუთე ადგილებს კი 9 ქულით პოზნანის „ლეხი“, ზაბჟეს „გურნიკი“ და კატოვიცეს გკს იყოფენ.

ზოტლანდიაში თასის გათამაშების მეოთხედფინალები გაიმართა: ჰართსი — როს ქაუნთი 1:1. ჰართსმა გაიმარჯვა პენალტების სერიაში 3:0; აირი — რეინჯერსი 0:2; კილმარნოკი — ეირდრენიანი 0:1 (დ.დ.); სენტ ჯონსტონი — ჰიბერნიანი 4:0.

კოლუმბიელთა მორიგი იმედი

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რამდენიმე ნაკრებმა, შეიძლება ითქვას, უმეტესობამ, მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა. მათ შორის მათ, ვინც წარმატებით იასპარეზა და მათაც, რომლებმაც თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ახალი დამრიგებელი ჰყავთ მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებს, ფინალისტ ბრაზილიელებს, ასევე ისეთ ძლიერ გუნდებს, როგორებიც იტალიის, გერმანიის, არგენტინის, ნიგერიის, ჰოლანდიის ნაკრებები არიან. ასეთი ძირეული გარდაქმნების შემხედვარე კოლუმბიელებმაც, ეტყობა, იფიქრეს, სხვაზე ნაკლები რითი ვართო და გუშინ გუნდის ყოფილი თავკაცის, ერნან დარიო გომესის შემცვლელი დაასახელეს. ეს არის 40 წლის ხავიერ ალვარესი, კაცი, რომელიც დღემდე ქვეყნის ერთერთ პროვინციულ კლუბ „კალდასს“ ხელმძღვანელობდა. „ჩვენ გავრისკეთ და ნაკრების მთავარ მწვრთნელად ახალგაზრდა სპეციალისტი დავნიშნეთ, რომელსაც სრულიად ახლებური შეხედულებები, პერსპექტიული იდეები და მტკიცე ხასიათი გააჩნია“ — განაცხადა კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის (FCF) პრეზიდენტმა, ალვარო ფინამ. მანვე აღნიშნა, დიდი იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ალვარესი აგვისრულებს აუხდენელ ოცნებებს და ისეთ გუნდს შექმნის, ჩვენ რომ გვეკადრებაო. ამას ფინა, ალბათ, ახალდანიშნული მწვრთნელის ბოლო წარმატების გათვალისწინებით ამბობდა, როდესაც ალვარესის თავკაცობით ზემოხსენებულმა „კალდასმა“ ეროვნულ ჩემპიონატში პირველობა არავის დაუთმო.

აღსანიშნავია, რომ მის კანდიდატურას მხარს უჭერდა ცნობილი ფრანსისკო მატურანა, რომლის ხელში კოლუმბიის ნაკრები ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და 1990 და 94 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. მატურანას თქმით, ალვარესი, ასაკის მიუხედავად, მეტად გამოცდილი, გონიერი მწვრთნელია და თუ მას ხელს შეუწყობენ, გუნდი სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს.

რაც შეეხება თავად ალვარესს, მან ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ეს ჩემთვის დიდი, მაგრამ სასიამოვნო სიუპრიზი იყო. თუმცა ახლა ემოციებზე საუბრის დრო აღარ არის, საქმეს უნდა მივხედო. პირველ ყოვლისა, ფეხბურთელთა ხასიათი, მათი პრობლემები და სპორტული ფორმა უნდა შევისწავლო, რადგან მწვრთნელისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას და როგორ ფიქრობენ მისი ქვეშევრდომები. დანარჩენს მომავალში, ნელნელა გავაკეთებ“.

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის უფროსობამ ალვარესს კიდევ ერთი, 23 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების თავკაცობაც დაავალა. თავიდან ამ პოსტზე გამოცდილი მატურანას დანიშვნა უნდოდათ, მაგრამ გაირკვა, რომ იგი კოსტა რიკის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად აპირებს მუშაობას. მოკლედ, ალვარესს ძალიან მძიმე მისია დაეკისრა, მით უმეტეს, რომ მის ქვეყანაში შეცდომებს არავის პატიობენ (გავიხსენოთ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ კარში გოლის გამტანი ანდრეას ესკობარის მკვლელობა). და ერთიც, ამიერიდან კოლუმბიის ნაკრებში აღარ ითამაშებს გუნდის ბოლო ათი წლის აღიარებული ლიდერი, კარლოს ვალდერამა. შესაბამისად, ალვარესს მისი შემცვლელის პოვნაც მოუწევს.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. IV ტური

11 სექტემბერი

აინტრახტი — შტუტგარტი	2,5	2,9	2,5
მიუნხენი — მაინხენგლადბახი	2,0	2,9	3,4

12 სექტემბერი

ვერდერი — ლევერკუზენი	2,2	2,9	3,0
შალკე — ნიურნბერგი	1,6	3,1	5,3
ჰამბურგი — ვოლფსბურგი	1,6	3,2	5,0
კაიზერსლაუტერნი — ჰერტა	1,3	3,8	8,0
0:1	2,0	3,2	2,3
ფრაიბურგი — ბაიერნი	2,8	2,9	2,3
ჰანზა — დუისბურგი	1,9	2,9	3,6

13 სექტემბერი

დორტმუნდი — ბოხუმი	1,3	3,8	8,0
0:1	2,0	3,2	2,3

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VI ტური

11 სექტემბერი

არმინია — კოტბუსი	1,6	3,1	5,3
კარლსრუე — ობერჰაუზენი	1,7	3,1	4,4
ვატენშაიდი — ფორტუნა	2,5	2,9	2,5

13 სექტემბერი

ფიურტი — დიუსელდორფი	1,8	3,0	4,0
ბერლინი — ურდინგენი	1,7	3,0	4,7
უნტერჰახინგი — მაინცი	2,1	2,8	3,3
კაიერსი — გიუტერსლო	1,5	3,3	6,0
ჰანოვერი — ულმი	2,4	2,9	2,6

14 სექტემბერი

კიოლნი — ზტ. პაული	1,9	2,9	3,6

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. V ტური

12 სექტემბერი

ასტონ ვილა — უიმბლდონი	1,7	3,0	4,7
ჩარლტონი — დერბი	2,2	2,8	3,1
ჩელსი — ნოტინგემი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ევერტონი — ლიდსი	2,4	2,9	2,6
ლესტერი — არსენალი	2,5	2,9	2,5
მანჩესტერი — ქოვენთრი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,1	3,0
ნიუკასლი — საუთჰემპტონი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
შეფილდი — ბლექბერნი	2,2	3,0	2,9
ვესტ ჰემი — ლივერპული	2,5	2,9	2,5

13 სექტემბერი

ტოტენჰემი — მიდლსბრო	1,8	3,0	4,0

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VIII ტური

11 სექტემბერი

ტრანმერი — პადერსფილდი	2,0	2,9	3,4

12 სექტემბერი

ბოლტონი — ბირმინგემი	2,1	2,9	3,2
ბრედფორდი — შეფილდი	2,3	2,9	2,8
კრისტალ პალასი — პორტ ვეილი	1,25	4,4	8,0
0:1	2,0	3,0	2,5
გრიმსბი — ბარნსლი	2,0	2,9	3,4
ოქსფორდი — იფსვიჩი	2,3	2,9	2,8
პორტსმუთი — სვინდონი	2,1	3,2	2,9
სტოკპორტი — ქრიუ	1,9	2,8	3,8
უოტფორდი — ჭუინზ პარკი	1,8	2,9	3,6
ვულვერჰემპტონი — სანდერლენდი	2,0	2,9	3,4

13 სექტემბერი

ბრისტოლი — ვესტ ბრომვიჩი	2,6	3,0	2,4
ნორვიჩი — ბერი	1,8	3,0	4,0

საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტური

11 სექტემბერი

ნანსი — პსჟ	2,6	2,9	2,4
სოშო — ლიონი	3,6	2,7	2,0
მარსელი — რენი	1,4	3,5	7,0
ბასტია — ლე ავრი	1,6	3,1	5,3
ბორდო — მონპელიე	1,8	3,0	4,0
სტრასბური — მეცი	1,7	3,0	4,7
ტულუზი — ნანტი	2,2	2,9	3,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. I ტური

12 სექტემბერი

ფიორენტინა — ემპოლი	1,3	3,8	8,0
0:1	2,0	3,2	2,3
რომა — სალერნიტანა	1,25	4,4	8,0
0:1	2,0	3,2	2,3
უდინეზე — სამპდორია	1,9	2,9	3,6
მილანი — ბოლონია	1,6	3,1	5,3
პარმა — ვიჩენცა	1,25	4,4	8,0
0:1	2,0	3,2	2,3

13 სექტემბერი

ბარი — ვენეცია	1,9	2,9	3,6
კალიარი — ინტერი	4,2	2,9	1,8
პერუჯა — იუვენტუსი	4,7	3,0	1,7
პიაჩენცა — ლაციო	3,4	2 ,9	2,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. II ტური

12 სექტემბერი

პესკარა — ნაპოლი	2,4	2,9	2,6

13 სექტემბერი

ჩეზენა — ტრევიზო	1,8	2,9	4,2
კიევო — ატალანტა	2,3	2,8	2,9
კოზენცა — ტერნანა	1,6	3,1	5,3
ფ. ანდრია — ბრეშა	2,5	2,9	2,5
ჯენოა — ლეჩე	1,9	2,9	3,6
ლუკეზე — ვერონა	2,0	2,9	3,4
რეჯანა — კრემონეზე	1,8	2,9	4,2
რეჯინა — მონცა	1,9	2,8	3,8
ტორინო — რავენა	1,3	4,0	7,5

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. II ტური

12 სექტემბერი

ატლეტიკო — სალამანკა	1,1	6,0	12,0
0:1	1,6	2,9	4,0
ვალიადოლიდი — რეალი	3,4	2,9	2,0
ბილბაო — რასინგი	1,6	3,0	5,6
ვილარეალი — სელტა	2,4	2,8	2,7
დეპორტივო — ვალენსია	2,3	2,9	2,8
ბარსელონა — ესტრემადურა	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,4	3,6
ტენერიფე — სოსიედადი	2,0	2,8	3,5
ბეტისი — სარაგოსა	1,6	3,0	5,6

13 სექტემბერი

ოვიედო — ალავესი	1,6	3,1	5,3
მალიორკა — ესპანიოლი	1,8	3,0	4,0

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. III ტური

ორენსე — უელვა	1,8	3,0	4,0
სევილია — მერიდა	1,25	4,4	8,0
0:1	1,7	3,2	3,2
კომპოსტელა — ლეგანესი	1,6	3,0	5,6
ნუმანსია — ბადახოსი	1,4	3,5	7,0
ლეიდა — ოსასუნა	2,0	3,0	2,5
ლოგრონიესი — ერკულესი	2,0	3,0	2,5
ატლეტიკო B — ალბასეტე	1,7	3,1	4,4
მალიორკა B — ტოლედო	1,8	3,0	4,0
ლას პალმასი — ეიბარი	1,6	3,0	5,6
მალაგა — სპორტინგი	1,7	3,1	4,4
რაიო ვალეკანო — ბარსელონა B	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6

პორტუგალიის ჩემპიონატი. III ტური

12 სექტემბერი

აკადემიკა — სპორტინგი	4,7	3,0	1,7
ბენფიკა — ბეირა მარი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,1	3,6
პორტუ — ფარენსე	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
ბრაგა — მარიტიმუ	1,5	3,3	6,0
სალგეირუში — გიმარაეში	1,8	2,9	4,2

13 სექტემბერი

შავეში — ამადორა	2,2	2,9	3,0
სეტუბალი — რიუ ავე	1,9	2,9	3,6
ლეირია — ალვერკა	1,7	3,0	4,7
კამპომაიორენსე — ბოავიშტა	2,4	2,9	2,6

ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური

11 სექტემბერი

ჰერენვენი — ფეიენოორდი	3,5	3,0	1,9

12 სექტემბერი

როდა — ბრედა	1,9	2,9	3,6
ეინდჰოვენი — მაასტრიხტი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
სიტარდი — აზ 67	1,6	3,3	4,7
ტილბურგი — სპარტა	1,6	3,2	5,0
ვიტესი — კამბური	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3

13 სექტემბერი

უტრეხტი — აიაქსი	5,6	3,4	1,3
ტვენტე — ვალვაიკი	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,3	3,4
გრააფსხაპი — ნაიმეგენი	1,8	3,0	4,0

ბელგიის ჩემპიონატი. VI ტური

12 სექტემბერი

ეკერენი — ანდერლეხტი	2,0	2,9	3,4
სტ. ტრუიდენი — ლომელი	1,7	3,0	4,7
გენკი —ალსტი	1,4	3,5	7,0
შარლეროა — სტანდარდი	2,0	2,9	3,4
ბევერენი — ოსტენდე	1,8	3,0	4,0
მუსკრონი — ლიერსი	1,6	3,2	5,0
ვესტერლო — ლოკერენი	2,5	2,9	2,5

13 სექტემბერი

კორტრაიკი — გენტი	2,6	2,9	2,4
ბრიუგე — ჰარელბეკი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3

პოლონეთის ჩემპიონატი. VIII ტური

ვიძევი — პოლონია	1,8	3,0	4,0
ზაგლებე — ოდრა	1,5	3,4	5,6
შტომილი — პოგონი	2,4	2,9	2,6
ლეხი — გურნიკი	2,4	2,9	2,6
რაძიონკოვი — ლკს	2,3	2,9	2,8
ამიცა — რუხი	2,1	2,9	3,2
კატოვიცე — ვისლა	2,5	2,9	2,5
ლეგია — ბელხატოვი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3

თურქეთის ჩემპიონატი. V ტური

11 სექტემბერი

ტრაბზონი — ისთანბული	1,8	2,8	4,4

12 სექტემბერი

გალათასარაი — ერზურუმი	1,15	5,6	10,0
სამსუნი — გენწლერბირლიგი	2,5	2,9	2,5
ქარაბუქი — ფენერბაჩე	5,3	3,1	1,6

13 სექტემბერი

ბეშიქთაში — ბურსა	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,3	3,8
ანთალია — გაზიანთეფი	2,0	2,9	3,4
ანკარაგუჯუ — ალთაი	1,7	3,1	4,4
დარდანელი — ადანა	1,8	3,0	4,0
საქარია — ჯოჯაელი	2,5	2,9	2,5

შოტლანდიის ჩემპიონატი. V ტური

12 სექტემბერი

აბერდინი — მოზერველი	1,9	2,9	3,0
სელტიკი — კილმარნოკი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი	5,0	3,2	1,6
ჰართსი — დანდი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
სტ. ჯონსტონი — დანფერმლაინი	1,7	3,0	4,7

შვეიცარიის ჩემპიონატი. X ტური

12 სექტემბერი

სტ. გალენი — გრასჰოპერი	2,8	2,9	2,3
სერვეტი — ლუგანო	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1
ციურიხი — სიონი	1,8	2,9	4,2
ლუცერნი — არაუ	2,1	2,9	3,2
ბაზელი — ანგ ბოისი	1,5	3,3	6,0
ჭიამჭია — ლოზანა	2,2	2,8	3,1

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მონაწილენი და მათი რჩეულნი

1. გივი ფაილოძე. თბილისი. ინჟინერი. 71 წლის. მწვრთნელი:ანდრო ჟორდანია;მიხეილ იაკუშინი;მიხეილ ბუტუსოვი
ფეხბურთელი:ბორის პაიჭაძე;მიხეილ მესხი;ავთანდილ ღოღობერიძე;ვიტალი დარასელია;დავით ყიფიანი;
გუნდი: ამირან ტყებუჩავა, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, იბრაჰიმ სარჯველაძე, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

2. შალვა ბერიძე თბილისი. პედაგოგი. 44 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველი, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი ქინქლაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

3. თამაზ სულაბერიძე. თბილისი. მათემატიკოსი. 48 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა იამანიძე, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

4. ირაკლი ქვაბარიაშვილი. თბილისი. ინჟინერი. 36 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე, ნესტორ ჩხატარაშვილი
ფეხბურთელი: დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

5. დავით სირაძე. თბილისი. თეატრმცოდნე. 30 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რეზო ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

6. ნოდარ იაშვილი. თბილისი. ნიადაგმცოდნე. 62 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, რეზო ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

7.ბადრი ბეგბაღიშვილი. თბილისი. მსახიობი. 65 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მურთაზ ხურცილავა, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

8.დავით გელეიშვილი. წყენთი. 53 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე, ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: მურთაზ ხურცილავა, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

9. ვერა რატიშვილი. თბილისი. ინჟინერი. 57 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

10. ანა თანდილავაშვილი. რუსთავი. სტუდენტი. 23 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე, გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე
გუნდი: ოთარ გაბელია, ბორის სიჭინავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, გიორგი ქინქლაძე, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია

11. ზვიად შამილიშვილი. თბილისი.ჟურნალისტი 28 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი:ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, კახი ასათიანი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

12. შოთა ჯაუშარიძე. თბილისი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი:ნოდარ ახალკაცი , ანდრო ჟორდანია, ალექსანდრე კოტრიკაძე
ფეხბურთელი:მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, კახი ასათიანი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

13. გივი ბაბუნაშვილი. თბილისი. ინჟინერი. 71 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, იბრაჰიმ სარჯველაძე, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

14. ირაკლი ცისკაძე. თბილისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 47 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, გიორგი სიჭინავა, რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი,

15. შალვა ენთოროშვილი. თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე

16. შიქტორ ნიკოლაური. თბილისი. მხატვარი. 24 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი:ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი

17. ილიკო ჭილაშვილი. ბათუმი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, გავრილ კაჩალინი, ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია

18. კოტე ბელაძე. თბილისი. ფეხბურთელი. 18 წლის. მწვრთნელი: თემურ მახარაძე, ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

19. შივი თევზარი. თბილისი. ექიმი. 70 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, მიხეილ იაკუშინი, ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

20. ანზორ გელენიძე. თბილისი. უმუშევარი. 36 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, გავრილ კაჩალინი, მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი:ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ ბარქაია, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

21. ირაკლი ბუსკაიძე. თბილისი. იურისტი. 22 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველი, ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი,

22. ზურაბ ჟვანია. თბილისი. მშენებელი. 57წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი,

23. ზვიად დარჩია. ფოთი. ჟურნალისტი. 40 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, გიორგი ქინქლაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

24. გურამ ქავთარაძე. თბილისი. ინჟინერი. 67 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, ნოდარ ახალკაცი, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: მურთაზ ხურცილავა, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ჭკუასელი, მიხეილ მესხი

25. გელა ბუსხრიკიძე. თბილისი. მოსწავლე. 12 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

26. პეტრე ქოქრაშ. თბილისი. ინჟინერი. 45 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე, ოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

27. მიხეილ ბუბუნაშვილი. თბილისი. იურისტი. 26 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე

28. ნინო ჯაბარაშვილი. თბილისი. მოსწავლე. 16 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: ალექსანდრე ჩივაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: აკაკი დევაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, თემურ ქეცბაია, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, შოთა არველაძე

29. დვალი ლაშვილი. თბილისი. ინჟინერი. 58 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ანდრო ჟორდანია, ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

30. დავით ლომთაძე. თბილისი. ინჟინერი. 31 წლის. მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი, ვლადიმერ გუცაევი, თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, რამაზ შენგელია
გუნდი: ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, თემურ ქეცბაია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, შოთა არველაძე, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმღერა ნაკრებში

სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.

✂ - - -

ქართველები ნონას თასს უმიზნებენ

ფოტო ოლიმპიადის საიტიდან

ზურაბ აზმაიფარაშვილი — საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი, ფიდეს მიმდინარე რეიტინგი — 2655, რაც საქართველოში საუკეთესო შედეგია. გარდა ამისა, 26 სექტემბრიდან ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადაზე აზმაიფარაშვილი საქართველოს ვაჟთა ნაკრების პირველ დაფას ჩაიბარებს. მოყვანილი არგუმენტები საკმარისად მიგვაჩნია საიმისოდ, რომ ქვემორე ინტერვიუმ „სარბიელის“ მკითხველი დააინტერესოს

— ბატონო ზურაბ, როდის, რა შემადგენლობით მიემგზავრება საქართველოს დელეგაცია ყალმუხეთში?

— ჩვენი დელეგაცია ელისტაში ზუსტად 26 სექტემბერს ჩავა შემდეგი შემადგენლობით: ხელმძღვანელი — ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით გურგენიძე; ვაჟთა ნაკრები: კაპიტანი ნინო გურიელი; მოთამაშეები: ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, ხვიჩა სუპატაშვილი, ლაშა ჯანჯღავა, გია ბაღათურიური; ქალთა ნაკრები: კაპიტანი ნონა გაფრინდაშვილი; მოთამაშეები — მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია — გრანტი, ნინო ხურციძე.

— როგორ მოემზადეთ ოლიმპიადისთვის?

— თავიდანვე ორი სანაკრებო შეკრება დავგეგმეთ, პირველი ივლისის თვეში მოვაწყვეთ ზღვისპირას, ჩაქვში, მეორეს კი 12-დღიანს ბორჯომში ვაპირებთ.

— წინა ოლიმპიადებთან შედარებით რაიმე სიახლე თუა?

— პრინციპულ საკითხებში ახალი არაფერია. გათამაშების სისტემა უცვლელი დარჩა, თუმცა იგი ბევრს, რომელთა შორის მეც გახლავართ, უკვე მიუღებლად მიაჩნია. არ შეიძლება, ოლიმპიადაზე ყველა თამაშობდეს, განსხვავება სხვადასხვა ნაკრებების თამაშის დღინება და კლასში მნიშვნელოვნად ამცირებს ზოგიერთი მატჩისადმი ინტერესს. ხდება ისე, რომ აუტსაიდერთა შეხვედრებს მხოლოდ ქულათა აღრიცხვისთვის ადევნებენ თვალ-ყურს. ამჟამად ფიდეში ფეხს იკიდებს აზრი, რომ უკვე მომავალი ოლიმპიადისთვის შემოსაღებია გარკვეული ოლიმპიური შესარჩევი სისტემა, ასე რომ, შესაძლოა ნაკრებებს ოლიმპიადაზე მოსახვედრად შესაბამისი ლიცენზიების მოპოვებამ მოუწიოთ. ამის შედეგად ოლიმპიადებზე გამოვა არა 150 და 200, არამედ 30-40 საუკეთესო ნაკრები, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს უინტერესო პარტიებს.

— საქართველოს ქალთა ნაკრების ოლიმპიურ მიზანზე არაფერს გეკითხებით. ეს თავისთავად ცხადია. რა მიზანს ისახავს ჩვენი ვაჟთა ნაკრები?

— ქართველი მოჭადრაკე ქალების ერთადერთი მიზანი, როგორც ყოველთვის, პირველი ადგილია, თუმცა არა მგონია, ჩვენებს ამჯერადაც, ერევნის ოლიმპიადის მსგავსად, იოლმა „გასეირნებამ“ მოუწიოთ. ბევრმა ნაკრებმა თამაშს აშკარად მოუმატა. ახლა რაც შეგეხებათ ჩვენ, ვაუებს. მინდა გითხრათ, რომ ოლიმპიადაზე მედლებისა და, საერთოდ, მოწინავე ადგილებისთვის ბრძოლაში ჩვეულებრივ, ნახევარი ქულა წყვეტს ყველაფერს. გექნება მეტოქეზე ნახევარი ქულით მეტი — შეიძლება საპრიზო ადგილი გერგოს, ხოლო იმავე პრიზიორისგან ნახევარქულიანმა ჩამორჩენამ შეიძლება სულაც მე-10 ან უარეს ადგილზე გადაგისროლოს. ამიტომაცაა, რომ ასეთ დროს, გარდა დიდი ნებისყოფისა და კვნესით პარტიებში სრული ძალით თამაშის უნარისა, ცოტა იღბალიცაა საჭირო. ჩვენი ნაკრები ერთერთ ყველაზე სტაბილურ გუნდად მიმაჩნია მსოფლიოში. ავიღოთ უზბეკეთის ნაკრები, რომელიც ბოლო სამი ოლიმპიადიდან ერთ-ერთში ვერცხლის პრიზიორი გახდა, დანარჩენებში კი ათეულს მიღმა დარჩა, მაშინ, როდესაც ჩვენ სამივე ოლიმპიადაზე ათეულში ვიყავით და ამასთან ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვაუმჯობესებდით კიდეც შედეგებს. ელისტის ოლიმპიადაზეც ათეულში მოხვედრას ჩვენი ნაკრების წარმატებად ჩავთვლი, თუმცა რომელიმე საპრიზო ადგილზე გასვლაც არ მიმაჩნია ფანტასტიკურ და შეუძლებელ შედეგად. საქართველოს დელეგაციის ძირითადი მიზანი კი სხვა რამ არის: მოგეხსენებათ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წინადადებით ფიდემ დააწესა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის გარდამავალი თასი, რომელსაც ოლიმპიადაზე ქალთა და ვაჟთა ნაკრებების შედეგთა ჯამით საუკეთესო ქვეყანა მიიღებს. თუ ეს თასი საქართველოში წამოვიღეთ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ოლიმპიადა ჩვენთვის შედგა.

— ბოლო ოლიმპიადებზე მუდმივი ინტერესის საგანია რუსეთის ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა.

— ელისტის ოლიმპიადაზე რუსები შესუსტებული შემადგენლობით გამოვლენ. არ ითამაშებენ კასპაროვი, კარპოვი, კრამნიკი. მიუხედავად ამისა, რუსები მაინც უპირველეს ფავორიტებად უნდა მივიჩნიოთ.

— პოლგარებზე რა იცით?

— აქ გაურკვეველობაა. ჩემთვის თითქმის დანამდვილებით ცნობილია მხოლოდ ერთი: თუ რამე არ შეიცვალა, იუდით პოლგარი უნგრეთის ვაჟთა ნაკრებში არ ითამაშებს. რამდენადაც ვიცი, მას თავის ფედერაციასთან კონფლიქტი ჰქონდა. ითამაშებენ თუ არა დები ქალთა ნაკრებში, ამაზე არაფერი ვიცი.

— ლაპარაკი იყო ოლიმპიადაზე გათამაშებული პარტიების ინტერნეტის ქსელში ჩართვაზე.

— მართალია. ოლიმპიადების ისტორიაში პირველად გამოიყენებენ ეგრეთ წოდებულ ელექტრონულ საჭადრაკო მაგიდებს, რომელთა საშუალებითაც მნიშვნელოვანი პარტიები გათამაშების პროცესშივე ჩაერთვებიან ინტერნეტის ქსელში და ნებისმიერი სვლიდან რამდენიმე წუთში ეს სვლა ყველასთვის მისაწვდომი იქნება.

— ზემოთ კასპაროვი ვახსენეთ. მან საყუთარი, ფიდესგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა — პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია. რას წარმოადგენს ასოციაცია რეალურად და რამდენი წევრია მასში?

— ასოციაცია უეჭველად ხმამაღლაა ნათქვამი. ფაქტობრივად, ეს არის სამი მოჭადრაკის — კასპაროვი, კრამნიკი, შიროვი — და 4 არამოჭადრაკისგან შემდგარი გონიერ ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ ფული და კარგად იციან, როგორ ატრიალონ იგი. არა მგონია, ეს ორგანიზაცია დღეგრძელი იყოს. ოქტომბერში გაიმართება კასპაროვ-შიროვის მატჩი და გამორიცხული არ არის, ამ მატჩის შემდეგ ასოციაცია საერთოდ დაშალოს. ისე, ცნობისთვის, შიროვი ოლიმპიადაზეც ითამაშებს ესპანეთის სახელით.

— რა იცით მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ციკლის შესახებ?

— ვაჟთა ზონალური ტურნირი 22 ოქტომბერს დაიწყება და მასში 12 ქართველი მოჭადრაკე ითამაშებს, ფინალური ტურნირი კი 29 ნოემბრიდან გაიმართება ლას ვეგასში. იქ სათამაშოდ ფიდეს პრეზიდენტმა, კირსან ილუმჟინოვმა პერსონალურად მიიწვია მაია ჩიბურდანიძე. რამდენადაც ვიცი, მეც უშუალოდ ფინალური ტურნირიდან ჩავებმები ტიტულისთვის ბრძოლაში.

ქალთა შორის კი, მოგეხსენებათ, წინა ციკლიც არ დასრულებულა. მდგომარეობა ასეთი იყო: ჯერ უნდა ეთამაშათ ალისა გალიამოვასა და სიუ ჟუნს, ამათში გამარჯვებული კი ფინალურ ჯგუფ[illegible]რთან ითამაშებდა. ეს შეხვედრა საშვილი არ დაადგა, რადგან გალიამოვა და სიუ ჟუნი თამაშის ადგილზე ვერ შეთანხმდნენ. მატჩი უნდა გამართულიყო ჩინეთში, მაგრამ გალიამოვამ ამაზე უარი განაცხადა — სიუ ჟუნი ხომ ჩინელია. ამიტომ გალიამოვამ მატჩის ერთი ნახევრის მანც რუსეთში ჩატარება მოითხოვა. ახლა ყველაფერი ფიდეს კონგრესზე გადაწყდება. ყველაზე რეალური ორი ვარიანტია — ან გალიამოვა მოიხსნება ციკლიდან და სიუ ჟუნი უშუალოდ პოლგარს შეხვდება, ან საერთოდ გაუქმდება ციკლის შედეგები და პირდაპირ ახალი ციკლი დაიწყება. პირადად მე ამ ვარიანტის მომხრე ვარ.

— ახლა უშუალოდ თქვენი წლევანდელი მიღწევების შესახებ.

— წელს ნაკლებად მომიწია თამაშმა. ჯერჯერობით ჩემს ანგარიშზეა 29 ოფიციალური პარტია. აქედან მოვიგე 18, წავაგე 2 და დანარჩენი ყაიმით დავასრულე. მონაწილეობა მივიღე ბოსნიის თასის გათამაშებასა და საკლუბო ჩემპიონატში. ჩვენი კლუბი ჩემპიონი გახდა. მე პირველ დაფაზე ვთამაშობდი და წარმატებითაც. თასზე 5 შესაძლებლობიდან 4 ქულა ავიღე, ხოლო ჩემპიონატში — 9-დან 7. ბოსნიაში დაპირისპირება მიწევდა ისეთ ძლიერ მოჭადრაკეებთან, როგორებიც არიან ბარეევი, რიბლი, საქსი და სხვები, ამიტომ ჩემი შედეგით უკმაყოფილო არ ვარ. შემდეგ თბილისში ვითამაშე 26 მაისისადმი მიძღვნილ ოთხთა ტურნირში და პირველი ადგილი დავიკავე. ბოლოს კი ანტვერპენის საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილზე გავედი. წელს ეს ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია, რადგან აქაც ძლიერ შემადგენლობაში მოვხვდი. ანტვერპენში ითამაშეს ჟოელ ლოტიემ, ვან ველმა, მიხეილ გურევიჩმა და პიკეტმა. ამათ ყველას გავუსწარი, ჩამოვრჩი მხოლოდ ახალგაზრდა ისლანდიელ სტეფანსონს, რომელსაც პირადი შეხვედრა 20 სვლაში მოვუგე.

მაშ ასე, ზურაბ აზმაიფარაშვილი ფანტასტიკურ და შეუძლებელ ოლიმპიადისწინა ბალებებს არ იძლევა, მაგრამ მისი პრაგმატული პროგნოზები უფრო ფასეულად მიგვაჩნია და იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი ჩვენი ნაკრებების მიღწევათა მინიმუმი იქნება.

დავით გულუა

ჩვენი დათო

დავით ეფრემაშვილი

ჩვენო ძვირფასო ებრაელო მეგობრებო! წმირად გვსმენია თქვენი და თქვენი მადლიერი თანამემამულეების სიტყვები, ჩვენ ვალში ვართ საქართველოსთანო. მე კი დავამატებდი: ჩვენც, წლების მანძილზე თქვენს გვერდით მცხოვრები ქართველებიც ვალში ვართ თქვენთან; ვალში ვართ თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიცეთის დანახვის დიდი ნიჭით, უღალატო გულით, საქართველოსთვის თავდადებით — ცხოვრების ნათელ მაგალითს უჩვენებდით ჩვენს ახალგაზრდობას.

მეც იმ ვალში მყოფთა შორის მიგულეთ და ეს წერილიც ვალის გადახდის მოკრძალებულ ცდად ჩამითვალეთ

ჩემო სოსო, მივიღე შენი წერილი. მეწყინა, რომ შენს შემოქმედებით შვებულებას უქმად ჩაუვლია. გამიკვირდა — კაცი, რომელსაც დღეს „ცნობილ ქართველ მწერლად“ იხსენიებენ, ვერ აგნებს გმირს, რომლის საქმიანობაც მხატვრული განზოგადების ღირსი გახდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, თუ შენს გარშემო არ გამოიძებნა ასეთი პიროვნება, ჩემს მეგობართა წრეს ხომ შესანიშნავად იცნობ, გეკითხა მაინც ჩემთვის.

აი, თუნდაც: ეს ერთი კვირაა, მივიღე წერილი შორეული ისრაელიდან; იგი ეკუთვნის ჩემს ყოფილ სტუდენტს, თავისი დროის შესანიშნავ მძლეოსანს, ქუთაისელი მძლეოსნების „მამად“ წოდებულ დავით ეფრემაშვილს. იგი ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად ისრაელში, სადაც ასევე წარმატებით გააგრძელა საყვარელი საქმე და ერთი პირობა ისრაელის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდსაც წვრთნიდა.

იგი დღესაც არ წყვეტს ურთიერთობას თავის ძველ ქართველ მეგობრებთან, აქვს მათთან მიმოწერა, მაგრამ, ჩემო სოსო, მისი ყველა წერილი სცილდება ჩვეულებრივ მოსაკითხ გზავნილს და მათში ჩვენი ორივე ხალხის ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ჰიმნის ჟღერაც მოისმის.

ვიცი, ჩემს დათო ეფრემაშვილს არ ეწყინება, თუ ნიმუშად წავიკითხავ ზოგიერთ ნაწყვეტს მისი ერთ-ერთი ბოლო წერილიდან, რომლის გაცნობა ალბათ დაგარწმუნებს, რომ მისი ავტორი ის გმირია, რომელზეც არა მარტო შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა წერა. შთამომავლობა, შენი მომავალი მკითხველი, უნდა იცნობდეს ეფრემაშვილისთანა მეგობრებს.

„...გული მტკივა, რომ საქართველოში მშვიდობა არ სუფევს. ძალიან გაგვიხარდა, როცა შევიტყვეთ, რომ ახლა მდგომარეობა ცოტა უკეთესია. სულ სიხარულს, სიმშვიდეს და კეთილ ცხოვრებას ვუსურვებ ქართველ ხალხს...

...ჩემო კეთილო აღმზრდელო, მჯერა, გამიგებთ, თუ რა მალაპარაკებს ამ სიტყვებს. მინდა, ძალიან მინდა, რომ უკეთესი ამბები მესმოდეს საქართველოდან. ჩვენს ბავშვებს, რომლებიც აქ არიან დაბადებული, იმდენი და ისეთი სიყვარული ჩავუნერგეთ საქართველოზე, რომ როცა აქ ჩემი მეორე სამშობლოს შესახებ ტელევიზიაში გადმოსცემენ, ანდა რადიოში იტყვიან რამეს, გაფაციცებით ისმენენ და გულთან მიაქვთ ისევე, როგორც ჩვენ, ჩვენ, ვისაც საქართველოს წყალი დაგვილევია და დედისათვის ქართულად მიგვიმართავს — „დედა“... მჯერა, ღმერთი არ გაიმეტებს ქართველ ხალხს, მალე შეიცვლება მდგომარეობა და თქვენთანაც მშვიდობა დამყარდება...

...გამოიყენეთ თქვენი შესანიშნავი გამოთქმა — „ძალა ერთობაშია“. ამ ბრძნული შეგონების გათვალისწინება ხომ ჩემს ხალხსაც დაეხმარა ბნელიდან გამოსვლაში?“

...თქვენს წერილთან ერთად კიდევ რამდენიმე ბარათი მივიღე ჩვენი მეგობრებისგან. დამიჯერეთ, ამ დღეებში კარგად ვერც მძინავს, რადგან ფიქრებით თქვენთან ვარ...“

მაშინ დავით ეფრემაშვილის წერილი მიიღო კიდევ ჩემმა ოთხმა მეგობარმა. ამ წერილებში სიყვარულის გულწრფელ გრძნობასთან ერთად დათოს დოლარების კუპიურები ჩაუდვია (ნუ დამასახელებინებ მათს ოდენობას, რა საჭიროა!), ამასთან, ეს ღვთისნიერად აღზრდილი კაცი ისე განმარტავდა დოლარების გამოგზავნის აუცილებლობას, რომ წერილების ადრესატებს შეურაცხყოფილად არ ეგრძნოთ თავი. „თქმა, გავიგე, შენს მეულეს ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება; იქნებ რაიმეში გამოიყენო ეს ფული“ — წერდა ერთ-ერთ თბილისელ მეგობარს; „კატო, გვან გავიგე შენი მეულისა და ჩემი მეგობრის — გოგის გარდაცვალება; გთხოვ, ამ დოლარებით ყვავილების თაიგული შეიძინო და მის საფლავზე მიიტანო“ — წერდა სხვა წერილში. „ვანო — წერდა კიდევ ერთ თბილისელ ძმაკაცს — გავიგე, შენი სიძე ლოგინად ჩავარდნილა, ამ თანხით იქნებ ზამთრის ტანსაცმელი უყიდო მის ბავშვებს“...

ჩემო სოსო, შენ არაფერი შეგეშლება, მიხვდები, რომ იმ „დახმარებით“ ჩვენი საერთო გაჭირვების ჟამს დროებით, მაგრამ მაინც ბევრმა ჩვენმა ოჯახმა მოითქვა სული. ხომ გახსოვს: ჩვენი ცნობილი ოლიმპიელის — რობერტ შავლაყაძის 60 წლის იუბილეზე იუბილარს დაუსწრებლად გადასცეს დავითის მიერ გამოგზავნილი თასი სამახსოვრო წარწერით. იგივე განმეორდა ნადეჟდა დვალიშვილის იუბილეზე.

არც ის დაივიწყო, რომ მან სოლიდური თანხა გადმორიცხა მიწისძვრისგან დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში.

ერთი სიტყვით, ჩვენი დათო დაუსწრებლად ჩვენი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს.

და როცა იგივე რამ მან რამდენჯერმე გაიმეორა, შევიკრიბეთ მეგობრები, დავწერეთ ღია წერილი, რომელიც მეორე დღესვე გამოაქვეყნა გაზეთმა „ლელომ“. რა გვეწია, სხვანაირად როგორ გადაგვეხადა სამაგიერო? შემდეგ დათო გვწერდა, თქვენს მიერ გამოგზავნილი „ლელოს“ ნომერი ძლივს წავიკითხე, თვალები ცრემლებით მევსებოდაო.

ერთი სიტყვით, დავით ეფრემაშვილი ჩვენთვის იქცა კაცად, რომელიც „გზად და ხიდად“ გაედო ჩვენს ორ ქვეყანას შორის.

აი, ჩემო სოსო, როგორი კოლეგა და მეგობარი გვყავს ისრაელში. განა შეიძლება, ასეთი პიროვნების ლიტერატურული პორტრეტის შექმნის სურვილმა არ შეგძრას. მე ველი შენს კონტრკითხვას: ყოველივე ეს შედარებით ზოგადია და არ ჩანს სიუჟეტი, რომელიც დაანტერესებს მკითხველს. ნუ ჰჩქარდები, აქაც „ჩაიჭრები“, როცა ჩვენს დავითთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ამბიდან ერთერთ მათგანს მოგაწვდი ჭაშნიკად:

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი დათო თავისი პოეტური სულის მქონე მშვენიერი მეულეით თბილისს ეწვია. იყო სიხარულის ცრემლები და ლამაზი შეხვედრები. ბოლოს შეიკრიბეთ ვაკის პარკის რესტორნის უკანა ეზოს ერთ-ერთ ეგზოტიკურ კუთხეში. ერთმანეთს ცვლიდა სადღეგრძელოები, სიმღერები, ლექსები (დამსწრეთა თხოვნით დავითს მეულემ მრავალი საკუთარი ლექსი წაიკითხა), ხოლო როცა დათოს ერთმა ებრაელმა მეგობარმა მშობლიურ ენაზე ლამაზი სიმღერით დაგვატკბო, მიმტანმა მორიდებით მკითხა, აი, იმ სუფრაზე (მან დამანახა სუფრა, რომელსაც ხუთიოდ დარბაისელი ადამიანი უსხდა) ანტერესებთ თქვენი სუფრის წარმომადგენელთა ვინაობაო.

მე ავუხსენი, რომ სუფრა ისრაელიდან სტუმრად ჩამოსული ოჯახის პატივსაცემადაა გაშლილი. მალე ხუთივე მამაკაცი ჩვენს მაგიდასთან იდგა და გულით ლოცავდა სტუმრებს, ცოტა ხანიც და იგივე სასიამოვნო ჟესტი სხვებმაც გაიმეორეს, მერე კი რესტორნის დარბაზიდან ორკესტრიც მოიწვიეს. ერთი სიტყვით, ჩვენი სუფრა მთელი რესტორნის ყურადღების ცენტრში მოექცა. მე საჭიროდ ჩავთვალე, ამელო ჭიქა, მომემარჯვებინა მიკროფონი და მთელი რესტორნისთვის მომეთხრო დავით ეფრემაშვილის — ჩვენი კოლეგის, ადრე ქართული სპორტის დიდი მოჭირნახულის, იმხანად კი ისრაელის სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის შესახებ.

მთელი რესტორანი ფეხზე წამომდგარი მიესალმა ჩვენს სტუმარს, რომელიც ფაქტობრივად ყველა იქ მყოფთა სტუმრად და სასიამოვნო მეინახედ იქცა.

გვიან დამთავრდა მეგობრობის მიტინგად ქცეული ეს საღამო. მეორე დღეს დათო და მისი მეულე ისრაელის გზაზე გავაცილეთ მეგობრებმა, რომელთა შორისაც წინა ღამეს რესტორანში ახალგაცნობილნიც იყვნენ.

ისევ ისრაელს დაუბრუნდა ჩემი დათო, რომელიც, პათეტიკაში ნუ ჩამომარომეევთ თუ ვიტყვი, ხშირად ისე მომენატრება ხოლმე, როგორც დიდი ხნის უნახავი ძმა, შვილი თუ ახლო ნათესავი.

ჩემო სოსო, დაწერე ამის შესახებ. ახსენი — რა ძალამ ააბობოქრა ვაკის რესტორანში მოსული ქართველები. დაუტოვე შთამომავლობას ლამაზი ამბავი ერთ კეთილ ადამიანზე, რომელსაც მთელი არსებით უყვარდა საქართველო და არც შორეული ისრაელში შორდებოდა ფიქრი მის მომავალზე.

ავთანდილ ციბაძე
საქართველოს სპორტის აკადემიის პროფესორი, ოლიმპიური აკადემიის რექტორი

ნინო იარაღი ვერ შეიჩვია

გუშინ ბუენოს აირესიდან დაბრუნდნენ ნინო სალუქაძე და მამამისი — ბატონი ვახტანგი, რომელიც ძველებურად მწვრთნელის რანგში ახლდა შვილს. შეგახსენებთ, რომ არგენტინის დედაქალაქში გაიმართა მსოფლიო თასის დასკვნითი, მეოთხე ეტაპი როგორც პნევმატური, ასევე სპორტული პისტოლეტით სროლაში. ნინომ ორივე სახეობაში იასპარეზა და შესაბამისად მე-4 და მე-5 ადგილები დაიკავა. როგორც ბატონმა ვახტანგმა გვითხრა, სპორტული პისტოლეტით ასპარეზობაში ნინოს კვლავ უმტყუნა ახალმა იარაღმა, რაც შეუჩვევლობით იყო გამოწვეული. თანაც ნინო თბილისში ღია ტირების არქონის გამო დახურულში (უფრო სწორად, სარდაფში) ემზადებოდა, არგენტინაში კი სწორედ უჩვევ ღია ტირში მოუხდა ასპარეზობა. მამა-მწვრთნელის თქმით, რომ არა ეს ხელისშემშლელი ფაქტორები, მას პირველობაც შეეძლო.

ზემოთ ნათქვამი თურმე მამა-შვილის ფათერაკების გაგრძელება ყოფილა. ჩვენებურებს იქითობას 25 საათი უფრენიათ. მოსკოვიდან არგენტინამდე მგზავრობას 17 საათი უნდა, რაც ბუნებრივია, მაგრამ შუა გზაზე, აფრიკის სანაპიროსთან, კუნძულოვან სახელმწიფო კაბო-ვერდეში განრიგისამებრ რომ შეჩერებულან, პილოტებს თვითმფრინავის ამუშავება მთელი 8 საათის მანძილზე ვერ მოუხერხებიათ. ამ დაგვიანების გამო ისინი 1 სექტემბერსღა ჩასულან ბუენოს აირესში და დასასვენებლად და იქაურობის შესაჩვევად დროც აღარ ჰქონიათ.

მსოფლიო თასის ფინალური ეტაპი ოქტომბერში გაიმართება ციურიხში. ამით სალუქაძე წლევანდელ სეზონსაც დაამთავრებს.

ამასობაში ჩვენმა ახალგაზრდა ტყვიის მსროლელებმა — თორნიკე ნიკოლაიშვილმა და გიორგი აბესაძემ კოპენჰაგენში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზეს. მათ 4-5 წლით უფროსებთან პაექრობაში თავიანთი საუკეთესო შედეგები კი აჩვენეს, მაგრამ მათი მწირი სავარჯიშო პირობების კვალობაზე ეს მონაგარი ევროპულთან შედარებით მცირე აღმოჩნდა.

ირაკლი თაგვაძე

კვიპროსზე გოლი მოგვპარეს

ქართველებმა და ებრაელებმა ერთმანეთს იქაც გაუგმეს

უკვე გაუწყეთ, რომ თბილისის „მართვეს“ ხელბურთელმა ქალებმა ევროპის ჩემპიონთა თასზე სტუმრად ჩატარებული ორი საკვალიფიკაციო მატჩის ჯამში მოიგეს. კვიპროსიდან დაბრუნებულ „მართვეს“ მწვრთნელს ზაალ სიხარულიძეს გლდანის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში შევხვდით.

— გოგონები ივლისში ისვენებდნენ, ვარჯიშს 1 აგვისტოდან შევუდექით ფაქტობრივად ენთუზიაზმის ხარჯზე. შკრება არ გვქონია, ერთი ამხანაგური მატჩიც არ გაგვიმართავს. უსახსრობის გამო კვიპროსში სულ 8 გოგონა წავიყვანეთ. სათადარიგო მეკარე საერთოდ არ გვყოლია, მოთამაშეებიდან მხოლოდ ერთის შეცვლის საშუალება გვქონდა. ლარნაკაში ათენის გავლით ჩავედით. იქაური კლუბი „კეფალო ოურენისი“ ქვეყნის ჩემპიონია, ორივე მატჩიც ამ ქალაქში გავმართეთ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან წინასწარი შეთანხმებით.

ლარნაკაში პირველი მატჩი 4 სექტემბერს ვითამაშეთ. თანამედროვე დარბაზს რატომღაც კონდიცირება არ ჰქონდა და სალამოს საათების მიუხედავად საშინლად ცხელოდა. თამაშის ბოლოს, როცა 17:19 ვაგებდით, ერთი გატანილი ბურთი „მოგვპარეს“: შორენა ბურდულმა შვიდმეტრიანი გამოიყენა, მდივანმა გოგონამ კი, რომელიც შეხვედრის ისლანდიელი კომისრის გვერდით იჯდა, გატანილი გოლი ოქმში არ დააფიქსირა, არც ტაბლოზე შეცვლილა ანგარიში. ცხადია, გავაპროტესტეთ ასეთი უსამართლობა, მატჩი მთელი 5 წუთით შეწყდა, მაგრამ ამაოდ... საბოლოოდ 19:20 წავაგეთ. ებრაელმა მსაჯებმა აშკარად მიკერძოებულად იმსაჯეს.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და, მეორე თამაში, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართა, საპირისპირო გამოდგა. მსაჯები, რომლებიც ჩვენსავე სასტუმროში ცხოვრობდნენ, გამოლაპარაკების შემდეგ საოცრად დაგვიახლოვდნენ. ერთ-ერთი მათგანი კრასნოდარიდან წასული ებრაელების შვილი აღმოჩნდა. დაგვპირდნენ და მეორე თამაში მართლაც კარგად, ობიექტურად იმსაჯეს. ბოდიში მოგვიხადა მატჩის კომისარმაც. კვიპროსელებს კი, ეტყობა, თავი ქუდში ეგონათ. დაბადების პირველი ტაიმი 8:11 წავაგეთ. მეორეში გოგოები უფრო მობილიზებულნი იყვნენ. დარიგება-მითითებანიც ზუსტად შეასრულეს მცველებმა ირინა ახალშენიშვილმა და ირმა ციცქიშვილმა. განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩვენს მეკარეს ინგა იუხანოვას, ვინ იცის, რამდენჯერ იხსნა კარი აშკარა გოლისგან. მოკლედ, ანგარიშში სხვაობაც შევამცირეთ და რვაბურთიანი უპირატესობითაც დავასრულეთ მატჩი. ამ შეხვედრათა სიმძიმე მთლიანად გამოცდილ მოთამაშეებს, გუნდის გამთამაშებელსა და კაპიტანს მადონა ორმოცაძეს და ინსაიდ ეკა ჟიჟიაშვილს დაეწვათ. მადონამ პირველ თამაშში 9 ბურთი შეაგდო, ეკამ 7. მეორეში ეკას ანგარიშზე 10 გოლია, მადონასი 7. მატჩის შემდეგ მეტოქეთა რუმინელმა მწვრთნელმა იონესკუმ და კვიპროსის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეკა ჟიჟიაშვილს კვიპროსში გადასვლა შესთავაზეს. ამ საკითხს ოქტომბერში, ლაიპციგის გუნდთან თამაშის შემდეგ გადაწყვეტს კლუბის ხელმძღვანელობა.

ზურაბ ტაბატაძე

კორაჩის თასი. რუსთავის „აზოტი“ — დონეცკის „შახტიორი“. მატჩამდე 5 დღით ადრე

„აზოტი“, სკაჩი და შოკოლადი

16 სექტემბერს რუსთავის „აზოტი“ კორაჩის თასზე დონეცკის „შახტიორს“ გაეჯიბრება. პირველ შეხვედრას ქართველები შინ გამართავენ. მეტოქის ავან-ჩავანის გაგება „აზოტის“ თავკაცებს დიდად წაადგებათ და არც ჩვენთვის იქნება უინტერესო. ჰოდა, მივდექ-მოვდექით, უკრაინელი კოლეგები შევაწუხეთ და „შახტიორზე“ არცთუ ცოტა შევიტყვეთ:

დონეცკელთა ყველაზე დიდი მიღწევა 1976 წელს სსრკ თასის მოპოვებაა. მას შემდეგ კი, რაც დიადი საბჭოეთი თავზე დაგვენგრა და მომძე რესპუბლიკებმაც დამოუკიდებლად დაიწყეს არსებობა, უკრაინის კალათბურთელთა ჩემპიონატში მეშახტეები უმაღლეს ლიგაში ასპარეზობენ და არც თუ ურიგოდ — 1994-95 წლების სეზონში მე-3 ადგილზე გასულან, მომდევნო წელს კი ვერცხლის მედლები მოუპოვებიათ. შინაურ ჩემპიონატში მიღწეულმა კარგმა შედეგებმა, ცხადია, დონეცკელებს ევროპისკენ გაუჭრა გზა, აქ კი თავი ვერაფრით გამოუჩენიათ და მხოლოდ პირველი წრის დაძლევას თუ ახერხებდნენ.

შარშან გუნდიდან ბალტიისპირელი მთავარი მწვრთნელი წასულა და კლუბის თავკაცებს მის ნაცვლად ვლადიმერ დროზდოვისთვის უხმიათ. მასაც საქმისთვის სერიოზულად მოუკიდია ხელი და საკმაოდ კარგი გუნდიც ჩამოუყალიბებია. დონეცკელთა ლიდერი უკრაინის ნაკრების წევრი ოლეგ სკაჩია, იგი თავდამსხმელია, სამქულიანებსაც კარგად ისვრის და დაცვაშიც რიგიანად ირჯება. რუსთაველები განსაკუთრებით მას უნდა უფრთხოდნენ, გაგვაფრთხილეს უკრაინელმა კოლეგებმა. გარდა სკაჩისა, „შახტიორში“ ბასკეტი და გურტავოი გამოირჩევიან, მათ არცთუ ოშვიათად ნაკრებშიც იწვევენ და გამოცდილებაც არ აკლიათ. გურტავოი 207 სმია და დონეცკელთაგან ყველაზე მაღალიც ის ყოფილა, საერთოდ „შახტიორს“ სიმაღლის პრობლემა არ აწუხებს და, ვფიქრობთ, რუსთაველებმა ესეც უნდა გაითვალისწინონ.

უკრაინელებს საევროპო სამზადისი ჯერ შინ დაუწყიათ, 20 აგვისტოდან კი ესპანეთს წასულან და იქაურ პირველი დივიზიონის კლუბებთან ექვსჯერ უთამაშიათ, აქედან ოთხჯერ წაუგიათ, ორ შეხვედრაში კი გაუმარჯვიათ. ერთიც შეიტყვეთ, „შახტიორი“ არასტაბილურობით გამოირჩევა — წინა სეზონში ჩემპიონატის ლიდერ ოდესის „ბიპა-მოდას“ მოუგო, მომდევნო ტურში კი მაჩაჩალა ლუგანსკის „სპარტაკთან“ დამარცხდა, თანაც შინ.

დონეცკელები არც სპონსორების ნაკლებობას განიცდიან თურმე, თორმეტი შემხლებული ფირმა მათ გვარიანად ეხმარება, ამათგან მთავარი კი უკრაინული შოკოლადის მწარმოებელი კონცერნი „კიევკონდიტერი“ ყოფილა. ასე რომ, რუსთაველებს გემრიელი შოკოლადით პირჩატკბარუნებულ, ტანმაღალ მეშახტეებთან ექნებათ საქმე.

სოსო კოტორაშვილი

US OPEN

ოცნების (ნახევარ)ფინალი

პიტის საფირმო „სლემ-დანკი“

REUTERS ნაწილობრივ

ჩოგბურთის მოყვარულები სამპრას — აგასის მეოთხედფინალური „ტიტანთა ბრძოლის“ გარეშე კი დარჩნენ, მაგრამ შაბათს თბილისის დროით შუადამეს ორიოდ საათი რომ დაკლდება, ეს დანაკლისი ერთი-ორად ანაზღაურდება: ნახევარფინალში ამ წუთისთვის პლანეტის ორი უძლიერესი ჩოგბურთელი — ამერიკელი პიტ სამპრასი და ოზი პატრიკ რაფტერი გადააჭდობენ ჩოგნებს. ჩოგბურთში პროგნოზი ვერაფერი საქმეა, მაგრამ ვეჭვობ, ამ მატჩის გამარჯვებულს მეორე ფინალისტმა თუგინდ რიგიანი წინააღმდეგობა გაუწიოს.

ნახევარფინალის საგზური პირველმა რაფტერმა მოიპოვა. თინეიჯერ გოგონათა გულთამპყრობელ ავსტრალიელს მეტოქე იოლი სულაც არ ჰყავდა — ბევრის აზრით, თანამდროვე ჩოგბურთში საუკეთესო მიღების პატრონი, მისი ახლო მეგობარი და მეწყვილე, შვედი იონას ბიორკმანი (12), რომელიც ამასთან ოთხშაბათ საღამოს ურიგოდ სულაც არ ირჯებოდა. მაგრამ დევისის თასის შარშანდელი ფინალის ვმირის თავს მეოთხედფინალში უცნაური რამ ხდებოდა: რაც უფრო უკეთ დაურტყამდა მეტოქეს და უხერხულ მდგომარეობაში „გამოიჭერდა“, პასუხი კიდევ უფრო უკეთესი მოსდიოდა.

„პატრიკმა მატჩის შემედგ მითხრა, ასე კარგად, ალბათ, არასოდეს მითამაშიაო“ — აუხსნა ჟურნალისტებს ბიორკმანმა, რომელმაც შეხვედრაში მეტოქეს მოწოდება ერთადერთხელ აართვა — „დღეს მე მისთვის ღირსეული მეტოქე არ ვიყავი, მიღებებსა და შემოვლებებშიც კი მჯობდა.“

ბიორკმანის ნათქვამი პრესკონფერენციაზე თავად რაფტერმაც დაადასტურა, არა მგონი, ამაზე უკეთ თამაში შემეძლოსო, თუმცა თავისი იოლი გამარჯვება (6:2, 6:3, 7:5) გარკვეულწილად მძიმე პირობებსაც მიაწერა, ასეთ ქარში თამაშს პატარაობიდან მიჩვეული ვარ, ჩემს მშობლიურ ქალაქ მაუნთ იზაში მუდმივად უბერავს, იონასს კი გამოცდილება ნაკლები ჰქონდაო. ასეა თუ ისე, თავისი შეგირდის თამაშით თვით ლეგენდარული ავსტრალიელი ჯონ ნიუკომბიც ისე აღფრთოვანდა, უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე პირველი ან მეორე ჩოგნობა უწინასწარმეტყველა, ეს ბიჭი კიდევ მოუმატებსო.

პიტ სამპრასი კაროლ კუჩერასთან სათამაშოდ კორტზე გაცილებით გვიან, უკვე პროექტორების შუქზე გამოვიდა, თანაც ჩვეულებრივზე მეტად შემართული. „მე ყოველთვის მახსოვს ჩემი წაგებები, მან კი ავსტრალიაში (კუჩერამ სამპრასს სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში მოუგო) მართლაც რომ გამანადგურა. დღევანდელ მატჩს ამიტომ გაცილებით მოწადინებული შევხვდი“.

პიტმა პირველ სეტში მეტოქე აშკარად დაჯაბნა, მაგრამ მერე ქარმაც იმატა და სიცივემაც, ამერიკელს, თავისივე თქმით, ხელების მოყინვას ცოტაღა დააკლდა და ანგარიშიც კატასტროფული აღარ დაფიქსირდა 6:3, 7:5, 6:4, თუმცა პიტმა მაყურებელი თავისი საფირმო „სლემ-დანქებით“ — მაღალ ნახტომში დარტყმული სმეშებით (ჩვენებურად „ტოპკებით“) მაინც გაახალისა: „ამ დარტყმის განხორციელება მეც და გულშემატკივრებსაც სიამოვნებას გვანიჭებს, მეტოქეს კი აგრძნობინებს, რომ გამოწვევისთვის მზად ვარ... თანაც თერთკანიანის კვალობაზე, მგონი, არცთუ ცუდად მეხერხება ხტომა.“ სამპრასი არც რაფტერთან ამირებს უკან დახევას: „ნახევარფინალამდე იოლად მოვაღწიე. შაბათს ძალიან ძნელი მეტოქე მელის, მაგრამ ასეთი შეხვედრებისთვის მზად თუ არა ხარ, სლემის ტურნირებზე თამაშს რა აზრი აქვს.“

სიცივემ და ქარმა თავისი დაღი ქალთა მეოთხედფინალებსაც დაასვა, თანაც ისე, რომ ვინუს უილიამსის თავისი „ნაკის“ საოუფნო კოლექციიდან მეხუთე კაბის გამომზეურებაში შეუშალა ხელი (მატჩების რაოდენობის შესაბამისად კოლექციაც შვიდი ეგზემპლარისგან შედგება) — პირველი სეტი არანაა საჩენს ვიკარიოსთან შავტუხა ამერიკელმა საწვიმარში გაატარა და სასტიკად დაიჩაგრა კიდეც სვიტერში გამოწყობილ ესპანელთან. მაგრამ როგორც კი შეხურებულმა ვინუსმა თავისი უმკლავებო კაბა გამოაჩინა, საქმეც უკეთ წაუვიდა — მომდევნო ორ სეტში თითო გეიმიღა დათმო.

უილიამსს ნახევარფინალში თანამემამულე ლინდსი დევენპორტი შეერკინება. ლამის ორმეტრიანმა ამერიკელმა ნიუ იორკში თითქმის 50 კმ-სთ-ით მოპარპაშე ქარით მინიჭებული უპირატესობა თითზე დაიხვია და მეტისმეტად ტანმორჩილ ამანდა კუტცერს, ერთი-ორჯერ ჰაერში აფარფატებას ცოტაღა რომ უკლდა, 6:0, 6:4 მოუგო. ასეთი ხანმოკლე შეხვედრა მეტად მჭირდებოდაო, განაცხადა მერე დევენპორტმა, რომელმაც მტკივანი იდაყვის დასვენების მიზნით შერეული წყვილების ასპარეზობიდანაც დაიხსნა თავი.

ავთანდილ სვანიძე

მეოთხედფინალი

კაცები

პიტ სამპრასი (1, აშშ) — კაროლ კუჩერა (9, სლოვაკეთი) 6:3, 7:5, 6:4; პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (12, შვედეთი) 6:2, 6:3, 7:5

ქალები

ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ამანდა კუტცერი (13, სამხრეთ აფრიკა) 6:0, 6:4; ვინუს უილიამსი (5, აშშ) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (4, ესპანეთი) 2:6, 6:1, 6:1

წყვილთა მეოთხედფინალი

ქალები

ლინდსი დევენპორტი (აშშ) — და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) (2) — მიჰო საეკი და იუკა იოშიდა (იაპონია) 6:1, 6:1; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)(1) — ბარბარა შეტი (ავსტრია) და პატი შნიდერი (შვეიცარია) (14) 6:3, 6:4

პატრიკ რაფტერი — იონას ბიორკმანი 6:2, 6:3, 7:5

	რაფტერი	ბიორკმანი
I მოწოდების %	73	75
ეისები	5	1
ორმაგი შეცდომები	0	1
სუფთად მოგებული ქულები	44	28
უნებლიე შეცდომები	14	18
ბრეიკ-პოინტების გამოყენება	5-10-დან	1-3-დან
ბადესთან მოგებული ქულები	64-99-დან	38-67-დან
სულ მოგებული ქულები	104	81
დრო	საათი და 54 წუთი	

* * *

ამ ზაფხულს როლან გაროსის მესამედ მომგებმა არანჩა სანჩეს ვიკარიომ საჩოგბურთო მიღწევების წყალობით ესპანეთის უმაღლეს ჯილდოს — „პრინსია დე ასტურიას“ გამოჰკრა ხელი. მეტოქე არანჩას მართლაც რომ ღირსეული ჰყავდა — თვით კალათბურთის სუპერვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი, მაგრამ „ბლატების“ თუ უბრალოდ, პატრიოტული სულისკვეთების გამო „მის საჰაერო უდიდებულესობას“ 10 ხმით აჯობა.

არანჩა სანჩეს ვიკარიო

სარბიელის არქივიდან

„ძალიან ბედნიერი ვარ, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ამ ჯილდოზე წარდგენილი ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ სწორედ მაშინ მერგო, როცა ყველაზე ნაკლებად მოველოდი“ — განაცხადა არანჩამ, რომელიც ჯილდოს მიმღები ოდენ მესამე ქალი გახდა. აქამდე „ნობელის პრემიის“ ესპანური ექვივალენტი ჩოგბურთის ლეგენდას — მარტინა ნავრატილოვასა და მძლეოსან ჰასიბა ბულმრიკას დაუსაკუთრებიათ შესაბამისად 1994-სა და 1995 წლებში.

* * *

მთელი წლევანდელი სეზონის განმავლობაში ძირითადი ბრძოლა კაცების კლასიფიკაციის სათავეში მოსაქცევად მიმდინარეობდა და პიტ სამპრასს ორჯერაც მოუხდა მარსელო რიოსისგან პირველობის დაბრუნება, მაგრამ ამერიკის ღია ჩემპიონატზე ვითარება მკვეთრად შეიცვალა — სამპრასი თავის ადგილს, თეორიულადაც კი, უკვე კარგა ხნით აღარ შეელევა, სამაგიეროდ, ქალების სამეფო ტახტისთვის ერთბაშად სამი ჩოგბურთელი იბრძვის.

შარშან აპრილში გაპირველებულ მარტინა ჰინგისს თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად ფინალში გასვლაც ჰყოფნის, მაგრამ ნახევარფინალში იანა ნოვოტნასთან თუ დამარცხდა, ქულებით ეს უკანასკნელი გადაუწრებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ჩეხს არ ექნება განაღდებული კლასიფიკაციის პირველ ადგილზე მოკალათება. თუ ფინალში იგი ლინდსი დევენპორტს გადაეყრება, ჩოგბურთის მორიგი დედოფალი სწორედ ამ მატჩის მოგებული გახდება.

* * *

მთელი აშშ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე სულგანაბული ადევნებდა თვალს კეტბურთელი მარკ მაკგუაიერის ბრძოლას „ჰოუმ-რანების“ რეკორდის მოსახსნელად — თვით „ოუფენზეც“ მაყურებელი რამდენიმე მატჩის დროს კეტბურთის რადიორეპორტაჟებით უფრო იყო დაინტერესებული, გასახდელებშიც კი მომავალი მეტოქეების თამაშის ცქერის ნაცვლად ყველა ტელევიზორში ეს წმინდა ამერიკული სპორტი გადაიცემოდა (ზოგიერთი ევროპული ჩოგბურთელის, მაგალითად, გორან ივანიშევიჩისა და იონას ბიორკმანის დიდი უკმაყოფილების მიუხედავად).

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, თავად ჩოგბურთელებში თუ არა, „ოუფენი“ სხვა სპორტის წარმომადგენლებს შორის მაინც სარგებლობს პოპულარობით. სამშაბათს არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტს თვით ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტი უეინ გრეცკი ეწვია მეულლითურთ რეინჯერსელი თანაგუნდელების — მაიკ რიხტერისა და ბრაიან ლიჩის თანხლებით. „დღეს მორიგი სეზონისთვის სავარჯიშოდ შევიკრიბეთ, მაგრამ ყინულზე სრიალის ნაცვლად ჩოგბურთზე საუბრის მეტი არაფერი გვიკეთებია, ბოლოს კი აქაც აღმოვჩნდით“ — თქვა გრეცკიმ, რომელსაც ამ სპორტთან მეტად ახლო კონტაქტები აკავშირებს — ლეგენდარულ კანადელს სეზონებს შორის ჩოგბურთის თამაშს არაფერი ურჩევნია, მისი მეულლე ჯენეტ ჯონსი კი თავის დროზე ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელის — ვიტას გერულაიტისის გულფრენდიც გახლდათ.

როგორც აღმოჩნდა, სამაგალითო ქცევითა და სიმშვიდით გამორჩეული გრეცკის საყვარელი ჩოგბურთელი მოედანზე მისი აბსოლუტური ანტიპოდი — მუდმივად მოჩხუბარ-მოწუწუნე ჯონ მაკინროი ყოფილა: „იგი არაჩვეულებრივ მიმზიდველობას ფლობდა და თავისი სპორტისთვის ძალიან ბევრიც გააკეთა, კორტზე კი უდიდესი ენერგიითა და თავდადებით თამაშობდა. ჩვენ გაცილებით მეტი საერთო გვაქვსო, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.“

ერთი ბრინჯაოც სანატრელი გაგვხდომია

თეირან-ქალაქიდან, სადაც დღეს თავისუფალ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდება, ქართველთაგან ოქროვერცხლს აღარ ველოდით, ელდარ კურტანიძისა და დათო პოღოსიანისგან ბრინჯაოს მოპოვების იმედიღა გვქონდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, სწორედ ასე დაგვემართა. ჩვენმა ფალავნებმა „ზადის“ სასახლეში შკრებილ ათასობით ირანელ ქომაგთ თავი ვერაფრით დაამახსოვრეს და ნაადრევად გამოეთიშნენ ასპარეზობას.

58 კგ-ში დათო პოღოსიანი მეოთხე წრეში უმახანოვთა კლანის ერთ-ერთ წარმომადგენელს ნაზიმს დაეჭიდა, დათოს თავის დროზე სამივე ძმა ბეჭებით გაუკრავს ხალიჩაზე, მაგრამ ამჯერად ნაზიმთან ვერაფერი გააწყო და დამარცხდა კიდეც. ასე დაემშვიდობა გორელი ფალავანი ბრინჯაოზე ფიქრს.

მეოთხე წრე ეტყობა, ქართველ მოჭიდავეთათვის გადაულახავ ბარიერად იქცა. 97 კგ-ში ელდარ კურტანიძემაც ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობის დაძლევა და შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონთან, დაღესტნელ კურმაგომედოვთან დათმო ორთაბრძოლა.

ევროპაში უძლიერესმა ჩვენებურმა ფალავნებმა ვერაფრით ისახელეს თავი და, აბა, სხვათაგან რალა უნდა მოგვეთხოვა. ასეც მოხდა — 85 კგ-ში გოჩა ჩიხრაძემ ყახაზ ბატულაევს მიულოცა გამარჯვება. ძმიმეში კი, მართალია, ლექსო მოდებაძემ მესამე წრეში მონგოლ ბუთხუნგს სძლია, მაგრამ ამ ნავს მეოთხე წრეს ვერც ის გასცდა, თურქ პოლაშთან შერკინების მერე დამარცხებულმა დატოვა საჭიდაო ხალიჩა. მოკლედ რომ ვთქვათ, ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენები უმეტესწილად გვიბრუნდებიან შინ. ვინღა დაგვრჩა? ერთადერთი, ვისაც კიდევ აქვს ბრინჯაოსთვის ბრძოლის შანსი, 69 კგ-ში მოჭიდავე ეშზარ ბედნიერიშვილია, რომელმაც ყახახი ნურიევალიევის დამარცხებით მეხუთე წრეს მიაღწია და თუ დღესაც იმარჯვა, ბრინჯაომდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

ახლა კი ჩვენი გასაჭირი დროებით დავივიწყოთ და იმათზე ვთქვათ, ვინც გაიხარა, ვინც მეძლით დაიშვენა მკერდი. გუშინ ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულნი და პრიზიორები. 54 კგ-ში ჩემპიონი ამერიკელი სამუელ ჰენსონი გახდა, ირანელები იძულებულნი იყვნენ ფეხზე წამომდგართ ეცქირათ მაღლა აღმართული ვარსკვლავ-ზოლებიანი დროშისთვის და სულგანაბულთ ესმინათ ამერიკული ჰიმნი. ჰენსონმა ფინალში აზერბაიჯანელ ნამიგ აბდულაევს ძლია.

63 კგ-ის ფინალური შეხვედრაც საბედისწერო გამოდგა მასპინძელთათვის. ბულგარელმა სერგეი ბარზაკოვმა შანსი არ დაუტოვა აბას ჰაჯკენარის და ირანელი ფალავანი მშობლიურ ხალიჩას ბეჭებით გააკრა. 76 კგ-ში კი უდავო ფავორიტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რუსეთელი ბეგაისა საიტიევი გახლდათ, მანაც საკადრისად იჭიდავა და კორეელი ეუ იაე მუნის ძლევით მესამედ დაიგდო მსოფლიოში უძლეველის სახელი.

გუშინ მაინც გაიხარეს სპარსმა ჭიდაობის გულშემატკივრებმა. მათმა რჩეულმა აბას ჯადიდიმ 97 კგ-ის ფინალში ელდარ კურტანიძის დამმარცხებელ პოლონელ მარეკ გარმულევიჩს 3:2 მოუგო და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სოსო ძოტორეიშვილი

ტექნიკური შედეგები

54 კგ: 1. სამუელ ჰენსონი (აშშ); 2. ნამიგ აბდულაევი (აზერბაიჯანი); 3. გოლამრეზა მოჰამადი (ირანი)

63 კგ: 1. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი); 2. აბას ჰაჯკენარი (ირანი); 3. გარი კოლატი (აშშ)

76 კგ: 1. ბუვაისა საიტიევი (რუსეთი); 2. ეუ იაე მუნი (კორეა); 3. ალექსანდერ ლაიპოლდი (გერმანია)

97 კგ: 1. აბას ჯადიდი (ირანი); 2. მარეკ გარმულევიჩი (პოლონეთი); 3. კურმაგომედ კურმაგომედოვი (რუსეთი)

ბურეც თუ გაიფიცა...

სპორტის არქივიდან

ბოლო ხანს ნჰლ-ში სენსაციური ამბავი იშვიათია. მთავარი მოვლენა პაველ ბურეს აგენტის მაიკ ჯილისის განცხადება გახლდათ, რომლის თქმითაც, მისი კლიენტი აღარ აპირებს ვანკუვერში თამაშს და გაცვლას ითხოვს. რა არის ამ გადაწყვეტილების მიზეზი, ჯილისს არ დაუზუსტებია და ჰოკეის სამყაროს ისღა დარჩენია, ათასგვარი რამ ივარაუდოს.

თავად ბურეს მხოლოდ ის დასცდა, რომ ყოველივე ამის მიზეზი პირადულია. სხვა კლუბში მის გადასვლაზე მესამე სეზონია, საუბრობენ. ვარსკვლავის ჭირვეულობა ფინანსური პრობლემების ბრალი არ უნდა იყოს, რადგან შარშან 51-მა შეგდებულმა შაიბამ ბურეს უმალ გაუნაღდა ლიგის უძვირფასეს სამეულში მოხვედრა.

როგორც ჰოკეისტი ამბობს, მას მთავარი მწვრთნელი მაიკ კინენიც სრულიად აკმაყოფილებს. ყველაფრის თავდათავი ალბათ ის გახლავთ, რომ ბოლო წლებში ვანკუვერი აშკარა კრიზისს განიცდის, საქვეყნოდ აღიარებულ ფორვარდს კი ძლიერ და თასისთვის მებრძოლ კლუბში თამაში სურს. ასეა თუ ისე, კვლავ გაჩნდა ბურეს გაცვლის სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა შორის ყველაზე რეალური ტორონტოელ მეკარე ფულიქს პოტვენში გაცვლაა. თუმცა ვანკუვერის ახალი გენერალური მენეჯერი, ნჰლ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ბრაიან ბურკი ბურეს გაშვებას არ აპირებს, ოღონდ იმასაც აცხადებს, თუ ჰოკეისტი კლუბისთვის მიუღებელ პირობებს წამოგვიყენებს, მას სეზონის დაწყებამდე გავყიდით. ისიც მოსალოდნელია, რუსი ვარსკვლავი დეტროიტელი თანამემამულე სერგეი ფიოდოროვის დარად გაიფიცოს.

კიდევ ორმა მეკარემ შეიცვალა ადგილსამყოფელი. დალასელი ჩეხი რომან ტურელი დეტროიტში გადავიდა, ხოლო კალგარელი რიკ ტაბარაჩი ვაშინგტონში თვით ოლაფ კოლციგს შეცვლის.

სამველ ღარიბიანი

პაველ ბურე

კიჭა ჩომას დაეჯახება



ზვიად დავითიანი

გადაწყდა — ზვიად დავითიანი ახალ სეზონში რეზო ჩომახიძის მეტოქე იქნება. ეს გაირკვა მას შემდეგ, რაც დავითიანმა ხელი მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს ვოლგოგრადის „სპარტაკ-ლუკოილთან“. კიჭას კონტრაქტი ერთწლიანია, რაც თავად მისი მოთხოვნა იყო. კლუბმა იგი უკვე დაკმაყოფილა ბინით და არც სატრანსპორტო პრობლემები შეაწუხებს. როგორც შევიტყვეთ, ზვიადი პირობებით კმაყოფილი ყოფილა, ხოლო გაგრძელებს თუ არა კონტრაქტს მომავალში, ამას სეზონის ბოლოს გადაწყვეტს. ამჟამად იგი კლუბთან ერთად ბულგარეთშია შეკრებაზე.

„სპარტაკ-ლუკოილმა“ რუსეთის შარშანდელ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა — წინ მხოლოდ რეზო ჩომახიძის მოსკოვის „დინამო“ გაუშვა. ეტყობა, ვოლგოგრადელთა კლუბის ხელმძღვანელობას დავითიანი სწორედ ჩომახიძის გასანეიტრალებელ იარაღად შეუგულებია. ეროვნული ჩემპიონატის გარდა, „ლუკოილს“ ევროპული სარბიელიც ელის.

ირაკლი თავაძე

რჩეული ფიზიკა

დღეიდან მძლეოსნობის სამყაროს ყურადღება სამხრეთ აფრიკისკენ იქნება მიპყრობილი. იოჰანესბურგში პლანეტის საუკეთესო ათლეტები მოიყრიან თავს და მსოფლიო თასს გაითამაშებენ.

ბუნებრივია, „სპორტის დედოფლის“ თაყვანისმცემლები დიდი ინტერესით ელიან ამ ასპარეზობას. წლევანდელ სეზონში თვალწარტაცი ბრძოლები ნამდვილად არ გვაკლდა, რის დასტურადაც თუნდაც ევროპის ჩემპიონატისა და IAAF-ის ეგიდით გამართული „ოქროს ლიგის“ ტურნირის დასახელება იკმარებს, მაგრამ მსოფლიო თასს მაინც თავისი, განუმეორებელი ეშხი ახლავს, რაც გვაიმედებს, რომ კვლავაც ბევრ საინტერესოს ვნახავთ.

მსოფლიოს თასი საფეხბურთო ჩემპიონატის მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ცალკეულ სახეობებში მოასპარეზე სპორტსმენების გარდა გუნდებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქ გამოსვლის უფლება მხოლოდ რჩეულებს აქვთ. წლეულს აფრიკის ვაჟთა და ევროპელ ქალთა ნაკრებები გამარჯვებულის როლში ჩავლენ იოჰანესბურგში და თავიანთი სიძლიერის დამტკიცებას კიდევ ერთხელ შეეცდებიან.

ვაჟთა შორის 200 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი, ნამიბიელი ფრენკ ფრედერიკი, კენიელები ბერნარ ბარმასაი, იაფეტ კიმუტაი და დანიელ კომენი უეჭველ ლიდერებად არიან მიჩნეული, რომელთა დამარცხების შანსი ამერიკის, აზიის, ბრიტანეთის, ევროპის, გერმანიის, ოკეანეთისა და პლანეტის უსწრაფესი მორბენალის — მორის გრინის გარეშე დარჩენილ აშშ-ის ნაკრებებს მიეცემათ.

ქალებში უძლიერეს რუსეთის გუნდს კი, ალბათ, ღირსეული მეტოქე კვლავაც ვერ გამოუჩნდება და რუსებიც ისევ შეინარჩუნებენ ოთხი წლის წინათ მოპოვებულ პირველობას.

ყველაზე საინტერესო კი, საერთო აზრით, მაინც ამერიკელი ქალის მარიონ ჯონსის გამოსვლა იქნება. ბოლო 35 გარბენში დაუმარცხებელი მარიონის თქმით, მას დიდი იმედი აქვს, რომ საპრიზოდ დაწესებული 150 ათასი დოლარის დასაკუთრების გარდა სამ სახეობაში — 100 და 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში იმარჯვებს.



იოჰანესბურგი: ის აქ არის... სპორტის დედოფლის პატრონი დონ პრიმო ნებიელო

REUTERS იოჰანესბურგიდან

არადა, ამერიკელს მეტოქეები, იცოცხლეთ, სერიოზული ჰყავს. თუ 100 მეტრზე მისი მჯობნი არავის ეგულება, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით სიგრძეზე ხტომასა და 200 მეტრზე რბენაზე. ახლახან დამთავრებულ „ოქროს ლიგის“ ტურნირზე ლეგენდარული გერმანელის ჰაიკე დრექსლერის საკმაოდ კარგი შედეგით (7.13 მეტრი) დამარცხების მიუხედავად, არა გვგონია, ჯონსმა ამჯერადაც გაიაღოს. 200 მეტრზე რბენაში კი ევროპის ჩემპიონატსა და „ოქროს ლიგაში“ წარუმატებელი ასპარეზობით გაწბილებული უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩი და რუსი ირინა პრივალოვა ილესავენ კბილებს.

ირაკლი ხმელიძე

ტაისონის ფული

აღარ გათავდა მაიკ ტაისონის ცხოვრებაში კვანტისტრიალი და ძალღუმადური ამბავი. ახლა კონკტიკუტის შტატის მოყადაღე აგენტები შეუჩნდნენ და გაუჩერეს ამ შტატში წამოწყებული საეაჭრო ოპერაცია.

ტაისონი ცდილობს გაყიდოს კონეკტიკუტში, ფარმინგტონში წამოჭიმული სამოცდაერთოთახიანი სასახლე. ფასიც გვარიანი დაუდევს — 22 მილიონი დოლარი. მაგრამ კონეკტიკუტელ მოყადაღეებს გამოუცხადებიათ, ეგ საქმე ასე არ გამოვაო და 6,3-მილიონიანი გადასახადი დაუდიათ სახლისთვის. ეს საყოველთაო კანონ ყოფილა. ამგვარი ყადაღიდან ამოგებული ფულით სახელმწიფო ქვრივ-ობრებს ეხმარება და რაც უფრო ძვირია გასაყიდი ქონება, გადასახადიც იზრდება.

ტაისონი იმიტომ ყიდის სასახლეს, რომ რაღაც ვალები დაფარონ. ეს 6,3-მილიონიანი გადასახადი კი დიდად არაფრად ეპიტნავება. გასულ აგვისტოს ტაისონს 33-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმებია „შოუთაიმის“ ტელეკავშირთან და ამ კონტრაქტში მთავარი ტაისონის ვალების სასწრაფო დაფარვა ყოფილა. ამას იტყობინება გაზეთი „ჰართფორდ ქარენთი“. შეტყობინების აზრი იმგვარია, რომ ტაისონს ფინანსური საქმეები არევია და სახელმწიფოც იმ 6,3 მილიონით წიხლს აჭერსო. კონტრაქტში ამგვარი პუნქტის არსებობას „შოუთაიმი“ უარყოფს. „შოუთაიმმა“ არაფერი იცის სასახლის გაყიდვის თაობაზე... მოკლედ, რკინის მაიკის გარშემო კვლავ აბლაბუდებია, ის კი ცდილობს, ლიცენზია დაიბრუნოს, რინგზე ავიდეს და თავის ვალებს ამ გზითაც მიხდოს.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ილია ბაბუნაშვილი

ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვახტანგ ბზიკაძე

ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი

კალათბურთის განყოფილების გამგე: ავთანდილ გურასაშვილი

ინფორმაციის განყოფილების გამგე: სოსო კოტორეიშვილი

ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება: კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიად სანიკიძე

უცხოური ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

კალათბურთის განყოფილება: გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

ინფორმაციის განყოფილება: ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე

კორესპონდენტი ჭუთაისში იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

ოლოლო ოლულამი

მე-5 ეტაპი ოლულა დელ რიოდან მურსიამდე. 165,5 კილომეტრი

TVM-ს გუნდის წარმომადგენელმა, ჰოლანდიელმა იერონ ბლაილევენსმა მეხუთე ეტაპის მოგებით დამტკიცა, რომ ორიოდ დღის წინ მისი გამონათქვამი, ამ ტურზე ყველაზე ძლიერი მე ვარ და პირველობაში ვერავინ შემეცილებაო, უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა.

ბლაილევენსმა კადისში მოგებული მეორე ეტაპის მსგავსად ძალიან კარგად ირბოლა და ფინიშზე არანაირი შანსი არ დაუტოვა იტალიელ ჯოვანი ლომბარდის. ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჰოლანდიელზე, რომელიც TVM-ს ლიდერად გვევლინება, იმ დღეს მთელი გუნდი მუშაობდა და უმეტესწილად სწორედ ერთგული მეგობრების დამსახურება იყო, რომ იერონის მეტოქეებს დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდათ და საბოლოოდ მიზანს ვერ მიაღწიეს.

„ესპანეთში გამარჯვების მოპოვების სურვილით ჩამოველი და ეჭვი არ მეპარება, მიზანს მივაღწევ. ის, რომ კარგ ფორმაში ვარ, ოპონენტებს განვლილი ხუთი ეტაპიდან ორის მოგებით ვუჩვენე. თუმცა მიღწეულით დაკმაყოფილებას ნამდვილად არ ვაპირებ და „ვუელტაზე“ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებ“ — განაცხადა ფოტორეპორტიორების წინ თავმომწონედ მდგომმა ბლაილევენსმა.

ჰოლანდიელს ასეთი თამამი განცხადებების გაკეთების უფლება ნამდვილად აქვს. ტურზე მეხუთე ეტაპი მიიწურა და მისი გუნდი TVM იმხელა უპირატესობას ფლობს, თითქოს მისი მეტოქეები, ველოსამყაროში აღიარებული კორიფეები — „ფესტინა“, „მაპეი“ ONCE და სხვანი კი არა, ვიღაც დამწყები მოყვარულები ყოფილიყვნენ.

თავად მეხუთე ეტაპზეც ასე იყო. თაიდან დანიელი როლფ სორენსენი და ფრანგი ანტონი როკია დაწინაურდნენ. ამაში უმეტესწილად თავად პელეტონის ბრალიც იყო, რადგან ამ მრბოლებს, პირველობაზე პრეტენზია არ აქვთ და ამიტომაც მათ გაქცევას დიდად არავინ აღუშფოთებია. ასე გაგრძელდა დაახლოებით 120-ე კილომეტრამდე.

აქ კი პელეტონმა დამატებითი სიჩქარეები ჩართო და როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, წინ გაჭრილთა დაწევა არ გასჭირვებია. ფინიშზე ველომრბოლები წინა ოთხი ეტაპის მსგავსად ჯგროდ მივიდნენ, თუმცა 174 კაცში ყველაზე მეტი ფხა TVM-ს წევრებმა გამოიჩინეს. მათ ბლაილევენსს ეგრეთ წოდებული დერეფანი შეუქმნეს, რითაც ჰოლანდიელმა ისარგებლა და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

1. იერონ ბლაილევენსი (ჰოლანდია) 3 სთ 41 წთ 33 წმ; 2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია); 3. სვენ ტუტენბერგი (გერმანია) იგივე დრო.

საერთო ჩათვლა (5 ეტაპის შემდეგ):

1. ფაბრიციო გვიდი (იტალია) 23 სთ 06 წთ 28 წმ; 2. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი) +2; 3. მარკუს ზაბერგი (შვეიცარია) +5; 4. ფილიპ გომონი (საფრანგეთი) +12; 5. ელიო აჯიანო (იტალია) +13.

მე-6 ეტაპი. მურსიადან ხორეტ დე კატიმდე. 201 კილომეტრი

გუშინ, მექვსე ეტაპზე ესპანელმა ხოსე მარია ხიმენესმა იმარჯვა და ლიდერ იტალიელ ფაბრიციო გვიდის ყვითელი მაისური ჩამოართვა.

ძახა არჯევანიძე

იერონ ბლაილევენსი

REUTERS მურსიადან